



**ციბეხანი**

№ 32 / 24 - 30 მაისი / 2010

7 გუბერნატორი და 1000 საჯარო მოხელე შვიგულაბაში **33. 7**

„ნაციონალური“ ოპოზიციის ნაცვლად **33. 15**

მარკ მალენი: ამერიკა და საქართველო **33. 14**

ინტერვიუ ჯონ ბასთან: კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზა **33. 20**

მარნეული თბილისის მერს ირჩევს **33. 32**

პლაკატების ომი **33. 37**

სტუდენტები და პოლიტიკა **33. 41**

ქართველი ქალის ახალი როლი **33. 43**

ღაზა გულაბი: გერმანული რეცეპტი **33. 45**

ISSN 1987-7528



**ფასი 2 ლარი**

**კრთობრესი**

**ჩუბრესი**

**ბანაბნყვაბი ახრავანი**

**33. 22**

**ყოველ სამუშაო დღეს, 17 საათზე,  
რადიოქალაქის პირდაპირ ეთერში  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ  
„დღის თემა“ ნათია ორველაშვილთან ერთად  
17-21 მაისის კვირის რეჟიუმი**



„საქართველო დღესაც ელოდება ისეთ ლიდერს, როგორსაც ელოდა ყოველთვის - არა პოლიტიკოსს, არამედ თამადას, რომელიც იქნება ომახიანი, ნარუძღვევა სუფრას, დასჯის ადამიანს, რომელიც მას ხელს შეუშლის, გაეარსიყება ყველაზე ლამაზ ქალბატონს სუფრაზე - ეს ყველაფერი კავკასიური მენტალობის დამახასიათებელია. სანამ ჩვენ თამადას ველოდებით, მუდმივად ასეთი ვითარება იქნება ქვეყანაში“.

ორშაბათი. 17 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
ლალი მოროშკინა. ჟურნალისტი, პიარ ტექნოლოგიების სპეციალისტი



„ხელმწიფრების შეგროვებას ვაიოპოზიციონერების ლუსტრაციის მიზნით ვინცებ. გამოვიდნენ გია თორთლაძის ფრაქციის წევრები და მოაწერონ ხელი იმპიჩმენტის მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აიღონ საკუთარ თავზე მორალური პასუხისმგებლობა გიორგი არველაძესთან, ეკა წამალაშვილთან და მიხეილ სააკაშვილთან ერთად“.

სამშაბათი. 18 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
გიორგი ცაგარეიშვილი. დეპუტატი. ალიანსის წარმომადგელი



„რუსეთის დიპლომატიით განადგურება ძალიან რთული საქმეა. ეს არის ქვეყანა, რომელსაც ყველა, მათ შორის მსხვილი მოთამაშეები - აშშ, ევროკავშირი, ნატო - ანგარიშს უწვენენ. ბუქარესტის სამიტზე ნატოს სისუსტემ და რამდენიმე ქვეყნის პოზიციამ რუსეთს დაუსჯელობის სინდრომი შეუქმნა, რომლითაც მან ძალიან კარგად ისარგებლა“.

ოთხშაბათი. 19 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
გივი ნერეთელი. პარლამენტის ვიცე-სპიკერი



„ეს არჩევნები არის ხაფანგი, რომელშიც თავი გაყო ოპოზიციის წინააღმდეგ. თუ დეპუტატის მანდატზე უარს ამბობ, ითხოვ ვადამდე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს, შემდეგ კი მონაწილეობ ადგილობრივ არჩევნებში, ეს არათანმიმდევრული პოლიტიკური სელაა და არ მგონია გამართლებული იყოს ისეთი გარემოებებით, რომელიც დაასაბუთებდა ამ გადაწყვეტილებას“.

ხუთშაბათი. 20 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
ეკა ბესელია. „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“



„მერობის ერთიან კანდიდატზე შეთანხმების პროცესი რესპუბლიკელებმა ჩაშალეს. მათი ყველა მცდელობა მიმართული იყო იმისკენ, რომ ოპოზიცია ვერ გაერთიანებულიყო. მოვუწოდებ ოპოზიციურ პარტიებს, ჩამოყალიბდნენ ერთ კანდიდატზე. წინააღმდეგ შემთხვევაში უგულავას გამარჯვებას შეუწყობენ ხელს.“

პარასკევი. 21 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
სანდრო ბრეგაძე. პარტია „თავისუფლება“



**რადიოქალაქის სტუდიის ტელეფონი: 920 977**





მარნეული, მაისი 2010

ფოტო: ლეონ სარიშვილი

**ნომერი:**

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 ფოტორეპორტაჟი
- 07 ვრცლად
- 10 **მედია მონიტორინგი**  
გამოტოვებული საკითხები
- 12 **ორი აზრი**  
არის თუ არა „მე მიყვარს თბილისი“ მერიის კამპანია?
- 14 **თვალსაზრისი**  
ამერიკა და საქართველო მარკ მალენი  
**პოლიტიკა**
- 15 „ნაციონალები“ ოპოზიციის ნაცვლად
- 17 **საარჩევნო გარემოს ცვლილება**  
ახალი არჩევნები ძველი პრობლემებით
- 18 **აშშ და საქართველო**  
რუსეთთან მეგობრობის ფასი
- 20 **ინტერვიუ**  
კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზა  
ჯონ ბასი

- 22 **საქართველოს საგარეო პოლიტიკა**  
გადამწყვეტი არჩევანი  
**საუბრები ლიბერალიზმზე**
- 24 საქართველოს რესპუბლიკური პარტიის სისუსტეები  
**ჟურნალისტური გამოძიება**
- 26 „ნაციონალების“ წინასაარჩევნო ბანკეტი  
**ეკონომიკა**
- 27 ბიზნესის დრო
- 28 **მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა**  
ბიუროკრატის კომერციალიზაცია  
**ადამიანის უფლებები და სამართალი**
- 30 საია „თავისუფლების“ კანდიდატის წინააღმდეგ
- 32 **ეროვნული უმცირესობები და არჩევნები**  
მარნეული თბილისის მერს ირჩევს
- 34 **თვალსაზრისი**  
ბალანსი რელიგიისა და

- გამონატვის თავისუფლებებს შორის  
**სოზარ სუბარი**  
**საზოგადოება**
- 37 პლაკატების ომი
- 39 **თვალსაზრისი**  
უგულავას ურბანული დაპირებები – რას უნდა ველოდოთ რეალურად?  
*ლუკა ბაქრაძე*
- 41 **სტუდენტები და პოლიტიკა**  
პოლიტიზირებული სტუდენტური მოძრაობა
- 43 **მიგრანტი ქალები**  
ქართველი ქალის ახალი როლი
- 45 **თვალსაზრისი**  
გერმანული რეცეპტი  
*ლაშა ბუღაძე*
- 46 ჩვენ აფრიკაში მივიდვართ **ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 48 თეთრი პერანგების უბედურება

**ბარეკანზე:**

გადამწყვეტი არჩევანი



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



„ცაიტის ფონდი“ (Zeit-Stiftung Ebelin und Gerd Bucerius) (ჰამბურგი) და „თავისუფალი სიტყვა“ (ოსლო), ყოველწლიურად გადასცემენ წამახალისებელ პრემიებს აღმოსავლეთი ევროპის თავისუფალ პრესას. 2010 წელს ორივე ფონდმა პრემია გადასცა ჟურნალ „ლიბერალს“.

„ჟურნალ „ლიბერალში“ მუშაობს დამოუკიდებელი ჟურნალისტების ახალი თაობა. „ლიბერალი“ ამკვიდრებს შემწყნარებლობას და ლიბერალიზმს – და ეს არ არის პოლიტიკური იარაღი, ეს რეალური ფასეულობებია. ამ გამოცემაში მიმდინარეობს პოლიტიკური დებატები ისეთ მწვავე საკითხებზე, როგორცაა არჩევანის თავისუფლება და კონფლიქტები. საქართველოს მედია სექტორი არალიბერალურია: კომპანიები არ ათავსებენ რეკლამას კრიტიკულ მედია სამუშაოებში; მედია ბაზარი დიდწილად მონოპოლიზირებულია. საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე, ჟურნალი ვერ გააგრძელებდა არსებობას.

„ლიბერალი“ წარადგინა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტმა და ფონდმა Human Rights House Foundation, ოსლო. პრემიის ოდენობა 10 ათასი ევროა“.

დაჯილდოების ცერემონიალამდე, რომელიც 19 მაისს ჰამბურგში შედგა, ჯერ კიდევ არ მქონდა გაცნობიერებული, რამდენად საპატიო იქნებოდა ეს ჯილდო, განსხვავებით მიხედვით ბეკეტოვისაგან, რომელიც თავისუფალი სიტყვის დაცვამ იმსხვერპლა. ბეკეტოვი რუსი ჟურნალისტია, „ხიმკისკაია პრავდას“ რედაქტორი, რომელიც მოსკოვი-სანკტ-პეტერბურგის ახალი ავტომაგისტრალის მშენებლობის გამო ხიმკის ტყის განადგურებაზე წერდა. 2008 წელს ბეკეტოვს თავს დაესხნენ და ისე სცემეს, რომ დღემდე ლოგინადაა

ჩავარდნილი, ამპუტირებული ფეხითა და თითებით. რუსმა ექიმებმა ფარ-ხმალი დაყარეს, თუმცა ბეკეტოვის მეგობარს, „ნოვია გაზეტას“ ჟურნალისტს, ელენა კოსტიუჩენკოს იმედი აქვს, რომ მას გერმანიაში უმჯობესი პირობები და ამაში ფულადი პრემიაც დაეხმარება.

რუსეთში დღემდე 200-ზე მეტი ჟურნალისტია მოკლული. აზერბაიჯანში ჟურნალისტებს და ბლოგერებს ციხეში სვამენ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, „ცაიტის ფონდმა“ ჩათვალა, რომ საქართველოში თავისუფალ მედიას საფრთხე აღარ ემუქრებოდა და ამოგვიღეს პროგრამიდან. თუმცა, 2008 წელს ისევ დაგებრუნდით „შავ სიაში“ და 2004 წლის შემდეგ პირველად, შარშან გაზეთმა „ბათუმელებმა“ აიღო პრემია, რომელიც საქართველოში, ცხადია, არავინ შეიმჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ღონისძიებას გერმანული მედია ფართოდ აშუქებს.

ჩვენი პრეზიდენტი ამბობს, რომ საქართველოში მედიის პრობლემებზე საუბარი უბრალოდ „სისულელეა“ და კარგი საშუალებაა, თავი მსხვერპლად წარმოვაჩინოთ. მე არ მინდა ვიყო მსხვერპლი, არც „ცაიტის ფონდის“ წამახალისებელი ჯილდო მინდა. რაც მინდა, თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ბაზარია, სადაც ჩვენი შრომისა და ძალისხმევის პირდაპირპროპორციულ შედეგს მივიღებთ და სადაც ჟურნალისტებს უშიშროების შენობაში არ წაიყვანენ დასაშინტაჟებლად. შეგახსენებთ, რომ გაზეთ „ბათუმელების“ საქმე ჯერ კიდევ გამოუძიებელია. ჰო, ცხადია, ისიც მინდა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები მერს „წამახალისებელ“ საჩუქრებს არ სთხოვდნენ წინასაარჩევნოდ, „ცოლ-ქმრული მოვალეობების შესასრულებლად“.

ჰამბურგში 10 წლის სანდრო ტოგინიძე გავიცანი. სანდრომ ბევრი ძალიან საინტერესო კითხვა დაგვისვა „ლიბერალზე“ და, ზოგადად, ჩვენს პრობლემებზე. ისე შეფიქრინა და, ბოლოს თავისი დასკვნა წერილობით წარმოგვიდგინა. მათ შორის, რამდენიმე ასეთი რჩევა იყო: „იქნებ ცოტა ხანი მოიტყუოთ და მიმაზე კარგი რამეები დაწეროთ, რომ რეკლამა გქონდეთ“; „იქნებ ახალი, უბრალო, კარგი ჟურნალი გააკეთოთ, პოლიტიკაზე აღარ წეროთ და 2013 წლამდე ასე გააგრძელოთ“; „მე სანამ გავიზრდები, დამელოდოთ“. მისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, ეჭვი მაქვს, სანდროს რჩევებს ვერ გავითვალისწინებთ. გერმანელებმა და ზაალ ანდრონიკაშვილმაც ამ იმედით გამოგვაცვილეს.

შორენა შავერდაშვილი  
მთავარი რედაქტორი  
shorena.shaverdashvili@liberali.ge

რედაქტორი: შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბუკიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი  
რედაქტორი: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე  
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე /  
მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია  
ბამონცემი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სსპ ბამონცემი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიჩნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.  
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბამონცე: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge  
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
www.liberali.ge



პროექტი დაფინანსებულია  
ევროკავშირის მიერ



პროექტს ახორციელებს  
ლტოლვილთა დანიის საბჭო

ერთობლივი გადაწყვეტილებები გრძელვადიანი გადაწყვეტილებებია – საქართველოში მცხოვრები დევნილების პრობლემების გადაწყვეტის კენ გადადგმული ნაბიჯები

## ქურნალისტთა და ფოტოგრაფთა კონკურსი იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) თემაზე

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ერთობლივი გადაწყვეტილებები გრძელვადიანი გადაწყვეტილებებია – საქართველოში მცხოვრები დევნილების პრობლემების გადაწყვეტის კენ გადადგმული ნაბიჯები“ – ფარგლებში, ლტოლვილთა დანიის საბჭო აცხადებს ღია კონკურსს ქურნალისტებისა და ფოტოგრაფებისთვის საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირებთან (დევნილებთან) დაკავშირებული საკითხების შესახებ.

საქართველოს მთავრობის „იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს დევნილთა პრობლემების გრძელვადიან მოგვარებას. სახელმწიფო სტრატეგია გულისხმობს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციასა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. სამოქმედო გეგმის მთავარი ამოცანაა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა, რათა ისინი სულ უფრო ნაკლებად იყვნენ სახელმწიფოზე დამოკიდებულნი, რათა გამჭვირვალე შერჩევის კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდეს მსურველთა ინტეგრაცია სახელმწიფოს სოციალური დახმარების პროგრამებში. ეს კონკურსი არის იმ საინფორმაციო კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს როგორც დევნილთა, ასევე ზოგადად საზოგადოების ინფორმირებას დევნილებთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

### მოთხოვნები მონაწილეობის მსურველი ქურნალისტებისთვის:

ქურნალისტების მონაწილეობის პირობაა სტატიის დაწერა და ცენტრალურ/რეგიონალურ გაზეთში, ქურნალსა თუ ინტერნეტ პრესაში გამოქვეყნება 2010 წლის 15 მაისიდან – 15 ივნისამდე პერიოდში. პუბლიკაცია ყურადღებას უნდა ამახვილებდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სამოქმედო გეგმის ერთ ან რამდენიმე ასპექტზე, კერძოდ, თუ რა გავლენა იქონია სამოქმედო გეგმის ფარგლებში გატარებულმა ღონისძიებებმა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრებაზე, რა ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს სამოქმედო გეგმა მათ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. სტატია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 300 სიტყვისაგან, ის შეიძლება იყოს წარმოდგენილი რეპორტაჟის ან ისტორიის სახით ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. მონაწილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქენი. იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქმედო გეგმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე: <http://www.mra.gov.ge/>

### მოთხოვნები მონაწილეობის მსურველი ფოტოგრაფებისთვის:

ფოტოგრაფებმა ერთი ან რამდენიმე ფოტო, ან ფოტორეპორტაჟი უნდა წარმოადგინონ ზემოაღნიშნულ თემატიკაზე. ლტოლვილთა დანიის საბჭო ფოტოებს A2 ფორმატით, 300 DPI რეზოლუციით დაბეჭდავს. წარმოდგენილ ფოტოებზე ლტოლვილთა დანიის საბჭო, ამ პროექტის ფარგლებში მისი დონორები და პარტნიორები იძენენ მათი ბეჭდურ თუ ელექტრონულ პუბლიკაციებში გამოყენების უფლებას. წარმოდგენილი ნამუშევრები არ უნდა იყოს მანამდე გამოქვეყნებული. დაცული უნდა იქნას პიროვნების ღირსებისა და პირადულობის ეთიკური ნორმები, მონაწილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქენი. იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სამოქმედო გეგმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე: <http://www.mra.gov.ge/>

### ბანასხალის წარღვევის წესები:

სტატიები უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [drc@drc.ge](mailto:drc@drc.ge); ამასთან, აუცილებელი მოთხოვნაა ნაბეჭდი პრესის დასკანერებული ვარიანტის ან ელექტრონული გამოცემის ბმულის გაგზავნა, არა უგვიანეს 2010 წლის 15 ივნისისა. ფოტოსურათები უნდა გაიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: [drc@drc.ge](mailto:drc@drc.ge); JPEG ფორმატის დაცვით, არა უგვიანეს 2010 წლის 15 ივნისისა. ნაბეჭდი ვერსიას აუცილებლად უნდა ახლდეს თან მისი ელექტრონული ვერსია. აპლიკანტებმა უნდა მიუთითონ საკუთარი ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტოს შემთხვევაში მისი მოკლე აღწერა, სტატიის შემთხვევაში მოკლე რეზიუმე.

### ქიურის შეხვედრის წესები:

ქიური შედეგმა პროფესიონალ ფოტოგრაფთა და ქურნალისტთაგან, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებისაგან.

### ჯილდო ქურნალისტებისთვის:

პირველი პრიზის მფლობელს წილად ერგება კომპიუტერი „NetBook“; მეორე ადგილზე გასული საჩუქრად მიიღებს დიქციონარს.

### ჯილდო ფოტოგრაფებისთვის:

პირველი ადგილის მფლობელს წილად ერგება მაღაზია „ფოტოსამყაროს“ 300 ევროს ეკვივალენტი სასაჩუქრე ბარათი.

მეორე ადგილზე გასული მონაწილე საჩუქრად მიიღებს მაღაზია „ფოტოსამყაროს“ 150 ევროს ეკვივალენტ სასაჩუქრე ბარათს.





## მედველვის უკრაინაში ვიზიტის შედეგები


რუსეთისა და უკრაინის პირველი პირები ბოლო სამი თვის მანძილზე უკვე მეშვიდედ შეხვდნენ, ამჯერად – კიევში. მედველვის ამ ვიზიტის დროს ორი ქვეყნის პირველმა პირებმა უკრაინა-რუსეთის სახმელეთო საზღვრის დემარკაციის შეთანხმებას მოაწერეს ხელი. უკრაინული ოფიციალი ამ შეთანხმებას ქვეყნის დიპლომატიურ გამარჯვებად აღიქვამს და მიიჩნევს, რომ რუსეთი დათმობაზე წავიდა. ოპოზიცია კი სხვაგვარად ფიქრობს. ისინი არ გამოირიცხავენ, რომ ამის სანაცვლოდ, მედველვემა იანუკოვიჩისგან გაცილებით უფრო მნიშვნელოვან, საზღვაო საზღვრების დემარკაციაზე მიიღო დათმობა, რაც არ ხმაურდება.

უკრაინის საგარეო უწყება ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს. საზღვრის დემარკაციის საკითხი ორ ქვეყანას შორის 1991 წლიდან განიხილებოდა. უთანხმოების მთავარი მიზეზები აზოვის ზღვისა და ქერჩის სრუტის საზღვრების დელიმიტაცია იყო. ამ წლების მანძილზე ორ ქვეყანას შორის არაერთხელ დაიძაბა ურთიერთობა, სწორედ საზღვრის საკითხის გამო. ამასთანავე კრემლი ცდილობს, კიევის დახმარებით პრიდნესტროვიაზე წნეხი გააძლიეროს. როგორც ჩანს, რუსეთს კიევთან ხელახალი დამეგობრებით კიდევ ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე – მოლდოვაზეც სურს გავლენის დაბრუნება.

## "უნიჩი ინვესტის" დიხაუხოი დაახვეს

მთავარმა პროკურატურამ რუსულ-ქართული კომპანია „ენერჯი ინვესტის“ გენერალური დირექტორი გენადი მალაზონია დააკავა. სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, არ გაიზიარა ადვოკატის მიერ 20 ათასი ლარი გირაოს სანაცვლოდ დაკავებულის გათავისუფლების მოთხოვნა და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. პროცესს დაკავებული არ დასწრებია. პროკურატურამ მალაზონიას ბრალად განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების

დამალვა, უკანონო სამენარმო საქმიანობა, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და თაღლითობა წაუყენა. მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ ამ ყველაფრის შედეგად სახელმწიფოს განსაკუთრებით დიდი ოდენობის ზარალი მიადგა. საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო კომპანია „ენერჯი ინვესტი“ რუსეთის „აზოტის“ და გარდაბნის გაზოტურბინის მფლობელია, რომელიც რუსულ „ვენშტორგ-ბანკთან“ ერთობლივი საწარმოა. მალაზონია მანამდე სახელმწი-



ფო სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა, მათ შორის, იგი იყო საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი, ფინანსთა და განათლების მინისტრების მოადგილე.

## იხანის მოულოდნელი ბაზიზება

ირანის მოულოდნელმა გარიგებამ თურქეთსა და ბრაზილიასთან, შესაძლოა, ობამას ადმინისტრაციის მცდელობას, შეაკავოს ირანის ბირთვული მისწრაფებები, საფრთხე შეუქმნას. ახალი გარიგების თანახმად, ირანი მისი დაბალგამდიდრებული ურანის მარაგების ნაწილს შესანახად თურქეთში გაგზავნის. სანაცვლოდ კი, თურქეთისგან უფრო მაღალგამდიდრებულ ურანს მიიღებს, რომელიც 42 წლის წინ ამერიკელების მიერ სამედიცინო იზოტოპების წარმოებისთვის აშენებულ სამეცნიერო რეაქტორში სანავის სახით გამოიყენება. ამავე დროს ირანი არც ურანის გამდიდრების სამუშაოებს შეწყვეტს და საკუთარ პროგრამასთან დაკავშირებით ცალკეულ მოლაპარაკებებში არ ჩაერთვება. ექსპერტები ამბობენ, რომ სინამდვილეში ირანმა დასავლეთთან ბირთვულ მოლაპარაკებებში პროგრესის ილუზია შექმნა და თან სანაცვლოდ არ შეუთავაზებია ის, რასაც მისგან, უკვე კარგა ხანია, აშშ მოითხოვს. აშშ-ს მთავრობამ თურქეთისა და ბრაზილიის დიპლომატიური ძალისხმევა აღიარა, მაგრამ სახელმწიფო მდევანმა კლინტონმა აღნიშნა, რომ თეირანში ორშაბათს მიღწეულ შეთანხმებასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს. მისივე თქმით, ირანის წინააღმდეგ სანქციების მეოთხე რაუნდის დაწესებასთან დაკავშირებით აშშ და მსოფლიოს სხვა წამყვანი სახელმწიფოები უკვე შეთანხმდნენ.

# ქსპედიციის ხაზოქანდასიები NATO-ს

მადლენ ოლბრაიტის ხელმძღვანელობით, 12 ექსპერტისგან შემდგარმა ჯგუფმა NATO-ს სამომავლო სტრატეგიული კონცეფციისთვის რეკომენდაციები შეიმუშავა. NATO-ს გაფართოება უნდა გაგრძელდეს და ის ქვეყნები, რომლებსაც ამის სურვილი გააჩნიათ, უნდა გახდნენ ალიანსის წევრები მას შემდეგ, რაც ისინი წევრობისთვის აუცილებელ პირობებს შეასრულებენ“, – წერია ჯგუფის მიერ მომზადებულ ანგარიშში. ქვეთავში – „პარტნიორობა საქართველოსთან და უკრაინასთან“ – ნათქვამია, რომ NATO-სთან პარტნიორობის სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი „ნარემატებლობა“ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი იყო. ოლბრაითმა ანგარიშის ორი ძირითადი მიმართულება განმარტა: ერთი – ალიანსს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მისი წევრების თავდაცვა და უსაფრთხოება; მეორე – ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დინამიკურად ითანამშრომლებს მის ფარგლებს გარეთ მდებარე ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან. ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშზე დისკუსიები ნოემბერში ლისაბონში გაიმართება, სადაც ალიანსის განახლებული სტრატეგიული კონცეფცია უნდა დამტკიცდეს.



## ქილონის ვიზიტი ბათუმში

თურქეთში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი საქართველოს ესტუმრა. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სტუმარს ბათუმში დახვდა. ერდოღანის ვიზიტი აჭარაში სულ რამდენიმე საათს გაგრძელდა. პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრისას განხილული საკითხები საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სააკაშვილმა ახლა უკვე ერდოღანთან ერთად გახსნა თურქული კომპანიის მიერ აშენებული სასტუმრო „შერატონი“ და პრემიერმა საქართველოში მოპოვებული ოქროსგან დამზადებული „ოქროს საწმისის ორდენი“ მიიღო საჩუქრად. ორდენის გადაცემას მიხეილ სააკაშვილის ვრცელი სიტყვა უძღვოდა წინ ერდოღანის დამსახურებებისა და მისი საქართველოსთან დამოკიდებულებების შესახებ. მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველო-თურქეთის სასაზღვრო პუნქტები გაერთიანდება და „ჩვენს მოქალაქეებს ახალი წესების მიხედვით შეეძლება მიმოსვლა, საზღვარგარეთის პასპორტების გარეშე“.

## სიტყუბი



„მოსკოვის გადამეტებულმა სიყვარულმა, შესაძლოა, ჩვენი ერი დაახრჩოს... 19 წლის დამოუკიდებლობის მანძილზე ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნების საკითხი პირველად გახდა აქტუალური“.

**იულია ტიმოშენკო**  
**გაზეთი The Times**

„თითოეული ჩვენგანის ბედი დამოკიდებულია, რა მოხდება ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო. პატარა ქვეყნებისთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლისა და გადარჩენის საკითხია“.

**მიხეილ სააკაშვილი**  
**17 მაისი, ბათუმი**

„პირდაპირ ვილაპარაკოთ, გამოიყენებს თუ არა რუსეთი შავი ზღვის ფლოტს თავისი მეზობლების წინააღმდეგ. პირდაპირ გეუბნებით, რომ არ გამოიყენებს. რუსეთი მშვიდობიანი სახელმწიფოა“.

**დმიტრი მედვედევი**  
**17 მაისი, კიევი**

## ხიწუბი

**1,2** მილიარდი ლარია წელს გათვალისწინებული საქართველოს ბიუჯეტიდან სოციალურად დაუცველების დასახმარებლად.

**4,7** პროცენტით გაუფასურდა ლარი დოლარის მიმართ 2010 წლის 1 იანვრიდან 10 მაისამდე პერიოდში.

**33** -მა კომპანიამ გააკეთა განაცხადი პროექტში – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ – ჩასართავად.

**1** ნოემბრამდე იფრენს მოსკოვის მიმართულებით კომპანია „აირზენას“ თვითმფრინავები.





ფოტორეაქტი: თინათინა ბერიძე

# საჩვენებელი ხელი



# 7 ბუბახნახოი და 1000-ზე მეტი საჯახო მოხედა შუბულებში

რეგიონული ადმინისტრაციებისა და თვითმმართველობების თანამშრომლები 31 მაისამდე მასობრივად არიან შევებულებაში გასული. მათი უმრავლესობა წინასაარჩევნო კამპანიაშია ჩართული.

## ანიტა თვაური

„მეც შევებულებაში ვარ გასული და პრესმდივანს დაუკავშირდით“, – გვპასუხობს ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელი ზვიად კეჭაყმაძე, როდესაც გუბერნატორის შევებულებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ვთხოვთ. ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით კირკიტაძე შევებულებაშია.

თითქმის ერთი თვეა, რაც რეგიონული მუნიციპალიტეტებისა თუ სხვა საჯარო დაწესებულებების თანამშრომლები მასობრივად გადაიან შევებულებაში და აქტიურად ერთვებიან წინასაარჩევნო კამპანიაში.

ამ დროისათვის შევებულებაში ყველა სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, გარდა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორისა. მუშაობას აგრძელებს ლევან ვარშალომიძეც.

შევებულებით სარგებლობენ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები, ეკონომიკის სამინისტროს 11 თანამშრომელი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების მინისტრი და ამ სამინისტროს 16 თანამშრომელი. ისვენებენ გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსი და სამმართველოს 13 თანამშრომელი; ასევე – აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის 18 მოხელე.

ამ დროისათვის აჭარის მუნიციპალიტეტების 49 თანამშრომელიც შევებულებაშია, მათგან 11 კი საუბნო საარჩევნო კომისიებშია დასაქმებული.

მცხეთის მუნიციპალიტეტიდან ერთდროულად 40 თანამშრომლის შევებულებაში გასვლას სამხარეო ადმინისტრაციაში ასე ხსნიან, – „მართალია, ახლა დასასვენებელი სეზონი არ არის, მაგრამ ამდენი თანამშრომლის ერთდროულად შევებულებაში გასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამ-

გეობაში 27 თანამშრომელია შევებულებაში. მათი უმეტესობა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია, ზოგი კი მმართველის პარტიის შტაბის წევრია. შევებულებაში არიან – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 25 და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 12 თანამშრომელი.

ქუთაისის თვითმმართველობიდან შევებულებაშია 77 თანამშრომელი.

1 მაისიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 18 თანამშრომელს უფლებამოსილება აქვს შეჩერებული, ხოლო 3 მაისიდან შევებულებაში იმყოფება 35 თანამშრომელი. მათი უმრავლესობა სოფლის რწმუნებულია. დროებით უფლებამოსილება აქვს შეჩერებული ზუგდიდის საკრებულოს 10 თანამშრომელს.

„გამგეობას სულ 11 რწმუნებული ჰყავს და 1 მაისიდან ყველა შევებულებაშია. რატომ მაინცდამაინც წინასაარჩევნოდ? ალბათ ახლა სჭირდებათ შევებულება და იმიტომ“, – ამბობს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გია ცინცაძე.

ყვარლის მუნიციპალიტეტიდან ამჟამად 37 თანამშრომელია შევებულებაში, ახმეტის მუნიციპალიტეტიდან – 16, დედოფლისწყაროს გამგეობიდან – 31, ლაგოდეხის – 40, გურჯაანის გამგეობიდან – 50, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტიდან – 47 თანამშრომელი. მათი დიდი ნაწილიც „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბებში მუშაობს. რეგიონალურ შტაბს კახეთის გუბერნატორი გიორგი ლვინიაშვილი ხელმძღვანელობს.

„ადამიანებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ჩართულიყვნენ წინასაარჩევნო კამპანიაში და მათ აქვთ უფლება, ისე გამოიყენონ შევებულება, როგორც სურთ. ამაში არანაირ ანაზღაურებას არ იღებენ. ჩვენ კანონის ფარგლებ-

ში ვიმოქმედეთ“, – ამბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი კოკი იონათამიშვილი.

დროებით გათავისუფლებულია გორის მუნიციპალიტეტის 45 თანამშრომელიც, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი და მისი 30 თანამშრომელი კი შევებულებაში არიან. გამონაკლისი არც ქარელია და ამ მუნიციპალიტეტის 30 თანამშრომელიც „ისვენებს“.

საარჩევნო კოდექსი საჯარო მოხელეებს წინასაარჩევნო აგიტაციას მხოლოდ სამუშაო საათებში უკრძალავს. შევებულებაში გასვლის შემთხვევაში, მათ თავისუფლად შეუძლიათ, მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო პროცესში.

„ყველაფერი კეთდება ფორმალურად იმისათვის, რომ არ დაირღვეს კანონმდებლობა, და არ იქნას გამოყენებული ადმინისტრაციული რესურსები“, – ამბობს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ტყეშელაშვილი. ის მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ამდენი თანამშრომლის ერთდროულად შევებულებაში გასვლა არ უშლის ხელს მუნიციპალიტეტის საქმიანობას.

„თუ იმის ფუფუნება აქვს მუნიციპალიტეტებს, რომ ყველაზე აქტიურ სეზონზე ამდენი ადამიანი გაუშვან შევებულებაში და მაინც შეუფერხებლად იმუშაონ, მაშინ მიჩნდება ეჭვი, რომ მათი რაოდენობა ხელოვნურად არის გაზრდილი“, – ამბობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პროგრამების დირექტორი ნინა ხატისკაცია.

ის დადებითად აფასებს საჯარო მოხელეების მცდელობას, რომ არ დაარღვიონ კანონი, აიღონ შევებულება და ისე ჩაერთონ წინასაარჩევნო კამპანიაში. თუმცა, მისი აზრით, სამართლიანი იქნება, თუ საჯარო მოხელეებს საარჩევნო კამპანიაში ჩაბმა კანონით აეკრძალებათ. **□**



# ფესხივანი დუსასნაუის ბაიუ

წინასაარჩევნო  
ტემპერატურის  
მომთენთავი ეფექტი  
წლევანდელ წიგნის  
ფესტივალზეც აისახა.

ნათია გულიაშვილი

## ანონიუხი ახრევიანი

30 მაისს არჩევნების პარალელურად, თბილისში ეგზიტ პოლს ორი უცხოური კომპანია ჩაატარებს.

### წინო გოგუა

კვლევითი ორგანიზაცია „ედისონ რისერჩი“ სიდიდით მსოფლიოში მეოთხეა და არჩევნებზე ეგზიტ პოლების ჩატარების 20-წლიანი გამოცდილება აქვს. ეს ორგანიზაცია ერთ-ერთი იქნება, ვისი აგენტებიც 30 მაისს თვითმმართველობის არჩევნებზე მისულ თბილისელებს შეიძლება შეხვდეთ. იმის გასაგებად, თუ რომელ კანდიდატს მისცა მოქალაქემ ხმა, საარჩევნო უბნიდან გამოსულ ამომრჩეველს ისინი ანკეტის შევსებას სთხოვენ. გამოკითხვა ანონიმური და ნებაყოფლობითია.

არჩევნების დღეს მოპოვებული ინფორმაცია დაჯამდება და შედეგებს მაყურებელი ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ ეთერით მიიღებს, მხოლოდ უკვე მას შემდეგ, რაც ხმის მიცემის პროცედურა შეწყდება და თბილისის ყველა უბანი დახურულად გამოცხადდება.

ეგზიტ პოლს კიდევ ერთი უცხოური ორგანიზაცია „ჯიფიკეი გრუფი“ ჩაატარებს. მას ეს მომსახურება 86 000 დოლარად „საზოგადოებრივმა მანუწყებელმა“ დაუკვეთა. „ჯიფიკეი ჯგუფი“ 30 მაისს 30 000 ადამიანს გამოკითხავს,

რაც სსმ-ს გენერალური დირექტორის, გია ჭანტურას განცხადებით, ეგზიტ პოლსა და რეალურ შედეგებს შორის 3%-ზე მეტ ცდომილებას გამოიწვავს.

30 მაისის არჩევნები პირველი შემთხვევაა, როცა ეგზიტ პოლს არც ერთი ქართული ორგანიზაცია არ ჩაატარებს. „უცხოური ორგანიზაციის დაქირავებას ერთადერთი მიზანი აქვს — საზოგადოებაში ნდობის გაზრდა, რომ არ იყოს ისეთი მითქმა-მოთქმა, როგორც წინა წლებში იყო, როცა ეგზიტ პოლს მიკერძოებულს უწოდებდნენ“, — განმარტავს ტელეკომპანია „იმედის“ პროდიუსერი ირაკლი გვარამაძე.

კომპანია „ედისონ რისერჩის“ დირექტორი ჯო ლენსკი „ლიბერალთან“ საუბარში ადასტურებს, რომ პოლიტიკურ ძალებს ხშირად მოუთხოვიათ არასასურველი შედეგების შეცვლა, ან მათი დამალვა, მაგრამ ეს არასოდეს მომხდარა: „ჩვენ ჩვენი სისტემა გვაქვს და რაც უნდა მოინდომონ პოლიტიკოსებმა ქვეყნის შიგნით, ჩვენ ინფორმაციის დამუშავებას და შემდეგ მის გავრცელებას ნებისმიერ შემთხვევაში ვახერხებთ“. □

სანამ თანამედროვე ტექნოლოგიებით მსოფლიოში ელექტრონული წიგნის წასაკითხ მოწყობილობებს ხვეწენ, ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ ენყობა უზარმაზარი და შთამბეჭდავი წიგნის ფესტივალები. უფრო მეტიც, ასეთ ღონისძიებებზე ელექტრონულ წიგნებს საკუთარი კუთხე აქვთ, ხოლო ისეთი სტუმრებისთვის, ვისაც მხოლოდ ტექსტით ვერ მიიზიდავ, კომიქსების თუ ფოტოგალერეების დასათვალიერებლად ცალკე ოთახებს გამოჰყოფენ. რა თქმა უნდა, ასეთ დროს ორგანიზატორებს კომერციული ინტერესებიც ამოძრავებთ, მაგრამ სწორედ ამიტომ ისინი ძალასა და იდეებს არ იშურებენ, ფესტივალი მკითხველისთვის თუ უბრალოდ დამთვალიერებლისთვის დღესასწაულად აქციონ.

თბილისში წიგნის საერთაშორისო ფესტივალი წელს მეთორმეტედ გაიმართა. მისი ორგანიზატორი, ტრადიციულად, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა საზოგადოება იყო, ამჯერად — კულტურის სამინისტროსა და მერიის მხარდაჭერით. თუმცა, როგორც ჩანს, წინასაარჩევნო ცაიტნოტმა ფესტივალის ორგანიზებაზე გავლენა მაინც მოახდინა. ის ნაჩქარევად გაკეთებული საქმის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ორგანიზებისთვის საჭირო დროის ნაკლებობის გამო, ფესტივალს, რომელიც საერთაშორისოა,





თბილისის წიგნის მე-12 საერთაშორისო ფესტივალი, მაისი 2010

ფოტო: ლევან ხორაშვილი

არც უცხოეთიდან ჰყოლია გამომცემელი სტუმრები, თუ არ ჩავთვლით ირანის საელჩოს წარმომადგენლობის სტენდზე სპეციალურად გამოფენისთვის ირანიდან გამოგზავნილ ლიტერატურას.

საერთო ჯამში, ფესტივალი 80-მდე მონაწილეს დაეთმო. მათ შორის 55-მდე გამომცემელთან ერთად იყვნენ ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

ლონისძიების ორგანიზატორების გათვლით, ამჯერად მას ადვილად მისადგომი, ფილარმონიის შენობა დაეთმო. თუმცა პირველივე დღეს გაირკვა, რომ გადაწყვეტილება ნაწილობრივ წამგებიანი იყო. შარშანდელი ექსპოზიციის საგამოფენო ცენტრისგან განსხვავებით, ფილარმონიის პოლში, ადგილის ნაკლებობისა და გამომცემელთა გაზრდილი რიცხვის გამო, სტენდები ერთ მთლიან სივრცეში ვერ განლაგდა, რაც დამთვალეირებისთვისაც ხელისშემშლელი იყო და თავად გამომცემელთა ურთიერთობისთვისაც. თუმცა, იმას, რომ ჩვენთან წიგნის ფესტივალი იდეათა გაცვლისა და ახალი პროექტების დაბადების ადგილად ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა, მხოლოდ ფართის სიმცირეს ვერ დავაბრალებთ.

ორგანიზების კიდევ ერთი ნაკლი ის იყო, რომ ფესტივალის 4 დღიდან,

დასვენების დღეს არც ერთი დაემთხვა და ეს გარკვეულწილად მომსვლელთა რაოდენობაზეც აისახა.

რაც შეეხება უშუალოდ გამომცემლებს, მათ მიერ წარმოდგენილი წიგნების უმრავლესობა აქტიური მკითხველისთვის ნაცნობი იყო, თუმცა ფესტივალის ფარგლებში რამდენიმე ახალი კრებულის პრეზენტაციაც შედგა და, მათ შორის პოეზია, როგორც წესი, დაჩაგრული აღმოჩნდა.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ 2009 წლის „15 საუკეთესო მოთხრობის“ კრებული წარმოადგინა და ტრადიციულად პრემია „წლის საუკეთესო მოთხრობის“ გამარჯვებულებს წელს უკვე მეშვიდედ აირჩია.

კიდევ ერთი პროზაული კრებული „39 რჩეული მოთხრობა“ ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ 5 წლის საიუბილეო ანთოლოგიად გამოიცა. როგორც მისმა რედაქტორმა ბესო ხვედელიძემ გვითხრა, კრებული ჟურნალში 5 წლის განმავლობაში დაბეჭდილი მოთხრობებით შეადგინეს.

გამომცემლობა „სიესტამ“ კი გვიჩვენა ალბანო-სერბული ავტობიოგრაფიული წიგნის „მომავალი წარსულის“ პრეზენტაცია გამართა.

გამომცემლობამ ფესტივალზე წიგნების უმრავლესობა 40%-იანი ფასდაკლებით გამოიტანა. ზოგადად კი წიგნების მეტ ნაწილს ფასები 10-20%-ით აკლდებოდა, იშვიათ შემთხვევაში – 60 პროცენტით. თუმცა

„ლიბერალთან“ საუბარში რამდენიმე მკითხველმა დაიჩივლა, რომ წიგნებზე, რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებთ, ფასდაკლება უმნიშვნელო იყო.

სამხატვრო აკადემიასთან არსებული წიგნის სახელოსნო „ვიგრამის“ სტუდენტებმა, რომელსაც დიზაინისა და სარეკლამო გრაფიკის პედაგოგი ოთარ ყარალაშვილი ხელმძღვანელობს, ფესტივალზე განსხვავებული ნამუშევრები – ხელნაკეთი წიგნების მაკეტები ვიდეოპრეზენტაციით წარმოადგინეს.

ორიგინალურობით კი წლევანდელი ფესტივალის სტუმრებს თავი „პალიტრა L“-ის პროექტმა დაამახსოვრა – ფილარმონიის ივენთ-პოლის მესამე სართულზე გააცოცხლეს „კარცერი-ლუქსი“ გურამ დოჩინაშვილის მოთხრობიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. შუა დარბაზში დადგმულ რკინის კონსტრუქციაში ყველა მსურველს შეეძლო, საკუთარი ნებით ჩამჯდა-რიყო, იატაკზე მიმოხეული ქართული პროზის სასურველი ტომი აერჩია და 10 წუთის განმავლობაში კითხვით „დასჯილიყო“.

„ხმამალა კითხვას ისეთი ხიბლი აქვს, რომ „ტუსალებს“ დრო სულ ავიწყდებათ და ჩვენც სწორედ ამ ხიბლის გამოყენებაზე ვითამაშეთ“, – გვითხრა „მედია პალიტრის“ კრეატიულმა დირექტორმა მარია დარჩიამ. რაც მთავარია, „დასჯის“ შემდეგ გამომცემლობა მკითხველს „კარცერი-ლუქსში“ ნაკითხული წიგნით აჯილდოებდა.

თუმცა, ეს ღონისძიება, კრეატიულობის თვალსაზრისით, წლევანდელ ფესტივალზე გამონაკლისი იყო. ნამდვილი დღესასწაულის განწყობას წიგნის ბაზრობა ალბათ მხოლოდ მაშინ შეიძენს, როცა ყველა გამომცემლობა შეეცდება, თითო ასეთი იდეა მაინც შესთავაზოს სტუმრებს, ორგანიზატორები კი, თავის მხრივ, პოლიტიკურად გაჯერებულ ქართულ საინფორმაციო სივრცეში ფესტივალის პოპულარიზებაზეც იზრუნებენ, რომ პოტენციური მკითხველისთვის წიგნის დღესასწაულის მოლოდინი მხოლოდ ფესტივალის 4 დღით არ შემოიფარგლოს. **□**

# გაღიარებული ფაქტები

სამაუწყებლო მედიის ყურადღების მიღმა თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი აღმოჩნდა.

## რუსულად რუხად



„დაბალანსებული, განონანსორებული და ეფექტიანი“, – ასე დაახასიათა მოკლედ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა მისივე თანამონაწილეობით შექმნილი ახალი კონსტიტუციის სამუშაო ვერსია. წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე, ეს საკითხი მაუწყებლებმა ჯეროვნად არ გააშუქეს, თუ არ ჩავთვლით „მესტროს“ მცდელობას, წინ წამოეწია საკონსტიტუციო რეფორმის საკითხი. თუმცა ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელიც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ჭრილშია მნიშვნელოვანი, მაუწყებლების ყურადღების მიღმა დარჩა.

კონსტიტუციის რეფორმის შესახებ „ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის“ (NIMD) კვლევის მიხედვით, საზოგადოების დიდი ნაწილი ხელისუფლების დეცენტრალიზაციას უჭერს მხარს, როდესაც, რეალურად, მუნიციპალიტეტებს და საკრებულოებს შეზღუდული უფლებამოსილება აქვთ. გამოკითხულთა 68 პროცენტი მხარს ძლიერ ადგილობრივ ხელისუფლებას უჭერს, ხოლო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მომხრე 24 პროცენტია.

დეცენტრალიზაციის მხარდაჭერა განსაკუთრებით აშკარაა ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობებზე საუბრისას. 10-დან 6 ადამიანი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უნდა იყოს პასუხისმგებელი ისეთ საკითხებზე, როგორცაა გზების მშენებლობა და შეკეთება რაიონებში, უბნისა და ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელების დანიშვნა. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივი გადანაწილების მიღებას კი ისეთ საკითხებთან დაკავშირებით უჭერენ მხარს, როგორცაა ძირითადი გზატკეცილების მშენებლობა, გადასახადების დანესება, მინის გამოყენებაზე

ნების შემოღება და სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია.

დედაქალაქის გარეთ მცხოვრებნი ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიას მეტად უჭერენ მხარს. „ეს შესაძლოა პროვინციის მოსახლეობის შეზღუდულ უფლებებზე მიუთითებდეს. მონაცემებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდა, როგორც საკონსტიტუციო რეფორმის ნაწილი, დიდად იქნება მხარდაჭერილი საზოგადოების მიერ“, – აღნიშნულია კვლევის ანგარიშში. ზოგადად, თვითმმართველობათა უფლებამოსილების საკითხის გაშლა ერთ-ერთი საინტერესო მხარე იქნებოდა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად განხორციელდება კანდიდატთა დაპირებები.

საყურადღებო ტენდენციაა ისიც, რომ რეგიონების თვითმმართველობის არჩევნები მედიის ყურადღების მიღმა აღმოჩნდა, ძირითად ყურადღება თბილისის მერის არჩევნებს ექცევა. რეგიონში მიმდინარე პროცესებს ნაციონალური მაუწყებლებიდან თვალყურს „მოამბე“ ადევნებს, ძირითადად დარღვევების მონიტორინგის კუთხით. „რუსთავი 2“-სა და „იმედზე“ კი საარჩევნო თემატიკა უმეტესწილად საინფორმაციო გამოშვებების მეორე ბლოკებშია გადანაწილებული და საარჩევნო ქრონიკით შემოიფარგლება. შესაბამისად, არც დარღვევების შესახებ გვხვდება სიუჟეტები. ამ ორი ტელეკომპანიის აქტივობა წინასაარჩევნო პერიოდში სხვა მიმართულებით გამოიხატა. ეს არის დაგეგმილი ეგზიტპოლი და ფრანგული კვლევითი კომპანია CSA-თვის დაკვეთილი საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელმაც მმართველი პარტიის და მისი კანდიდატის უპირატესობა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

რეგიონების გაშუქების თვალსაზრისით,

საინტერესო იყო „მოამბეს“ მიერ მომზადებული სიუჟეტი, თუ რა ვითარებაა წინასაარჩევნოდ აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულში. „7-შია თუ 30-ში“, „პრეზიდენტს ირჩევენ თუ გიგი უგულავას“, – ეს ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი დონე იყო, მოსახლეობის უმეტესობას კი წარმოადგენს არ აქვს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება.

მომდევნო სიუჟეტი ახალქალაქს შეეხებოდა, სადაც ძირითად მოსახლეობას სომხები შეადგენენ. „ახალქალაქის მოსახლეობას არჩევნების მოახლოებას ნაციონალურ პლაკატები ახსენებს“, – ასე იწყებოდა სიუჟეტი და იქვე იყო მითითებული, რომ მომავალი კვირიდან რეგიონში „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობაც“ გააქტიურდება. „მარნეულის, ახალციხის და ბოლნისის შედეგებით ვერ გავიყვალბებენ არჩევნებს, თბილისი არ ყალბდება“, – აცხადებს ზვიად ძიძიგური. ოპოზიციურ პარტიათა ნაკლებაქტიურობა რეგიონებზე მომზადებულ ყველა სიუჟეტში ხაზგასმულია, თავად კანდიდატები კი ამის მიზეზად „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ხელის შეშლას ასახელებენ.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ერთ-ერთი პოპულარული თემაა წინასაარჩევნოდ მაუწყებლებისთვის („კავკასია“, „მესტრო“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“). „ნაციონალური მოძრაობა“ პირველი იყო პოლიტიკური პარტიებიდან, რომელიც ადმინისტრაციული რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ მემორანდუმს შეუერთდა, თუმცა ყველაზე მეტი ბრალდება მედიაში სწორედ მათ მიმართ გაჟღერდა. „რა ვენათ, შენწყვიტოთ პენსიების გაცემა, რახან წინასაარჩევნო პერიოდი?“ – ასე უპასუხა გიგი უგულავამ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებულ



ანგარიშს. „ძნელია, გაავლო ზღვარი სახელმწიფოს ფუნქციონირებას და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას შორის“, – განმარტავდა უმრავლესობის წევრი დავით დარჩიაშვილი. ამ ორი საკითხის გამიჯვნას კი მედიისთვის ისიც ართულებს, რომ ქალაქის მერი ამავე დროს მერობის კანდიდატია.

„ამას არ სჭირდება ოპოზიციის ხელმძღვანელები, ამას ხელისუფლების ნება სჭირდება“, – აცხადებდა გიორგი თარგამაძე მემორანდუმის თაობაზე. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ კი განმარტავდა, რომ „მმართველი პარტიის მხრიდან მემორანდუმთან მიერთება მნიშვნელოვანია, რადგანაც მას ყველაზე მეტად მიუხედავად ხელი რესურსზე“.

სამსახურებრივი მანქანების და კორპორატიული სატელეფონო ნომრების გამოყენება – ყველაზე მსუბუქია იმ დარღვევათა შორის, რაც მედიაში ხვდება, ოპოზიციური კანდიდატების დაშინება და დამატარება კი – ყველაზე მძიმე. „კავკასიასა“ და „მეესტროზე“ უმეტესად ბრალდებები მოპასუხე მხარის კომენტარის გარეშეა წარმოჩენილი, ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ახალი ამბების სცენარი „მოამბის“ სოუჟეტებში კი ხშირად ერთმანეთის იდენტურია: ყურნალისტი რეგონებში იმ ამბების კვალდაკვალ მიდის, რაზეც ოპოზიციური პარტიები ან არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებენ. სოუჟეტში არ ჩანს არც დამძინებელი და არც დაშინებული. მათი ჩანერა, ვინც ამ ზენოლის მსხვერპლია, ვერ ხერხდება, მიზეზი მარტივია და დამაჯერებელი – „არ სურთ კამერის წინ გამოჩენა“. სოუჟეტის წყარო ამბის გამგონე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელია, ბოლო სიტყვა კი ისევ მმართველი პარტიის წარმომადგენელს ეკუთვნის (რომელიც თავად არ არის შანტაჟის მონაწილე), რომ ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუეა. სატელევიზიო ახალი ამბის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთი პრობლემები მედიას ურთულებს ამ ტიპის ამბების დამაჯერებლად წარმოჩენას.

თუმცა, არის კიდევ უფრო მსხვილი დარღვევები, რაზეც არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებენ და ამის ამსახველი ვიდეომასალებიც არსებობს, მაგრამ ისინი ნაციონალური არხების საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში არ ხვდება. არჩევნების მედიაციენტრი („ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნები“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა“) 3 მაისს მესტიაში მომხდარ ფაქტზე მიუთითებს, როდესაც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუ-

ბერნატორმა ზაზა გოროზიამ, სამხარეო პოლიციის უფროსმა თენგიზ გუნავამ (რომელიც კადრში ჩანს) და ძალოვანი უწყებების სხვა თანამშრომლებმა ოპოზიციურ კანდიდატებს იძულებითი მონაწილეს ხელი განცხადებებზე, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეომასალა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ყურნალისტებს პრესკონფერენციაზე წარუდგინეს, მასალა სრულად „მეესტრომ“ აჩვენა, რომელსაც ახლდა დაზარალებული ლერი ნაკანის (პარტია „თავისუფლება“) კომენტარიც და ზაზა გოროზიას სატელეფონო უარყოფაც: „არც ერთი სამხედრო იქ არ ყოფილა, სპეცდანიშნულების ჯგუფი ყოველთვის არის მესტიაში“. იქვე პროვოკაცია უნდა ამ ფაქტს და განმარტა, რომ მესტიაში რამდენიმედიანი უშუქობის პრობლემის გამო იყო ასული და სპეცდანიშნულების რაზმიც ამიტომ პატრულირებდა. „მოამბეში“ კი აღნიშნული იყო, რომ არჩევნების მედიაციენტრმა პრესკონფერენცია გამართა და სვანეთში მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალაც წარადგინა, რომლის ფრაგმენტიც კადრში პრესკონფერენციის ფონად ჩანდა.

ნაციონალური არხების ყურადღების მიღმა აღმოჩნდა ასევე „ეროვნული საბჭოსა“ და „ეროვნული ფორუმის“ მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეტანილი საარჩევნო განხილვა. დიდუბის საოლქო კომისიის თავმჯდომარის მიერ კომისიის წევრების კონცერტზე და შემდეგ რესტორანში დაპატიჟების ამსახველი ვიდეომასალა „მეესტრომ“ და „კავკასიამ“ აჩვენა. „ეს იყო ჩვეულებრივი ქართული ქეიფი, რაც კანონდარღვევა არ არის, ასე მთელი საქართველო დასაჭერი იქნებოდა“, – განმარტა გიორგი ბარამიძემ, რომელიც თავად ესწრებოდა „ჩვეულებრივ ქართულ ქეიფს“. საარჩევნო არც ცესკო-მ დააკმაყოფილა.

ზედაპირულად იყო გამოუქვეპებული საარჩევნო სიების საკითხიც. საარჩევნო სიების გადამონებმა პოლიტიკური პარტიების მხრიდან, აღმოჩენილი ხარვეზების რაოდენობრივი მონაცემები, რეესტრის მხრიდან ჩასწორებები, ამაში დახარჯული თანხა და ბოლოს ცესკო-ს ინიციატივა რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლებისთვის დამატებითი უბნების შექმნაზე – ამ ყველაფერმა ბოლოს სამივე ნაციონალური მაუწყებელი მხოლოდ ერთ ამომრჩევლამდე, საფეხბურთო მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილამდე მიიყვანა, მაშინ როცა ასეთი ამომრჩეველი ათასობითაა ქალაქში.

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას კანდიდატები არათანაბარ მედიაზე საუბრობენ. „მომეცით ისეთი მედია, როგორც „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს და მეც ვანარმოებ ასეთ კამპანიას“, – პირველი სამდურავი ქრისტიან-დემოკრატმა ლევან ვეფხვაძემ გამოთქვა, თუმცა ეს პოლიტიკური პარტია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებული პარტიაა ახალ ამბებში. ზვიად ძიძიგურმაც „რუსთავი 2“-ის და „იმედის“ მისამართით უკმაყოფილება ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიას გაანდო. თინა ხიდაშელი კი აღნიშნავდა, რომ „ქართული ტელევიზიონი მათ აქტივობებს საკმარისად არ ასახავს. ნაციონალური არხები მოდიან, ინერენ, არქივებს აკეთებენ და აღარ უშვებენ. ვილაცას ეგონება, რომ ვპასიურობთ“. სამაგიეროდ „ალიანსის“ აქტივობებს უხვად აშუქებს „კავკასიაცა“ და „მეესტროც“.

„მოამბეში“ გასულ სოუჟეტში სხვა ოპოზიციური კანდიდატებიცა და პარტიებიც არათანაბარ მედიაგაშუქებაზე მიუთითებდნენ, ტელეყურნალისტები კი არჩევნებამდე ორი კვირით ადრე თბილისის მერიის მიერ მხარდაჭერილ „მასმონა-2010“-ში იღებენ მონაწილეობას. მათ შორის ის ყურნალისტებიც, რომლებიც თავად აშუქებენ თვითმმართველობის არჩევნებს. „იშვით შემთხვევებში, მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, შეიძლება ყურნალისტმა მიიღოს გარკვეული შეღავათი – მაგალითად, ფასდაკლება თვითმფრინავის ბილეთზე, უფასო ბილეთი წარმოდგენაზე, უფასო ტრანსპორტირება და სასტუმრო, და ა.შ. ასეთმა მიდგომამ არ უნდა იმოქმედოს საკითხის ობიექტურად გაშუქებაზე (22.8)“ – აღნიშნულია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ქცევის კოდექსში. „მოამბის“ ყურნალისტ კი მერიისგან პრიზად სასტუმრო „რედისონში“ ორი ღამის გათვება ერგო. კოდექსში „სამსახურებრივი მოვალეობის“ ნაცვლად, „ცოლ-ქმრული მოვალეობა“ რომ ეწეროს, საკამათოც არაფერი იქნებოდა. □



სტატიის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერით. სტატიამ გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

# ახის თუ ახა "მე მიყვანის თბილისი" მეხიის ხამჯანია?



**ირაკლი აბესაძე**  
თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის  
მოადგილე

„მე მიყვარს თბილისი“ და მსგავსი პროექტები აპრობირებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მას აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ქალაქში.

თბილისიც შეუერთდა ამ კამპანიას, რასაც აბსოლუტურად არ აქვს პოლიტიკური შინაარსი. ამასთან, მითითებული პროექტი ცალკე პროგრამის სახით არ არსებობს. „მე მიყვარს თბილისი“ არის სლოგანი, რომელიც გამოიყენება თბილისის მერიის მიერ სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებისას. თბილისის მერიის კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დროს, ამ შინაარსის წარწერის გაკეთება, კანონის შესაბამისად, არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების ხარჯვას. ამიტომ, თუ არ არსებობს პროგრამა ცალკე აღებული, შესაბამისად, მას არ გააჩნია და ვერც ექნება ბიუჯეტი.

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №15-37 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის 2010 წლის ბიუჯეტი, რომელშიც დეტალურად არის განწერილი ის პროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც 2010 წლის განმავლობაში განახორციელებს თბილისის მერია. აღნიშნულ ნორმატიულ აქტში „მე მიყვარს თბილისი“ ცალკე პროგრამის სახით არაა მითითებული, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი ამ ფორმით არც არსებობს. ამასთან აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ამ სლოგანის თბილისის მერიის მიერ გამოყენების ექსკლუზიური უფლება და, შესაბამისად, მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ სუბიექტს თავისი მიზნებისათვის, როგორც უბრალოდ თავისი განწყობის გამოსახატად, ასევე – კომერციული თუ სხვა დანიშნულებით. **□**



**მამუკა ბალიაშვილი**  
„საქართველოს გზის“ ახალგაზრდული  
ორგანიზაციის თავმჯდომარე

სლოგანი და ლოგო „მე მიყვარს თბილისი“ ასოცირდება თბილისის მერიასთან და გიგი უგულავასთან და არა – თბილისთან. მას შემდეგ, რაც მერიისგან ვერ მივიღეთ პასუხი კითხვაზე თუ რა თანხა იხარჯება პროექტზე „მე მიყვარს თბილისი“, მივმართეთ სასამართლოს. მერიამ მტკიცებულებად წარმოადგინა თბილისის 2009-2010 წლის ბიუჯეტი, სადაც კამპანია „მე მიყვარს თბილისზე“ ერთი თეთრი არაა გამოყოფილი. ეს განცხადება იმის ნათელი მაგალითია, თუ რამდენად არაგამჭვირვალეა თბილისის ბიუჯეტი.

სლოგანი და ლოგო „მე მიყვარს თბილისი“ მერიის ბოლო





ფოტო: თინათინ პარკიანი/საპრესო

თვეების ღონისძიებების განუყოფელი ნაწილი გახდა. თბილისის მერიამ კერძო კომპანია „სითი პარკს“ დაუმზადა რეკლამა. 25-ლარიანი პარკირების საბარათე სისტემის შემოსვლის შემდეგ მერიის მიერ დამზადებული ვიდეორგოლი „მე მიყვარს თბილისი“ სიმღერის ფონზე უხსნიდა მოქალაქეებს, თუ რატომ არის კარგი ამგვარი გადახდის სისტემა. „სითი პარკი“ კი 25-ლარიანი ბარათის შექმნისას მოქალაქეებს გადასცემს სტიკერს, რომელზეც გამოსახულია ლოგო „მე მიყვარს თბილისი“, რაც ავტომატურად მერიასთან ასოცირდება.

ამგვარი ლოგო გაჩნდა თბილისის მეტროს ვაგონებზეც. თუმცა, არანაირი დადგენილება ამგვარი წარწერის გაკეთების შესახებ არ არსებობს.

ლოგო და სლოგანი „მე მიყვარს თბილისი“ პირველად 2009 წლის თბილისობის დღესასწაულზე გამოჩნდა. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე, 23-28 ოქტომ-

ბერს დაგეგმილი „თბილისობის“ სარეკლამო ბანერს თან ერთოდა ლოგო „მე მიყვარს თბილისი“. ქალაქში გამართულ ღონისძიებებს მუდმივად თან ახლდა ეს ლოგო. ამავე ღონისძიების ფარგლებში გამართული საკონცერტო სცენის უკან დამონტაჟებულ ეკრანზე ტრიალებდა ლოგო „მე მიყვარს თბილისი“ და მომღერალი სოფო ნიჟარაძე კი ასრულებდა ამავე სახელწოდების სიმღერას.

მერიის ინიციატივით, დაფუძნდა მოძრაობა „მე მიყვარს თბილისი“, რომელსაც თბილისის მერისთვის უნდა მიეცა რჩევები ქალაქგანვითარების საკითხებზე, აღნიშნული მოძრაობის ვებგვერდი მერიის დაფინანსებით გაკეთდა.

ნოემბერში მერიის ინიციატივით დაიწყო პროექტი „ერთად დავგვემოთ ბიუჯეტი“, რომელიც მოსახლეობის სოციალურ გამოკითხვას წარმოადგენდა თბილისის ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებით. ორგვერდიანი კითხვარის პირველ გვერდზე მოზრდილ ნაწილს იკავებდა ლოგო „მე მიყვარს თბილისი“.

თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე ახალი წლის დღეებში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ „პროექტ „მე მიყვარს თბილისი“ ფარგლებში, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორმა მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს საახალწლო ნობათი მიუტანეს“. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არსებობს კამპანია „მე მიყვარს თბილისი“.

წარწერა „თბილისის მერია“ და ლოგო „მე მიყვარს თბილისი“ ახლად მშენებარე მაგისტრალის ბანერზეც არის. სასამართლოზე მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ თურმე აღნიშნული ბანერების გაკეთება მშენებლობებზე კანონის მოთხოვნაა. თუმცა, კანონი მოითხოვს, სამშენებლო ობიექტზე განთავსდეს ბანერი, სადაც მითითებული იქნება იმ ობიექტის მაკეტი, რაც შენდება და სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის დასახელება. ამ ბანერზე კი ასეთი კომპანია არ არის მითითებული.

მერიისა და თბილისის მერის, გიგი უგულავას მიერ დაგეგმილ აქციებზე მუდმივად ჩნდება მაისურები ლოგოთი „მე მიყვარს თბილისი“, მის დასამზადებლად კი მერიამ უნდა იყოს გაწეული თანხები.

ყველაზე ნათელი დასტური, რომ კამპანია „მე მიყვარს თბილისი“ მერიას ეკუთვნის და მასზე დიდი თანხები იხარჯება, არის ვებგვერდი [ilovetbilisi.ge](http://ilovetbilisi.ge). მის მთავარ გვერდზე დევს თბილისის მერიის ოფიციალური ვებგვერდის ბანერი. განყოფილებაში „ხელისუფლება“ ქვეგანყოფილებებია – „თბილისის გამგეობები“, „მერიის ადმინისტრაცია“ და „საქალაქო სამსახურები“. განყოფილებაში „თანამშრომლები“ მერიის თანამშრომელთა სია არის წარმოდგენილი. ვებგვერდი ყოველდღიურად ახლდება. **□**

# ამერიკა და საქართველო



გადანყვეტილებები, რომელსაც საქართველო თავად იღებს, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის გადანყვეტილებები, რომლებიც ვაშინგტონში, ბრიუსელსა და მოსკოვში მიიღება. ამის გააზრება ქვეყანას მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

მარკ მალენი

გასულ კვირას საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკის შე-სახებ დიდი დისკუსიები გაიმართა. რუსეთთან ბირთვული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებაზე კონგრესის მხარდაჭერის მოლოდინით, ობამამ განაცხადა, რომ რუსეთის ქმედებებმა საქართველოში შეთანხმების დადებას ხელი არ უნდა შეუშალოს. ეს განცხადება ზოგიერთებმა, კერძოდ კი საქართველოს მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა, საქართველოს ინტერესების რუსეთის მიყიდვად აღიქვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება თავისთავად დადებითი ნაბიჯია, რუსეთის არმიამი მას არ მიესალმებიან. ხელშეკრულება გაზრდის რუსულ სამხედრო არსენალის გამჭვირვალობას და გაამყლავნებს მისი დაჟანგებულობის მზარდ ტენდენციას. ამერიკას და ობამას, რომელსაც ბირთვული განიარაღების მიმართ სპეციფიკური პერსონალური ინტერესი აქვს, სწორედ ეს სურთ, რუსეთს კი – არა. აქედან გამომდინარე, უაზრობაა, რომ ხელშეკრულებას ხელი შეეშალოთ მხოლოდ იმიტომ, რომ გავიგეოროთ, რაც ისედაც ყველამ იცის: რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპირება და სარკოზის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევა.

რა თქმა უნდა, კრემლი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ზოგადად საქართველოს, და კონკრეტულად საქართველოს მთავრობას, ცხოვრება გაუართულოს. ასეთია რუსეთი, მაგრამ რუსეთთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე მსოფლიოს ყველა მთავრობას მორალურ პასუხისმგებლობას ვერ მოსთხოვ, ეს უბრალოდ დროის ფლანგვა იქნება. საქართველომ უნდა იშრომოს საკუთარი თავის აღდგენისთვის. მთავარი ფოკუსი სწორედ ეს უნდა იყოს და არა ის, თუ როგორი ცუდი მსოფლიო მოქალაქეა რუსეთი. ამის შესახებ ისედაც ყველამ იცის.

ამავე დროს, ის ადამიანები, რომლებსაც მთავრობის საქმიანობაში ეჭვი ეპარებათ, შევდეთის მიერ დაფინანსებული NDI-ის და CRRC-ის გამოკითხვებით არიან გაბრაზებული. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, უგულავა იმაზე მეტად პოპულარულია, ვიდრე ზოგიერთებს სურთ, და სხვა პოლიტიკოსები – უფრო ნაკლებად პოპულარულიები, ვიდრე ზოგიერთები იმედოვნებდნენ. როდიდან გახდა სიმართლე საზიანო? რეალობა ის არის, რომ უგულავა შესანიშნავ ნინასარჩევნო კამპანიას, ვაშინგტონის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი, დემოკრატიულ პარტიასთან ასოცირებული კონსულტანტის ჯერემი როსნერის (Greenberg Associates-დან) დახმარებით ატარებს. სხვა კანდიდა-

ტები ნაკლებად წარმატებულნი იყვნენ. უთანასწორობა შეიძლება ბევრ ობიექტურ ფაქტორს დავაბრალოთ, მაგრამ ძალიან ცოტა ობიექტური დამკვირვებელი იტყვის, რომ არასახელისუფლებო პარტიებმა და კანდიდატებმა თავიანთი რესურსების მაქსიმუმი გამოიყენეს. ისინი, ვინც არ ეთანხმებიან ხელისუფლებას, ყველაფრის მთავრობაზე დაბრალების ნაცვლად, თავიანთ მოსაზრებებს თბილისის მაცხოვრებლებს უფრო ეფექტურად უნდა აცნობდნენ.

CRRC-მ და NDI-მ უბრალოდ, ზუსტი ციფრები გამოაქვეყნეს. ეს არ იყო ამერიკის მთავრობის გადანყვეტილება, არამედ NGO ჯგუფის, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან და დაფინანსებას ევროპული და ამერიკული მთავრობებისგან იღებენ.

თუ ციფრები უგულავასთვის და მისი ჯგუფისთვის არასახარბიელო იქნებოდა, ისინი მაინც გამოქვეყნდებოდა. ამავე დროს USAID ინყებს დამოუკიდებელი მედიისა და დემოკრატიის მხარდაჭერას იმაზე მეტი ძალისხმევით, ვიდრე აქამდე

## ■ ნებისმიერმა პოლიტიკურმა ჯგუფმა, ვისაც ამერიკის მხარდაჭერის მოპოვება უნდა, ქართველი ხალხის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს.

იჩენდა და საქართველოს მთავრობა ამით აღფრთოვანებული ნამდვილად არ არის. ეს ჯგუფები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ.

როდესაც ქართველები ამერიკის პოლიტიკის გააზრებას იწყებენ, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტორები: 1. ამერიკას აქვს ბევრი სხვა პრიორიტეტიც მსოფლიოში, და ერთადერთი გზა, რომ საქართველომ ამ პრიორიტეტების სიაში ზემოთ გადაინაცვლოს, დემოკრატიის, გამჭვირვალობის და ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაა, და არა ამერიკისთვის იმის თქმა, თუ რა სულელურია მისი პოლიტიკა. 2. ამერიკა შეზღუდულია იმ შესაძლებლობებში, რისი გაკეთებაც რუსეთისთვის საქართველოს სანაცვლოდ შეუძლია. 3. ამერიკა არ უჭერს მხარს არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს, მას აინტერესებს სამართლიანი არჩევნები. ნებისმიერმა პოლიტიკურმა ჯგუფმა, ვისაც ამერიკის მხარდაჭერის მოპოვება უნდა, ქართველი ხალხის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს.

საბოლოო ჯამში, არსებობს იმის საზღვრები, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ამერიკას, ევროპას და რუსეთსაც საქართველოში. საქართველო, ოცი წელია, რაც დამოუკიდებელია და ამისი გააზრება, წესით, წარსულს ჩაბარდა. გადანყვეტილებები, რასაც ის იღებს, მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის გადანყვეტილებები, რომლებიც ვაშინგტონში, ბრიუსელსა და მოსკოვში მიიღება. აღნიშნულის საყოველთაო გააზრება საქართველოს მნიშვნელოვნად გააძლიერებს. □

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ



# "ნაციონალები" ოპოზიციის ნაცვად

ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურები, რომელთაც არჩევნების მიმდინარეობის პროცესში ოპოზიციის ინტერესები უნდა დაიცვან, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები არიან.

მაია ნიკლაური



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

„მე ყოველთვის „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ვიყავი და ახლაც ასეა“, – ამბობს ხელვაჩაურის №42-ე საარჩევნო უბნის კომისიის მდივანი, ეთერ ნითელაძე, რომელიც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიციურ პარტია „ჩვენ თვითონ“-ს წარმოადგენს.

ქალბატონი ეთერი სოფელ აჭარისწყალის სკოლის მასწავლებელია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ის პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო და 2008 წლის საპრეზიდენტო, საპარლამენტო და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე კომისიის მდივნის მოვალეობას „ნაციონალებს“ მანდატით ასრულებდა.

„ჩვენ თვითონ“-ელი იმიტომ გავხვდი, რომ ძალიან მომწონს ეს სახელწოდება. გარდა ამისა, მეუღლე მყავს ავად, მკურნალობა სჭირდება და აქ მაღალი ანაზღაურება მაქვს. რა, არ შეიძლება, რომელ პარტიაშიც მინდ, გადავიდე? – ასე ხსნის თავის გადაწყვეტილებას ეთერ ნითელაძე. ის ფიქრობს, რომ საარჩევნო

სისტემის კარგი მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტია. ამასობა, რომ საარჩევნო მდივანად კომუნისტების დროსაც უმუშავია და ამ საქმის ყველა დეტალში გარკვეულია.

ეთერ ნითელაძის მსგავსად, ხელვაჩაურში საარჩევნო კომისიების მდივნების თანამდებობებზე „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ 24 მხარდამჭერი დაინიშნა. თუმცა, ყველა მათგანი ახლა ოპოზიციურ პარტიებს წარმოადგენს – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „ჩვენ თვითონ“-ს. მათი უმეტესობა არ მალავს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები 2010 წლამდე იყვნენ და აქამდე საარჩევნო კომისიებში სწორედ მმართველი პარტიის სახელით ან მათი მხარდაჭერით ინიშნებოდნენ. თუმცა ამტკიცებენ, რომ ახლა „ნაციონალებთან“ კავშირი აღარ აქვთ.

„აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ოლქის წარმომადგენელი ვიყავი, გასულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე კი – „ნაციონალური მოძრა-

ობის“. მიყვარს ქვეყანა, ბევრი პრობლემა დავინახე და შევიცვალე შეხედულება. „ნაციონალებთან“ აღარაფერი მაკავშირებს“, – ამბობს ხელვაჩაურის №9-ე საუბნო კომისიის მდივანი, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარმომადგენელი, ციციკო ბერიძე.

საქართველოს მასშტაბით 75 საარჩევნო ოლქში 3616 მდივანია. პარტია „ჩვენ თვითონ“, რომელსაც სულ 1 200 აქტიური წევრი ჰყავს, ისიც ძირითადად თბილისში, საქართველოს ყველა რეგიონში ყველა საუბნო კომისიაში წარმოდგენილი. მათ ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე მეტი – 1193 მდივანი ჰყავთ. 954 მდივანი ჰყავთ „მრეწველებს“, 782 კი – „ქრისტიან-დემოკრატებს“. დანარჩენი ადგილები „რესპუბლიკელებს“, „კონსერვატორებსა“ და „ლეიბორისტებს“ შორის გადანაწილდა. იმის გამო, რომ 63 უბანზე ოპოზიცია ვერ შეთანხმდა, მდივანი საოლქო კომისიამ დანიშნა.

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პარტიები – „ჩვენ თვითონ“ და „ქრისტიან-დემოკრატები“ – ერთ ალიანსად გაერთიანდნენ. გამოდის, რომ კომისიის მდივნების 50%-ს სწორედ ეს ალიანსი წარმოადგენს.

საუბნო კომისიის მდივანი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა, რადგან ბევრ ადმინისტრაციულ ფუნქციასთან ერთად ის პასუხისმგებელია საარჩევნო ოქმში შესული მონაცემების სისწორესა და დარღვევების დაფიქსირებაზე. ამ პოსტის ოპოზიციისთვის დათმობა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსების ძირითად მოთხოვნებში შედიოდა.

პარტია „ჩვენ თვითონ“-ის წარმომადგენელი არ უარყოფს, რომ მათი სახელით კომისიების მდივნებად მართლაც „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები მოხვდნენ. „ისინი შეიძლება ყოფილი „ნაციონალებიც“ იყვნენ. ყველას არ

შეუძლია მდივნის მძიმე პასუხისმგებლობის თავზე აღება. ამ ადამიანებმა ეს პასუხისმგებლობა აიღეს და ჩვენ ხელი არ შეგვიძლია“, – ამბობს „ჩვენ თვითონ“-ის პიარისა და ანალიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი ლევან გაბრიჩიძე. მისი განმარტებით, მდივნებიდან მათი პარტიის წევრი მხოლოდ ნაწილია, დანარჩენები კი „უბრალოდ წარმომადგენლები“ არიან.

„ისინი ფორმალურად მინც ოპოზიციის ნაწილი არიან და არანაირი სურვილი არ მაქვს, ამ პარტიას არჩევნების გაყალბების მცდელობაში დაველო ბრალი. თუმცა, ძალიან საინტერესოა, როგორ მოახერხეს მათ, რომ ყველა უბანზე ჰყავთ წარმომადგენელი და ყველაზე მეტი მდივანი“, – ამბობს რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი.

საუბნო კომისიის მდივნად არჩევისთვის წარდგენილ კანდიდატურას კო-

ბებზე ოპოზიციის წარმომადგენლების ჭადრაკულად დანიშვნას ითხოვდა: „თუ რომელიმე უბანზე თავმჯდომარე „ნაციონალების“ წარმომადგენელი იქნება, მდივანი ოპოზიციიდან უნდა იყოს, და – პირიქით“, – ამბობდა „ალიანსის“ წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე. თუმცა საბოლოოდ სხვაგვარი შეთანხმება შედგა: ხელისუფლებამ არ დათმო საარჩევნო უბნის ხელმძღვანელების თანამდებობები და ოპოზიციის ხელში მხოლოდ საუბნო კომისიის მდივნები აღმოჩნდა.

„ეს არის უმთავრესი თანამდებობა კომისიაში. მდივანი ასრულებს ყველაზე მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ფუნქციას და მთლიანად აკონტროლებს პროცესს, – განმარტავს პარლამენტარი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ლაშა თორდია, – ჩვენ ეს ნაბიჯი გადავდგით იმისათვის, რომ აღარ ყოფილიყო ოპოზიციის მხრიდან ბრალდებები გაყალბე-

პასუხისმგებლობა, რომ საარჩევნო ყუთი ყველა იმ პირთან მიიტანონ სახლში, ვისაც უბანზე მისვლა არ შეუძლია. ასეთ ამომრჩეველთა სიას უშუალოდ მდივანი ადგენს. მას ასევე ევალება ოქმში მონაცემების შეტანა და საჩივართა წიგნში დამკვირვებლების მიერ აღნიშნული დარღვევების ჩანერა.

„წინა არჩევნებისას, სწორედ მდივნების „საშუალებით“, 3000 და 4000 ადამიანი უცებ ერთად ხდებოდა „ავად“ ერთ უბანზე. წარმოიდგინეთ, რომ ხელისუფლებამ ყველა უბანზე გადასატანი ყუთის სიები გაზარდოს. ეს ხომ 200 000-მდე ხმა გამოდის. ამ ხმებს ხელისუფლება ყოველთვის იყენებდა სათავისოდ“, – ამბობს ქრისტინან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძე.

2008 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ ხელგაჩაურის ოლქის შედეგები სწორედ მდივნებთან დაკავშირებული

**■ საუბნო კომისიის მდივნის თანამდებობების ოპოზიციისთვის დათმობა არჩევნების სამართლიანად ჩატარებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გამხდარიყო. თუმცა, საარჩევნო სისტემის მართვის გადანაწილების პროცესი ფორმალური ცვლილება აღმოჩნდა და მანიპულირების მექანიზმები ისევ ხელისუფლების ხელში დარჩა.**

მისიის 6 ოპოზიციური წევრიდან 4-ის მხარდაჭერა სჭირდებოდა.

„ნაციონალებმა“ შეძლეს 3 ოპოზიციური პარტიის მოსყიდვა [„ჩვენ თვითონ“, „ქდმ“, „მრეწველები“]. თუკი „კონსერვატორები“, „რესპუბლიკელები“ და „ლეიბორისტები“ ხმას არ მივცემდით ამ სამი პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატურას, ოპოზიციაში ხმები იყოფოდა. ამ შემთხვევაში, კანონის მიხედვით, კენჭისყრაში „ნაციონალი“ წევრებიც ჩაერთვებოდნენ და მხარს მათთვის სასურველ კანდიდატს უჭერდნენ“, – განმარტავს „ლეიბორისტული პარტიის“ აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, დავით რობაქიძე.

2010 წლის არჩევნები პირველია, როცა კომისიის მდივნებად საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები იმუშავენ. საკანონმდებლო ცვლილება 2009 წლის შემოდგომაზე ორგანიზაცია NDI-ის ეგიდით გამართულ სამუშაო შეხვედრების დროს შემუშავდა. „ალიანსი საქართველოსთვის“ მაშინ თავმჯდომარეებისა და მდივნების თანამდებო-

ბაზე. საშუალება მივეცით, რომ თვითონ გააკეთონ ყველაფერი და დაინახონ რეალური სურათი“.

თუმცა, ცვლილება კოდექსში მხოლოდ ფორმალურად აღმოჩნდა. ეთერ წითელაძის შემთხვევა გამონაკლისი არაა – ოპოზიციის სახელით საარჩევნო უბნებზე მდივნის თანამდებობებზე „ნაციონალების“ წარმომადგენლები აჭარის ყველა რაიონში და საქართველოს სხვა რეგიონებშიც მოხვდნენ.

„საერთოდ, ამ საქმის სპეციალისტები ჭირს. მაღალმთიან რაიონებში თითო-ოროლა სპეციალისტია, რომლებიც გასულ არჩევნებზე იყვნენ მდივნები და კარგი გამოცდილება აქვთ. ადამიანს, იმის გამო, რომ „ნაციონალი“ იყო, უარს ხომ არ ეტყვი სამსახურზე?“ – განაცხადა „მრეწველების“ ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ. ყოფილი „ნაციონალები“ საუბნო კომისიაში თანამდებობებზე მისი პარტიის მემკვიდრეობაც მოხვდნენ.

კომისიის მდივნის როლი არჩევნების გაყალბების პროცესში საკმაოდ დიდია. მდივანს ევალება არჩევნების დღეს გადასატანი ყუთის მეთვალყურეობა. მისი

პრობლემების გამო გააბათილა: საოლქო კომისიაში წარდგენილი ოქმების შედეგები არ შეესაბამებოდა დამკვირვებლების მიერ წარდგენილ ოქმებს, გადასატანი ყუთის სიაში არასათანადო პირები იყვნენ ჩანერილი, მდივნები უარს ამბობდნენ დამკვირვებელთა საჩივრების მიღებაზე. ეს დარღვევები არჩევნებზე დამკვირვებელთა ანგარიშებშიც მოხვდა. სწორედ მსგავსი შემთხვევების შემცირების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ხელისუფლებას საარჩევნო ბერკეტების ოპოზიციასთან გადანაწილება არაერთხელ ურჩია. საუბნო კომისიის მდივნის თანამდებობების ოპოზიციისთვის დათმობა არჩევნების სამართლიანად ჩატარებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გამხდარიყო. თუმცა, საარჩევნო სისტემის მართვის გადანაწილების პროცესი ფორმალური ცვლილება აღმოჩნდა და მანიპულირების მექანიზმები ისევ ხელისუფლების ხელში დარჩა. ■

**სტატიის მასალები მოამზადა ჯაბა ანანიძემ**



საარჩევნო ბარამოს სვლილება

# ახალი აჩვენები ძველი ჰიობლებით

საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შევიდა, მაგრამ პროცესი კვლავ პოლიტიზირებულია.

ნინო გოგუა



ემჯდომარის დანიშვნის პროცედურის შეცვლით დაიწყო. ახალი წესის მიხედვით, თავმჯდომარეობის 14 კანდიდატს პრეზიდენტთან არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაუწიეს რეკომენდაცია. მიხეილ სააკაშვილმა მათგან სამი პიროვნება აარჩია და პარლამენტს წარუდგინა. პარლამენტმა არჩევანი ზურაბ ხარატიშვილზე შეაჩერა. ერთი შეხედვით დემოკრატიული პროცესი საბოლოოდ მაინც ფორმალურად იქცა. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან დასახელებული კანდიდატებიდან პრეზიდენტმა საკუთარ სამუელში არ შეიყვანა ის კანდიდატი, ვისაც ექსპერტების უდიდესი ნაწილი (11 ორგანიზაცია) უჭერდა მხარს. სამაგიეროდ საბოლოოდ, ოპოზიციის დიდი ნაწილის აზრით, პარლამენტმა არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გააკეთა. ამ მნიშვნელოვანი საკადრო გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების ინტერესი კვლავ პოლიტიკურმა დაჩრდილა.

ზურაბ ხარატიშვილი ამბობს, რომ პოლიტიკურ კონიუნქტურას არ ცნობს და ძირითადად ადმინისტრაციულ საკითხებზეა კონცენტრირებული.

საარჩევნო პროცესის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმიჯის რეაბილიტაცია ხარატიშვილმა სიების შესწორებით დაიწყო. ამ პროცესში ნებაყოფლობით ჩაერთო 11 ოპოზიციური პარტია. ერთი თვის მუშაობის შედეგად საარჩევნო სიიდან 6 700 გარდაცვლილი ამომრჩეველი ამოიწერა. 4 500-ის შესახებ პოლიტიკურმა პარტიებმა მოიპოვეს ინფორმაცია. ამ სამუშაოსთვის მათ ცესკო-სგან 109 000 ლარი მიიღეს.

გაუქმდა დამატებითი სიები, რაც 2008 წლის არჩევნების შედეგებს ყველაზე მეტად აყენებდა ეჭვქვეშ. თუ უბანზე ხმის მისაცემად მისული ამომრჩეველი არ აღმოჩნდებოდა სიაში, მას დამატებით სიაში შეიყვანდნენ და ხმის მიცემას ის მაინც შეძლებდა.

## ■ რამდენად დამოუკიდებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია, ეს არჩევნების დღეს და არანაკლები სიცხადით არჩევნების შემდგომ პერიოდში გაირკვევა.

20 მაისს საარჩევნო სიები დაიხურა. არჩევნების დასრულებამდე მასში ცვლილებები აღარ შევა. ის, ვინც ამ სიაში არ არის, 30 მაისის ადგილობრივ არჩევნებზე ხმას ვერ მისცემს.

ცესკო-ს მონაცემთა ბაზაში „მკვდარი სულებისა“ და საზღვარგარეთ წასული ადამიანების აღმოჩენა ოპოზიციური პარტიებისთვის არჩევნების გაყალბებულად ცნობის ტრადიციული მიზეზია. ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ პრობლემით სათანადოდ არასდროს ინტერესდებოდა. ცესკო-ს ინერტულობას ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები იმით ხსნიდნენ, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არასდროს იყო დამოუკიდებელი ორგანო და პოლიტიკური მიკერძოებით ატარებდა არჩევნებს.

2010 წლამდე ჩატარებული თითქმის ყველა არჩევნების შემდეგ საარჩევნო სიები, საჩივრების განხილვისას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიკერძოებულობა და წინასაარჩევნოდ არათანაბარი კონკურენტული გარემო

ოპოზიციური პარტიებისა და დამოუკიდებელი დამკვირვებლების კრიტიკის საგანი ხდებოდა.

2009 წლის გაზაფხულზე, ოპოზიციის რამდენიმეთვიანი საპროტესტო აქციების შემდეგ ხელისუფლებამ შელახული ავტორიტეტის აღდგენაზე დაიწყო ზრუნვა. პირველი ნაბიჯი თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, და მის ჩატარებამდე საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პირობა იყო.

გარემოს შეცვლა ცესკო-ს თა-

ამ საიში შეტანილმა 50 000 ადამიანმა მიხეილ სააკაშვილს 1,5%-ით მოუმატა რეიტინგი. „საუბარი იყო იმაზე, 50%-ს გადასცდებოდა კანდიდატი, თუ – ვერა. ასეთ პირობებში ყოველ მარცხეზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა“, – აცხადებს ორგანიზაცია „ახალი თაობა-ახალი ინიციატივის“ ხელმძღვანელი მიხეილ დევედარიანი.

სიებიდან ასევე ამოიღეს ის 12 500 ადამიანი, ვინც დიდი ხანია, იმ მისამართზე აღარ ცხოვრობდა, სადაც ჩანერილი იყო. მაგალითად, გაყიდული ბინების ძველი მფლობელები და ოჯახის წევრები, რომლებიც ახლმა პატრონებმა სახლიდან არ ამოწვეს.

შემოვიდა აღნიშვნა – „უცხოეთში მყოფი“. ამ კატეგორიის 130 000 ადამიანს ხმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ საზღვარგარეთ, საქართველოს საელჩოებში.

საარჩევნო სიების დახვეწის პროცესში ოპოზიციური პარტიების ჩართვით ცესკო-ს მუშაობა შედარებით გამჭვირვალე გახდა. პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩევებს შორის კომუნიკაციის აღდგენას და არჩევნების შედეგების გასაჩივრების ვადის ერთი დღიდან ორ დღემდე გაზრდას ექსპერტები ხარატიშვილის მუშაობის დადებით შედეგად მიიჩნევენ. თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ცესკო პოლიტიკური გავლენებისგან ჯერაც ვერ გათავისუფლდა.

13 მაისს ცესკო-ში სარჩელი შეიტანა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ მერიის პროექტის – „კინომანიის“ გამო. 5-ლარიანი ფასდაკლების ბიულეტენზე „5“-იანი ზუსტად იგივე ფორმისაა, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ბროშურებსა და ბილბორდებზე. ცესკო-მ საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაუგზავნა და პარტიის 1000 ლარით დაჯარიმება მოითხოვა, რადგან „კინომანია“ ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების მაგალითად ჩათვალა.

„ნაციონალური მოძრაობა“ ჯერჯერობით ერთადერთი პარტიაა, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს უკანონო საქმიანობისთვის დაჯარიმდა. თუმცა, რეაგირება არ მოჰყვა „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ შეტანილ სხვა 20 სარჩელს.

მაგალითად, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო

ორგანიზაციის“ მიერ მომზადებულ სარჩელში ორგანიზაცია წერს, რომ ლენტეხის რაიონის სოფელ ყაზუნდერის რწმუნებული ჯაბა ონიანი გაჭირვებულ მოსახლეობას სოციალური დახმარებების მოხსნით დაემუქრა, თუ ისინი „ნაციონალურ მოძრაობას“ არ მისცემდნენ ხმას. ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად რწმუნებულს დაუკავშირდა. ონიანმა აღნიშნულ ფაქტს „მონაჭორი“ უწოდა და ცესკო-ში საჩივრის განხილვა ამით შეწყდა.

„ის, რომ თანასწორი წინასაარჩევნო პირობების შექმნა და საარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების დარეგულირება პოლიტიკური ნება ჯერ კიდევ არაა, იმით დასტურდება, რომ საარჩევნო კოდექსში არც ერთი შესაბამისი ცვლილება არ შესულა“, – ამბობს „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი და ცესკო-ს თავმჯდომარეობის ყოფილი კანდიდატი ეკა სირაძე-დელიძე.

წინასაარჩევნო პერიოდში პირადობის მონმობებით მანიპულაციის გამო-სარიცხად ხელისუფლებამ 15-იდან 30 მაისამდე საცხოვრებელი ადგილის შეცვლით პირადობის მონმობის გაცემა აკრძალა. „ეს გადაწყვეტილება იმიტომ იქნა მიღებული, ოპოზიციონერებს რომ არ ეთქვათ, – „ნაციონალებს“ თავისი ამომრჩევლები სასურველ ოლქებში გადაჰყავთო. სინამდვილეში ამით დაირღვა ადგილობრივი არჩევნების მთავარი პრინციპი – მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება, იმ უბანში დარეგისტრირდეს და ხმა მისცეს, სადაც რეალურად ცხოვრობს და არა იქ, სადაც ადრე აღებული პირადობის მონმობის მიხედვით ფიქსირდება“, – აცხადებს ზურაბ ხარატიშვილი. იგი არ ეთანხმება ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ცესკო პოლიტიკურად მოტივირებულ პროცესს ვერ შეეწინააღმდეგა.

რამდენად დამოუკიდებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია, ეს არჩევნების დღეს და არანაკლები სიცხადით არჩევნების შემდგომ პერიოდში გაირკვევა. 30-31 მაისს დამკვირვებელი ორგანიზაციები დარეგულირების ოქმებს შეადგენენ. ცესკო-ს კი ამ საჩივრებზე რეაგირება მოუწევს. კომისიის გადაწყვეტილებები გახდება საზოგადოებისთვის მისი დამოუკიდებლობის საზომი. **■**

# ხსათთან მეზობლობის ფასი

ის, რომ რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე დგას, ხელს არ შეუშლის თეთრ სახლს, კრემლთან იმეგობროს.

## თამარ კაკაბაძე

10 მაისს აშშ-ს კონგრესმა პრეზიდენტ ობამასგან მიიღო წერილი, სადაც ეწერა: „ვითარება საქართველოში არ უნდა გახდეს დაბრკოლება ამერიკულ-რუსული შეთანხმების რეალიზაციისთვის ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი გამოყენების სფეროში“.

საქმე იმ შეთანხმებას ეხება, რომელიც აშშ-ს კონგრესს ჯერ კიდევ 2008 წელს უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა რუსეთთან იმავე წლის მაისში დადებული ე.წ. „შეთანხმება 123“ პირადად შეაჩერა. ამერიკის მთავრობამ ამით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გმობს რუსეთის აგრესიას საქართველოში. „შეთანხმება 123“ რუსეთთან მშვიდობიანი ატომის ათვისების სფეროში ორი ქვეყნის ურთიერთობას ანესრიგებდა.

დღეს, როცა დღის წესრიგში ამ შეთანხმების განახლება დადგა, ბოლო დროს საერთაშორისო დღის წესრიგიდან გამქრალი საქართველო კვლავ აღმოჩნდა დასავლური მედიის ერთ-ერთი მთავარი თემა და ასევე – ამერიკელი დემოკრატებისა და რესპუბლიკელების შიდა დაპირისპირების საგანი.

ობამას ამ გადაწყვეტილებას დასავლურ პრესაში სტატიების მთელი ციკლი მოჰყვა. ძირითადი პათოსი ის გახლდათ, რომ ვაშინგტონი ყოფილ მოკავშირეს – საქართველოს „ლალატობს“ და მარტო ტოვებს რუსეთის პირისპირ.





ბარაკ ობამა

15 მაისს გაზეთ Washington Post-ში დაიბეჭდა სტატია სათაურით „აშშ-მ რუსეთის მეზობლები დაივიწყა“. სტატიის ავტორი – აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დევიდ კრამერი ამბობს, რომ ობამას ადმინისტრაციის პრინციპია – „მხოლოდ რუსეთი“ და იგი „ბედის ანაბარა ტოვებს რეგიონის სხვა ქვეყნებს“.

„განაცხადა რა მკაფიოდ, რომ საქართველო აღარ არის დაბრკოლება რუსეთთან ურთიერთობაში, ობამას ადმინისტრაციამ მიატოვა საქართველო და მწვანე შუქი აუნთო რუსეთს, რათა ამ უკანასკნელმა განაგრძოს პროვოკაციული მოქმედებები საზღვრისპირა რაიონებში“, – წერს კრამერი.

რესპუბლიკელი კრამერის საპასუხოდ, ამავე თემაზე სტატია გამოქვეყნდა გავლენიან ონლაინ გაზეთში – Huffington Post-შიც, რომელიც ცნობილია, როგორც დემოკრატების იდეოლოგიის გამტარებელი მედიაგამოცემა. სტატიის ავტორი, ჟურნალ Time-ის კორესპონდენტი მოსკოვში საიმონ შუსტერი წერს, რომ ობამას გადაწყვეტილება, „ზურგი აქციოს საქართველოს პრეზიდენტს“, ძალიან მნიშვნელოვანია.

სტატიის დასაწყისში შუსტერი კრამერს უწოდებს „დადამიანს, რომელიც დაეხმარა სააკაშვილს, გამხდარიყო თეთრი სახლის პროექტი ბუშის ადმინისტრაციის პირობებში“. შუსტერი

განიხილავს სააკაშვილის ფიგურას და მის შესაძლო როლს ტელეკომპანია „იმედზე“ 13 მარტს გასულ მოდელირებულ „ქრონიკაში“. შუსტერი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმიტირებული საინფორმაციო გამოშვების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის ამერიკელი მრჩეველი დენიელ ქუნინი გაერიდა სააკაშვილს. „თუ ქუნინმა, რომელიც, მრავალი წელია, საქართველოს მთავრობასთან მუშაობს, გადანყვიტა, რომ უმჯობესია სააკაშვილს ზურგი აქციოს, მაშინ ობამა რატომ უნდა დარჩეს მისი ერთგული?“

სტატიის ავტორის თქმით, „საკაშვილმა დაამტკიცა, რომ იმპულსური, ექსცენტრული და სახიფათო მოკავშირეა აშშ-სთვის“. შუსტერის აზრით, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ობამას, როდესაც თქვა, რომ საქართველო არ უნდა იყოს დაბრკოლება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში.

ამერიკელი კომენტატორების უმრავლესობა, რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც, მიიჩნევენ, რომ რუსეთი ობამას საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია და მისი ეს ფრაზაც რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვისკენ“ მიმართული მორიგი ნაბიჯია. ანალიტიკოსთა პოზიცია მხოლოდ ამ ახალი პოლიტიკის შეფასებისას იყოფა – რესპუბლიკელები ობამას გადაწყვეტილებას „ღალატად“ და შეცდომად მიიჩნევენ, დემოკრატები კი – ჭკვიანურ და პრაგმატულ ნაბიჯად.

მთავარი არგუმენტი, რის გამოც ობამა მიზანშეწონილად მიიჩნევს რუსეთთან შეჩერებული ბირთვული შეთანხმების განახლებას, ირანია. ობამა თავის გზავნილში კონგრესს არწმუნებს, რომ „ირანთან მიმართებაში ამერიკულ-რუსული თანამშრომლობის ხარისხი იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს შეთანხმება ამუშავდეს“. აშშ ცდილობს, თეირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას მიაღწიოს, რაც რუსეთის მხარდაჭერის გარეშე რთული იქნება. კრემლმა მიანიშნა, რომ მზადაა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ახალ რეზოლუციას მხარი დაუჭიროს ირანთან დაკავშირებით.

აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, ბოლო 12 თვეა, ამერიკულ-რუსული ურთიერთობები „მნიშვნელოვნად გაღრმავდა“.

რესპუბლიკელები, რომლებსაც დემოკრატ ობამას ადმინისტრაციასთან მისი საგარეო კურსის გამო მუდმივი უთანხმოება აქვთ, ვარაუდობენ, რომ ობამა ძალიან დიდ დათმობებზე მიდის რუსეთთან და სანაცვლოდ იმავეს ვერ მიიღებს.

რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ მაკეინმა 18 მაისს ნიქსონის ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას მკაცრად გააკრიტიკა ობამას საგარეო პოლიტიკა. მისი კრიტიკის მთავარი თემა სწორედ საქართველო იყო:

„გასულ კვირას პრეზიდენტმა ობამამ... განაცხადა: „სიტუაცია საქართველოში დაბრკოლებას აღარ წარმოადგენსო“... და მერე ზოგს მაინც უკვირს, თუ რატომ თვლიან ქართველები, რომ ვაშინგტონი ყიდის მათ რუსეთზე „ხელახალი გადატვირთვის ლილაკის“ ფასად“, – განაცხადა მაკეინმა.

ვაშინგტონის ოფიციალური განმარტება კი ასეთია – ფრაზა კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი და ბირთვულ შეთანხმებაზე მუშაობის განახლება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ინტერესები აშშ-სთვის აღარ არის მნიშვნელოვანი. თეთრ სახლში ამბობენ, რომ გამოხმაურება, რომელიც მედიაში პრეზიდენტ ობამას წერილს მოჰყვა, სხვა არაფერია, თუ არა – რესპუბლიკელებისა და დემოკრატების შიდა პოლიტიკური თამაშები. □

# ხონსახსიდან ამოვხდნოდი ფხაზა

ინტერვიუ აშშ-ს ელჩთან საქართველოში,  
ჯონ ბასთან

„ამერიკის პოლიტიკა საქართველოსთან ვაშინგტონის ოფიციალურ განცხადებებშია განმარტებული და არა – დაინტერესებული ანალიტიკოსების ან გადამდგარი ჩინოვნიკების სტატიებში“.

**2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში რუსეთ-ამერიკის ბირთვული შეთანხმების განხილვა იმ მიზეზით შეჩერდა, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ მიუღებლად მიიჩნია რუსეთის შეჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. რუსული ჯარი კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე რჩება, შეთანხმების განხილვა კი კონგრესში განახლდა. რა შეიცვალა 2008 წლის შემდეგ?**

მართალია, იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ მგონია, რომ 2008 წელს შეთანხმების განხილვის შეჩერების მთავარი მიზეზი იყო, რუსეთისთვის მიგვენიშნებინა, რომ კონფლიქტის დროს მისი ქმედებები მიუღებელი იყო. ამ შეთანხმების შეჩერება მაშინ რუსეთის ყურადღების მიპყრობას ემსახურებოდა.

ეს ყურადღება უკვე მოვიპოვეთ. ვითვალისწინებთ საქართველოს პრობლემებს, იმ ფაქტს, რომ თქვენი ქვეყნის 20% ჯერაც ოკუპირებულია და ვცდილობთ, დაგეხმაროთ ამ პრობლემის მოგვარებაში, მაგრამ ამავე დროს, იმ მნიშვნელოვანი საერთო ინტერესების გამო, რაც რუსეთთან გვაკავშირებს, უნდა ვცადოთ, რომ გავიხედოთ ამ დროისთვის აქტუალური პრობლემების მიღმა და წინ ვიაროთ.

ეს შეთანხმება მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კი არა, მნიშვნელოვანია ყველა იმ ქვეყნისთვის, რომლის მიზანიც ბირთვული მასალის გავრცელების უსაფრთხოებაა. ამ ქვეყანათა სიაში საქართველოცაა. ეს შეთანხმება ამერიკას შესაძლებლობას აძლევს, რუსეთის მთავრობასა და კომპანიებთან მჭიდროდ ითანამშრომლოს ბირთვული ენერჯის სამოქალაქო სექტორში გამოყენების საკითხზე.



ტელეკომპანია „საქართველო“

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს უზარმაზარი ინფრასტრუქტურა და ბირთვული მასალების გამოყენების უზარმაზარი ცოდნა დარჩა.

1991 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს, ეს ცოდნა ბოროტად არ გამოიყენონ ტერორისტებმა და ისეთმა ქვეყნებმა, რომლებიც ბირთვულ მასალებს, სამოქალაქო სექტორის ნაცვლად, იარაღის შესაქმნელად მოიხმარენ.

სწორედ ამის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ შეთანხმების განხილვა ახლა დაწყებულიყო.

თუ გასული 2 წლის განმავლობაში რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ამერიკა ცდილობს, გააძლიეროს რუსეთთან თანამშრომლობა ისეთ საკითხებზე, სადაც მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენ ვცდილობთ, რუსეთთან ერთად ვიმუშაოთ ისეთ თემებზე, რომელიც წაადგება როგორც ჩვენს, ასევე

**ერთი ფრაზით არ შეიძლება შევაფასოთ არც ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ და არც ის რუსურსი, რომელსაც ამერიკა თქვენს ქვეყანაში დებს.**

ჩვენი პარტნიორობის სტრატეგიულ ინტერესებს. არაერთხელ განვმარტეთ, რომ რუსეთთან ურთიერთობის აწყობას ჩვენი, ან ჩვენი პარტნიორობის ინტერესების ხარჯზე არ ვაპირებთ, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომელზეც რუსეთს კატეგორიულად არ ვეთანხმებით. საქართველო კი ასეთი უთანხმოების ყველაზე დრამატული მაგალითია.

**პრეზიდენტ ობამას განცხადება – „ბირთვული ხელშეკრულების დამტკიცებისას საქართველოში არსებული სიტუაცია აღარ უნდა იქნეს მიჩნეული დაბრკოლებად“ – საერთაშორისო მედიამ შეაფასა, როგორც ამერიკის მიერ საქართველოს „მიტოვება“ და მისი „ღალატით“.** თუ შეიძლება, განმარტეთ, რას გულისხმობდა პრეზიდენტის ეს ფრაზა.

მესმის ის რეაქცია, რაც კონტექსტიდან ამოგლეჯილ ამ სიტყვებს მოჰყვა. სინამდვილეში, ამ ერთი ფრაზით არ შეიძლება შევაფასოთ არც ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ და არც ის რესურსი, რომელსაც ამერიკა თქვენს ქვეყანაში დებს. ჩვენ არა მხოლოდ კონფლიქტის მოგვარებაში გიჭერთ მხარს, არამედ უზარმაზარ სამუშაოს ვწვევით ქართული საზოგადოების განსაზღვრებლად, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კულტურის გასაძლიერებლად, ეკონომიკის განსაზღვრებლად და უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად.

ნელს ამერიკა საქართველოს დაახლოებით 400 მილიონი დოლარით დაეხმარება. საქართველო ერთ-ერთია მსოფლიოს იმ ცოტა ქვეყნიდან, რომლისთვისაც ამერიკის ადმინისტრაციამ მომავალი წლისთვის დაფინანსების გაზრდა მოითხოვა. როგორც იცით, ფინანსური სიტუაცია მთელ მსოფლიოში რთულია და არც ამერიკის ბიუჯეტს აქვს საქმე კარგად. ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ბევრ ნაწილში, სადაც ასევე გვაქვს ინტერესები, დაფინანსებას ამცირებს, საქართველოში კი ჩვენი ინვესტიცია იზრდება.

**ბუნებრივია, ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები არ იცვლება ერთი ადმინისტრაციის მეორეთი ჩანაცვლებით, მაგრამ წინა ადმინისტრაციის დროს საქართველოს მხარდაჭერის გარკვეულ აქტებს ხშირად განაპირობებდა პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ პრეზიდენტ ბუშის და მისი გარემოცვის კეთილგანწყობა. როგორ ხედავთ აშშ-საქართველოს ურთიერთობის მომავალს ახალი ადმინისტრაციის პირობებში, როცა პრეზიდენტობის შორის პირისპირ შეხვედრა ჯერაც არ შემდგარა? რა ტიპის მხარდაჭერა გა-**

**გრძელდება, და რა ტიპის მხარდაჭერა დარჩა წარსულში, ბუშის მმართველობასთან ერთად?**

არ ვეთანხმები თქვენი შეკითხვის არსს. ის გულისხმობს, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაფუძნებულია და ასახავს იმ ორი ადამიანის ურთიერთობას, რომლებიც ამ ქვეყნებს მართავენ. ეს ასე არ იყო არც პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის დროს, და ნამდვილად არაა ასე ობამას ადმინისტრაციის დროსაც.

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი მაღალი რანგის სტუმარი ეწვია საქართველოს ამერიკიდან ბოლო ექვსი თვის განმავლობაში (მათ შორის, სახელმწიფო მდივნის მოადგილე, სახელმწიფო მდივნის ოთხი თანაშემწე), რამდენად დიდი ჯგუფი მუშაობს ვაშინგტონში ამერიკა-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის კომისიაში და რამდენად დიდია ის დახმარება, რომელსაც ნელს საქართველო ამერიკისგან მიიღებს – თუ ყველა ამ ფაქტორს ობიექტურად შევაფასებთ, დავიანახავთ, რომ 2010 წელს ამერიკის ჩართულობა საქართველოში იმაზე მეტია, ვიდრე 2007 ან 2008 წელს. მნიშვნელოვანია, რომ თქვენმა მკითხველმა გაიგოს, რომ მედიის ფოკუსში მოხვედრილი ამბების მიღმა ძალიან ბევრი რამ ხდება.

მართლაც, ფორმალური შეხვედრა პრეზიდენტ ობამასა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის არ შემდგარა. ამის მიზეზი ჩვენი პრეზიდენტის უზომოდ გადატვირთული დღის წესრიგია. მას წინა ადმინისტრაციისგან უამრავი გადასაჭრელი პრობლემა დარჩა, რომელიც ახალი მმართველისგან ყურადღების მაქსიმუმს მოითხოვდა. ამ შიდა პრობლემებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ის დრო, რომელსაც პრეზიდენტი ობამა უცხოელ ლიდერებთან შეხვედრისთვის გამოიყენებდა.

აპრილში, პრეზიდენტი სააკაშვილი მინვეული იყო ვაშინგტონში ბირთვულ სამიტზე დასასწრებად. მერნმუნეთ, სამიტის ორგანიზატორებს ძალიან რთული არჩევანის გაკეთება მოუწიათ, როცა დასაპატიჟებული სტუმრების სიას ადგენდნენ და ძალიან ბევრი ქვეყნის ლიდერი დარჩა მოსაწვევის გარეშე. ის, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ამ სამიტზე

მოხვდა, არ არის უმნიშვნელო ფაქტი და ის ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების სიღრმესა და სიმტკიცეზე მიუთითებს.

**შიში, რომ ამერიკა საქართველოს „მიატოვებს“ , პირველად მაშინ გაჩნდა, როცა აშშ-რუსეთს შორის „გადატვირთვის“ პოლიტიკა დაიწყო. საერთაშორისო მიმომხილველები პრეზიდენტ ობამას პოლიტიკას ხშირად უწოდებენ „პრაგმატულს“. ხომ არ არის შესაძლებელი, რომ რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად ამერიკამ საქართველოს დათმობა სწორედ პრაგმატული გაანგარიშებით გადაწყვიტოს?**

ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო მდივნის პილარი კლინტონის განცხადება, რომელიც მან თებერვალში პარიზში გააკეთა და ასევე, ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის გამოსვლა ევროპარლამენტში. ორივე სიტყვაში ცხადად არის დაფიქსირებული ის პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც, ამერიკის შეერთებული შტატები ევრო-ატლანტიკურ რეგიონის პოლიტიკას წყვეტს. ამერიკის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში სწორედ ასეთ განცხადებებშია განმარტებული, და არა – დანტერესებული ანალიტიკოსებისა და გადამდგარი ჩინოვნიკების სტატიებში.

მე მესმის თქვენი შემოფოტება. აქ ვცხოვრობ და კარგად ვხვდები, რომ რუსეთის ჯარის თბილისიდან ასე ახლოს ყოფნა დაუცველობის შეგრძნებას ბადებს. ჩვენ ვცდილობთ ამ პრობლემის მოგვარებაში დაგეხმაროთ. ამის მისაღწევად ერთ-ერთი გზაა რუსეთის მთავრობისთვის იმის ახსნა, რომ მათ საკუთარი ინტერესების გატარება ბრუტალური სამხედრო ძალის გარეშე შეუძლიათ. თუმცა, საკმარისად რეალისტი ვარ იმისთვის, მჯეროდეს, რომ ეს ცვლილება ერთ ლამეში მოხდება.

ქვეყნებს აქვთ უფლება, თავად აირჩიონ საკუთარი მომავალი. ყველა სუვერენულმა ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს, იდგეს თუ არა მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის სამხედრო ძალა – ეს ის ორი პრინციპია, რასაც ჩვენ არასდროს დავთმობთ. **□**


ესაუბრა სოფო ჭაავა



# ბაღამნყვატი ახჩავანი

თუკი ჩვენ ვერ ვერ მივდივართ დასავლეთთან, შეგვიძლია დასავლეთი შემოვიყვანოთ ქვეყანაში. ეს არის ერთადერთი გზა და, შესაძლოა, უკანასკნელი არჩევანიც ქვეყნისათვის, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოდ გადაქცევას ცდილობს.

## ლევან ცუცქერიძე



გასულ კვირას ევროპულმა სახლმა საინტერესო დებატები მოაწყო ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ. მის გახსნაში მონაწილეობა მიიღო პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ალექსანდრ კვაშნევსკიმაც, ჩემს შეკითხვაზე, თუ რა პოლიტიკური, დიპლომატიური ან ეკონომიკური ფასი შეიძლება დაადოს ევროპამ რუსეთის მიერ სამხედრო აგრესიის განმეორებას, კვაშნევსკიმ მიპასუხა, რომ თუკი რუსეთს კარგი ურთიერთობები უნდა დასავლეთთან, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საკითხები რაიმე ფორმით უნდა მოგვარდეს. ეს პასუხისაგან თავის არიდება იყო, ვინაიდან, როგორც ჩანს, ევროპას ამ თემაზე ფიქრი არ სურს, ან იფიქრა, მაგრამ პასუხი ჩვენთვის არასასურველია, მისი თქმა კი – უხერხული.

საქართველო რთულ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაშია. შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და სტრატეგია იცვლება და არა – ჩვენთვის სასიკეთოდ. პრეზიდენტ ობამას უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ამოცანა ავღანეთი, ერაყი და ირანი. თეირანის ბირთვული პროგრამის პროგრესმა შეერთებული შტატები, შესაძლოა, კიდევ ახალ კონფლი-

ქტში გარიოს – ისრაელის საშუალებით. შესაბამისად, შუა აღმოსავლეთი კვლავ რჩება ამერიკის მნიშვნელოვან პრობლემად. ამას ემატება გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, სადაც პაკისტანის გაურკვეველი მომავალი ასევე საფრთხეს წარმოადგენს ამერიკისათვის, ვინაიდან ამ ბირთვული სახელმწიფოს ძალოვან ინსტიტუტებს მჭიდრო და ამასთანავე რთული ურთიერთდამოკიდებულება აქვთ თალიბების მოძრაობასთან. ობამას მისი ნაწილია აგრეთვე – ბირთვული არსენალების შემცირება. ზოგადად, მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა გახლავთ დიდი, რადიკალური ცვლილებები. ამ დიდი მიზნებისთვის კი, როგორც ჩანს, „პატარა დათმობები“ მისაღებია.

ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ამ ამოცანების გადაჭრაში შეერთებული შტატები რუსეთს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარტნიორად თვლის და შესაბამისად იქცევა. ამერიკამ გადადო სარაკეტო თავდაცვის სისტემა, ნაკლებად უჭერს მხარს NATO-ს გაფართოებას, აღადგენს ბუშის მიერ საქართველოსთან ომის დროს გაუქმებულ ბირთვული თანამშრომლობის

პაქტს, ვინაიდან „აღარ მიიჩნევს საქართველოს მდგომარეობას დაბრკოლებად ამ საკითხში“. ამ ყველაფრის სიმბოლური აღმნიშვნელი კი ამერიკელი სამხედრო ქვეითების წითელ მოედანზე 9 მაისის აღლუმში მონაწილეობა გახდა. როგორც *quid-pro-quo*, ობამამ რუსეთის მიერ ირანის მიმართ „ტონის გამკაცრება“, მის წინააღმდეგ სანქციებზე ზოგადი თანხმობა და ავღანეთისკენ მიმავალი ტვირთშიდების რუსეთის ცაზე არცთუ ბევრი გადაფრენა მიიღო. ამერიკამ ბევრი დათმო და ჯერ-ჯერობით ცოტა მიიღო.

ევროკავშირი საკუთარ პრობლემებშია ჩაფლული. ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები, შიდა საკავშირო დაპირისპირება ნამდვილად გაართულებს საქართველოს მიმართ რაიმე მწყობრი საგარეო პოლიტიკური ხედვის აწყობას. მეტიც, ევროკავშირში უკვე ევროზონის რღვევის რისკებზეც საუბრობენ ეკონომისტები და პოლიტიკოსები. რამდენად დარჩება პოლონეთი ჩვენი აქტიური მხარდამჭერი პრეზიდენტ კაჩინსკის დაღუპვის შემდეგ, უახლოეს მომავალში ვნახავთ. დიდი ბრიტანეთი, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი დიდი მხარდამჭერი იყო ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებთან უნისონში მოქმედი NATO-სა და უსაფრთხოების სხვა საკითხებში, ამჟამად კოალიციურ მთავრობას აყალიბებს. ამ მთავრობაში კონსერვატორები და ლიბერალ-დემოკრატები გაიყოფენ ძალაუფლებას. ეს გადაწყვეტილებების მიღების უფრო რთული პროცესის ნიშანია, მით უმეტეს – საგარეო პოლიტიკაში, სადაც ლიბერალ-დემოკრატებსა და კონსერვატორებს ნამდვილად განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ჩვენი სამხედროები ავღანეთში ფრანგული სარდლობის ქვეშ მსახურობენ, ეს სარდლობა კი „მისტრალს“ რუსებზე ყიდის.

ევროპელებს, უფრო მეტად, ვიდრე შეერთებულ შტატებს, სჭირდებათ რუ-

სეთთან თანამშრომლობა და, როგორც მინიმუმ, არ სჭირდებათ პრობლემები. ამიტომაც არსებობს აღმოსავლეთის პარტნიორობის გეგმა, სადაც ვიმუშავებთ უსაფრთხოების „რბილ“ განზომილებაზე, ვისაუბრებთ სავიზო რეჟიმის გამარტივებასა და თავისუფალ ვაჭრობაზე, მაგრამ უსაფრთხოების რთულ საკითხებზე სამოქმედო ევროპა მზად არ არის. დასავლეთის მთავარი უსაფრთხოების გარანტი – NATO ამჟამად სტრატეგიის რეფორმის პროცესშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი სტრატეგიის შექმნამდე ეს ორგანიზაცია status-quo მოთამაშედ დარჩება მაშინ, როდესაც ანტი status-quo მოთამაშე რუსეთი აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს.

ჩვენს უახლოეს სამეზობლოშიც რთული ვითარებაა. დემოკრატიის ტალღამ, რომელმაც რეგიონს გადაუარა, ეკონომიკურ კრიზისებს, კორუფციასა და შიდა სახელისუფლებო დაპირისპირებას დაუთმო ასპარეზი. ინანუკოვიჩის პრეზიდენტობისას

ნისტრიება, კორუფციის შემცირება და სხვა) შენარჩუნება. ამ მხრივ, რამდენიმე რამ აუცილებლად და სწრაფად არის გასაკეთებელი:

პირველი – ეს მოახლოებული არჩევნების კარგად ჩატარებაა. სამართლიანი და მთავარი მოქმედი პირების მიერ მიღებული არჩევნები იმის სანინდარი იქნება, რომ ერთი მხრივ საქართველო გაიუმჯობესებს დემოკრატიის ხარისხს, ხოლო მეორე მხრივ, გამოიცილებს მასობრივ მღელვარებას, რასაც აუცილებლად გამოიყენებენ სახელმწიფოს (და არა მხოლოდ მთავრობის) წინააღმდეგ. „კარგ არჩევნებს“ სხვა დადებითი ეფექტიც ექნება: იგი გახდება საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში იმპულსი პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღებისა და ახალი, პოზიტიური პოლიტიკური იდეების განვითარებისთვის, რომელსაც სულ რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვანი გამოცდა ელის – 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იქნება ჩვენი შანსი, პირველად გადავცეთ უმაღლესი ხელისუფლება მშვი-

უნდა დავადოთ ქართული არმიის ავღანეთში მონაწილეობას.

მელოსის დიალოგი ისევე აქტუალურია ჩვენს საუკუნეში, როგორც პელოპონესის ომის დროს, სადაც კარგად იცოდნენ, რომ უფლებებისა და სამართლიანობის საკითხი მხოლოდ თანასწორთა შორის განიხილება. ასეთ ასიმეტრიულ ძალთა ბალანსის ვითარებაში, შეცდომას დაფუძნებით, თუკი მცირე ევროპული მისიისა და სარკოზის გეგმის იმედზე დავეყვებით ქვეყნის უსაფრთხოებას. სახელმწიფოთა უსაფრთხოების გარანტი ყოველთვის იყო ძალა და არა – შეთანხმებები. ამიტომაც, შიდა ბალანსირება და რესურსების მოზილიზება აუცილებელი ხდება, იქნება ეს ფინანსური თუ ადამიანური. ახალი შესყიდვების ბაზრების გახსნა და რეზერვის რეფორმა ორი საშუარი საქმეა.

ჩვენი პრიორიტეტების მესამე სფეროა დასავლეთის პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრირება. არსებულ ვითარებაში NATO-სა და ევროკავშირის წევრობა მიაჩნტური მოლოდინი იქნება. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეს თემა უნდა დავივიწყოთ; მეტიც, სწორედ ამიტომ გვმართებს უფრო მაღალი აქტიურობა. მაგრამ დასავლეთის ხიბლი ისიც არის, რომ თუნდაც მისი ნაწილი არ იყო, შეიძლება ის თავად გახდეს შენი. თუკი ჩვენ ჯერ ვერ მივალთ დასავლეთთან, შეგვიძლია დასავლეთი შემოვიყვანოთ ქვეყანაში. კარგი არჩევნები, გამჭვირვალე საჯარო ინსტიტუტები, ეფექტური რეფორმები, ანგარიშვალდებული მთავრობა, თავისუფალი და პროფესიული მედია, ღირებულებებზე დაფუძნებული, პოზიტიურად მოაზროვნე პოლიტიკური პარტიები და მოქმედი სამოქალაქო საზოგადოება – არის დიდი და ფართო გზა საქართველოს ნამდვილ თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის.

ყოველივე ეს მხოლოდ სათქმელად არის ადვილი. მაგრამ დასავლეთის „შემოყვანა“ საქართველოში შეიძლება იმის დასაბამიც გახდეს, რომ ასე საჭირო წევრობა დასავლურ სამხედრო-პოლიტიკურ კლუბში შესაძლებელი გახდეს. ეს არის ერთადერთი გზა და იქნებ უკანასკნელი არჩევანიც ქვეყნისათვის, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოდ გადაქცევას ცდილობს, როდესაც დიდ სახელმწიფოს სამეზობლოში არავინ უშლის თავნებობას. ცოტა ირონიაც რომ გაგურიოთ (პოლიტიკას უხდება) – ჩვენი თავი ჩვენადვე ახლა ნამდვილად გვეყუდნის. ■

## ■ დასავლეთის ხიბლი ისიც არის, რომ თუნდაც მისი ნაწილი არ იყო, შეიძლება ის თავად გახდეს შენი.

კარგი შედეგი იქნება, თუკი უკრაინა არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობას. აზერბაიჯანსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა გართულდა, სომხეთი კი რუსეთის ტრადიციული პარტნიორია. რეგიონის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ ერთგული რჩება დასავლეთზე ორიენტაციისას, საქართველოა. ჩვენთან ესმით, რომ სახელმწიფოს მონყობის დასავლური მოდელი უკეთესია, ვიდრე ის, რასაც რუსეთში ვხედავთ. ამასთან, საქართველოს რუსეთისადმი დიდი „განზიდულობა“ აქვს. ის, რომ ამ სივრცეში მარტო ვართ, პრობლემაც არის და შესაძლებლობაც. პრობლემა ცხადია, შესაძლებლობა კი ისაა, რომ საქართველო შეიძლება დასავლეთის პრესტიჟის საკითხი გახდეს.

იმ საერთაშორისო ვითარებაში, რომელშიც დღეს საქართველო მოხვდა, სადაც რისკის ამპლიტუდა დასავლეთის დაბალი ინტერესიდან დიდ სახელმწიფოებს შორის რაციონალურ, თუმცა ჩვენითვის არასასურველ გარიგებამდე მერყეობს, ჩვენი მთავარი ამოცანაა სახელმწიფოებრიობისა და მიღწეული პროგრესის (უკეთესი ადმი-

დობიანი გზით. ეს დღევანდელი მთავრობის მნიშვნელოვანი მისიაა, მაგრამ ასევე ჩვენი დიდი პასუხისმგებლობაც.

მეორე და მნიშვნელოვანი საკითხია შეიარაღებული ძალების რეფორმა. ძალზედ მნიშვნელოვანია ეროვნული სამხედრო სტრატეგიისა და უსაფრთხოების დოქტრინის დროულად მიღება და შეიარაღებული ძალების მათთან შესაბამისობაში მოყვანა. რეზერვის რეფორმა გაჭიანურდა და მისი განხორციელება აუცილებელია. თუკი ჩვენ გვინდა „აგრესიის ფასის აწევა“, მაშინ მაღალპროფესიული რეზერვის შექმნა გადაუდებელი ამოცანაა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, რეზერვზე საუბარი ძალზედ არაპოპულარულიც იყოს. შეიარაღებული ძალები საზოგადოების ანარეკლია. თუკი ვერ შევქმნით რეზერვს, რომელსაც შეეძლება ქვეყნის თავდაცვაში ეფექტური მონაწილეობა, ეს ნიშნავს, რომ არც არაფერი გვიღირს დასაცავად. ჩვენი მთავარი პრობლემა შეიარაღების ბაზრებიცაა. ჩვენმა დიპლომატიამ აქტიურად უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ საქართველოს ჰქონდეს მაღალტექნოლოგიური თავდაცვითი შესაძლებლობა. ჩვენ უფრო მაღალი ფასი

# საქართველოს ჩსკუბიხუი ჰახიის სისუსხეები

ლიბერალური პოლიტიკური პლატფორმის ჩამოყალიბება საქართველოში მნიშვნელოვან სიძნელებს უკავშირდება, მაშინ როდესაც კონსერვატიზმისა და ულტრაკონსერვატიზმის ნიშები ყოველთვის სწრაფად ივსება.

გიორგი ცხადაია



დავით უსუფაშვილი, ირაკლი ალასანია და დავით გამყრელიძე

ცა საინტერესოა, არსებობს თუ არა ამ პარტიის საქმიანობაში კონსერვატორული რიტორიკის ელემენტები. რა უფრო მნიშვნელოვანია წინასაარჩევნოდ რესპუბლიკური პარტიისთვის: ადამიანის უფლებები, თუ ტრადიციულ ღირებულებებზე აპელირება? როგორც აღმოჩნდა, ამაში ჯერ თავადაც ვერ გარკვეულან. მალხაზ გულაშვილის და მისი სახალხო მართლმადიდებლური ორგანიზაციის მიერ ტელეკომპანია „კავკასიაში“ მოწყობილი დებოშის და დარბევის შემდეგ „ალიანსი საქართველოსთვის“ თანათავმჯდომარემ სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ საპატრიარქოს ინიციატივას, რელიგიური გრძობების დაცვის შესაბამისი კანონის მიღების შესახებ, მიზანშეწონილად მიიჩნევს. მსგავსი რიტორიკა „ალიანსის“ სხვა წევრებს აღარ გაუგრძელებიათ, მაგრამ ნათელია, რომ პარტიის პრიორიტეტების შესახებ ჯერჯერობით ნათელი წარმოდგენა არც რესპუბლიკურ პარტიაში და არც მის პარტნიორ „ახალ მემარჯვენეებში“ არ არსებობს.

2008 წლის ოპოზიციის მიტინგების დროს რესპუბლიკური პარტია აქტიურად უჭერდა მხარს ულტრაკონსერვატორულ მოწოდებებსაც – მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლოზუნგს, რომ ხელისუფლება მართლმადიდებლობას და ეროვნულ იდენტობას ართმევს მოსახლეობას. მოგვიანებით, რესპუბლიკური პარტია ისევ თავის ჩვეულ ადამიანის უფლებების დაცვის პლატფორმას დაუბრუნდა (უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციის მიტინგების დროსაც ადამიანის უფლებების თემაც ერთ-ერთი წამყვანი იყო). ამ ეტაპზე, პარტიას უჭირს იმისი განსაზღვრა, თუ რომელი რიტორიკა იქნება მისთვის წინასაარჩევნოდ მომგებიანი. ერთი მხრივ, ვერ თმობს ძალიან მომგებიან

## რა უფრო მნიშვნელოვანია წინასაარჩევნოდ რესპუბლიკური პარტიისთვის: ადამიანის უფლებები, თუ ტრადიციულ ღირებულებებზე აპელირება?

წინასაარჩევნო პერიოდში რესპუბლიკელები ე.წ. „ალიანსში“ არიან გაერთიანებული „ახალ მემარჯვენეებთან“ ერთად. მათი წინასაარჩევნო კანდიდატია ირაკლი ალასანია. NDI-ის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგის მიხედვით, იგი, გიგი უგულავას შემდეგ, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. თავად „ალიანსის“ განცხადებით, ალასანიას არჩევნებში მოგების რეალური შანსი აქვს. რესპუბლიკელები და „ახალი მემარჯვენეები“ არასაპარლამენტო ოპოზიციის მეორე ძლიერი ფრთისგან (ნოლაიდელის და ბურჯანაძისგან) იმით გამოირჩევიან, რომ რუსეთთან დამოუკიდებელ თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ და მკვეთრად პროდასავლურ კურსს უჭერენ მხარს. დასავლეთზე ორიენტირება, ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკურ კურსის გატარებას გულისხმობს, არამედ გარკვეული მოვალეობების თავზე აღებასაც, რაც ადამიანის უფლებების

და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დაცვას შეეხება. ამ ყველაფრის ფონზე, აქტუალურია რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო პოზიცია და მისი იდეოლოგიური, თუ ორგანიზაციული სისუსტეები.

რესპუბლიკური პარტია, მათი ერთ-ერთი აქტიური წევრის განცხადებით, განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვაზე. ამ მხრივ, ის ე.წ. ლიბერალური პარტიაა, თუმ-



და მიმზიდველ კონსერვატორულ ლოზუნგებს, რადგან იმის საფუძვლიანი შიში არსებობს, რომ ამ ლოზუნგების მიტოვებით ოპოზიცია მხარდამჭერების გარკვეულ ნაწილს დაკარგავს. მეორე მხრივ, ახალ, პოსტმიტინგურ პოლიტიკურ რეალობაში დასავლეთის მხარდაჭერას პროდასავლური ოპოზიციური პარტიებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა გაუჩნდა. ახლა ისინი ერთნაირად მუშაობენ როგორც დასავლეთის გულის მოსაგებად, ისე ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის ხმების მიღებისთვის. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებებზე ყურადღების მქონე გამახვილება და კონსერვატორული რიტორიკის შემცირება ამ კუთხით მათთვის მომგებიანიც არის.

იმის გარდა, რომ პარტია წინასაარჩევნო რიტორიკის თაობაზე ჯერ ბოლომდე ვერ ჩამოყალიბდა, მას კიდევ ერთი ფუნდამენტური პრობლემა ანუ-

ნების საკითხი უფრო აღელვებს, ვიდრე ადამიანის უფლებები და ეკონომიკის განვითარება, ბუნებრივია, ამ ძალებს მისცემს ხმას.

ჩვენ ამ რუბრიკის ერთ-ერთ სტატიამ იმაზე ვმსჯელობდით, რომ ეკონომიკური პროგრამების წამოყენება პარტიაში გარკვეული ადამიანური რესურსების არსებობას მოითხოვს; იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის უფლებების დაცვით აპელირებაზეც. ბუნებრივია, რომ ეს მხოლოდ იმ პარტიების ნიშა შეიძლება გახდეს, რომლებსაც ამ საკითხში მეტი ცოდნა აქვთ. ასეთად კი ჯერჯერობით მხოლოდ „ალიანსი“ ითვლება.

გამოდის, რომ „ალიანსი“ ვერ იაზრებს ვერც თავისი ადამიანური რესურსების მნიშვნელობას პოლიტიკური კამპანიის დაგეგმვის დროს. ნიშა, რომელიც მათ შეუძლიათ დაიკავონ, თავისუფალია და მასზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ და მხოლოდ დადებითად იმოქმედებს რესპუბლიკელების იმიჯზე.

ბაზე გაუთავებელი წუნწინი, რა თქმა უნდა, პრობლემას ვერ გამოასწორებს. შიდაპარტიული სტრუქტურის ეფექტურად მოწყობა კი ამ კუთხით, შესაძლოა, გარკვეული შედეგის მომტანი აღმოჩნდეს (განსაკუთრებით, წინასაარჩევნო კამპანიების ახალი და ინოვაციური ფორმების ათვისება).

წინასაარჩევნო რიტორიკის თემას რომ დაუბრუნდეთ, ბოლო და, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სისუსტეც უნდა აღინიშნოს: ნეგატიურ რიტორიკასთან (ხელისუფლების კრიტიკასთან) ერთად, მნიშვნელოვანია პოზიტიური მესიჯების დაფიქსირებაც. ჯანდაცვის და სოციალური რეფორმების როლი ალასანიას წინასაარჩევნო კლიპებში აშკარად გამოიკვეთა, თუმცა ინტერვიუებსა და გამოსვლებში „ალიანსის“ წევრები ამ თემებს გაცილებით უფრო იშვიათად ახსენებენ და ხელისუფლების კრიტიკას მეტ დროს ანდომებენ. ამ ორი კომპონენტის

## ■ „ალიანსი“ ვერ იაზრებს თავისი ადამიანური რესურსების მნიშვნელობას პოლიტიკური კამპანიის დაგეგმვის დროს. ნიშა, რომელიც მათ შეუძლიათ დაიკავონ, თავისუფალია და მასზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ და მხოლოდ დადებითად იმოქმედებს რესპუბლიკელების იმიჯზე.

ნებს: გამბედაობის ნაკლებობა. რესპუბლიკელები ყოველთვის ერიდებიან დამოუკიდებელი, მათ მიერ აღქმული სახალხო განწყობების საწინააღმდეგო პოზიციების გამოხატვას და ელოდებიან შესაბამის მომენტს, რომ თავიანთი მოსაზრება რაც შეიძლება ფრთხილად გამოთქვან. ზედმეტი სიფრთხილე და გაუბედაობა, სინამდვილეში, საქმეს აფუჭებს. ამომრჩევლისთვის გაცილებით უფრო სანდო და იმედის მომცემია პარტია, რომელსაც არ ეშინია საკუთარი პოზიციის ხმამაღლა გამოთქმის, რადგან ეს პარტიის ლიდერულ პოტენციალზე მეტყველებს. გაურკვეველი და მერყევი ლიდერები ნდობას იშვიათად იმსახურებენ.

ულტრაკონსერვატორული რიტორიკა წარმატებით აქვთ მონოპოლიზირებული ყველაზე რადიკალურ ოპოზიციურ ძალებს: ზვიად ძიძიგურს, კობა დავითაშვილს, ზურაბ ნოლაიდელს, შალვა ნათელაშვილს და სხვებს. ამომრჩეველი, რომელსაც ტრადიციების შენარჩუნ-

რესპუბლიკურ პარტიას გაცილებით სერიოზული პრობლემები აწუხებს დაფინანსების თვალსაზრისით. ისინი გამუდმებით წუნწინებენ, რომ ხელისუფლების შიშით, ბიზნესმენები ერიდებიან მათ დაფინანსებას, რაც სავსებით შესაძლებელია, სიმართლე იყოს. თუმცა გაუგებარია, რატომ არ ჩანს მათ საარჩევნო რიტორიკაში ეს საკითხი. ამ შემთხვევაში, თემის წინ გამოტანა და მეტი საუბარი ბიზნესის თავისუფლებაზე მომგებიანი და საჭიროა. ხელისუფლებამ კარგად აითვისა დასაქმების მემარცხენე ლოზუნგები, რამაც „ალიანსი“ კონკურენციას ძნელად თუ გაუწევს, თუ საკითხის მოგვარების კონკრეტულ გზებზე და არსებულ უსამართლობებზე არ ილაპარაკებს.

ფინანსებთან დაკავშირებით რესპუბლიკელების და „ალიანსის“ პრობლემა ლეგიტიმურია, თუმცა შიდაპარტიული ორგანიზაციის დაბალ დონეს ვერ ხსენის. ფინანსური რესურსების ნაკლებობ-

ერთმანეთთან ეფექტური შეთავსება „ალიანსმა“ ჯერჯერობით ვერ მოახერხა.

მოკლედ შევაჯამოთ ზემოთ ჩამოთვლილი სისუსტეები და პრობლემები: არათანმიმდევრული წინასაარჩევნო რიტორიკა; მკვეთრი პოზიციის არქონა და მერყევი პოლიტიკური ძალის იმიჯი; საკუთარი რესურსების არაადეკვატურად შეფასება; ბიზნეს სექტორის პრობლემებისადმი არასათანადო ყურადღება; შიდაპარტიული და „ალიანსის“ ორგანიზაციის სისუსტეები; დადებითი და უარყოფითი რიტორიკის წარუმატებელი შერწყმა. დარწმუნებული ვარ, ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ მათი არსებობა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ლიბერალური პოლიტიკური პლატფორმის ჩამოყალიბება საქართველოში მნიშვნელოვან სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ხოლო კონსერვატიზმისა და ულტრაკონსერვატიზმის ნიშები ყოველთვის სწრაფად იცვლება. ■

# "ნაციონალისტების" წინასწარჩვენო ბანახები

29 აპრილს კონსერვატორიაში ანსამბლ „ფესვების“ კონცერტს თბილისის დიდუბის რაიონის საოლქო და საუბნო კომისიების თავმჯდომარეები, მოადგილეები, მდივნები და მათთან ერთად „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი – გიორგი ჩაჩანიძე დაესწრნენ. „ნაციონალებმა“ პარტიული აქტივისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის წინასწარ 250 ბილეთი შეიძინეს.

## იმედა დარსალია, სტუდია „GNS“



კონცერტის შემდეგ „ნაციონალებმა“ მათი მხარდამჭერები, დიდუბის რაიონის კორპუსების თავმჯდომარეები და დიდუბის საოლქო და საუბნო კომისიების ხელმძღვანელები და წევრები რესტორან „თბილისში“ 400-კაციან ბანკეტზე მიიპატიჟეს. კონსერვატორიიდან რესტორანამდე ეს ხალხი სპეციალურად მობილიზებული ყვითელი ავტობუსებით გადაიყვანეს. მოქიფებებს დიდუბის ყოფილი მაჟორიტარი და ამჟამად ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძეც შეუერთდა. ბანკეტის ამსახველი კადრები სტუდია GNS-ს „ეროვნულ-მა ფორუმმა“ მიანოდა.

„ეროვნული ფორუმის“ პრესსამსახურის უფროსი, მაგდა შობაშვილი ამბობს, რომ ეს ღონისძიებები უშუალოდ „ნაციონალების“ დიდუბის მაჟორიტარობის კანდიდატმა გიორგი ჩაჩანიძემ მოაწყო.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები საჯარო მოხელეები არიან. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, მათ ეკრძალებათ ნებისმიერი ისეთი შეთავაზების სარგებლის თუ მომსახურების მიღება, რამაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მათ სამსახურებრივ საქმიანობაზე.

ნინო ლომჯარია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი: „საოლქო კომისიის 6 წევრს შეუძლია გავლენა მოახდინოს საოლქო კომისიის გადაწყვეტილებაზე. ამასთან, წინასწარჩევნო პერიოდში მათ ნებისმიერი ღირებულების ფასეულობების მიღებას კანონი უკრძალებათ“.

იურისტის განმარტების შემდეგ ჩვენ რესტორან „თბილისში“ გამართული ბანკეტის მონაწილეები მოვიძებნეთ. დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიაში თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ლასხიშვილი და კომისიის მდივანი თინა ნათენაძე დაგვხვდნენ.

– ვისთან ერთად იყავით კონცერტზე და შემდეგ ბანკეტზე?

– ჩემს მეგობრებთან, კონცერტზე დასწრება რამე პრობლემაა? – გვიპასუხა ლასხიშვილმა.

ლასხიშვილი და ნათენაძე ადასტურებენ, რომ „ნაციონალების“ მაჟორიტარმა კანდიდატმა კონცერტზე დასასწრები მოსაწვევები გადასცა და შემდეგ ბანკეტზეც დაპატიჟა. თუმცა წარმოდგენა არ აქვთ, რომ ამით კანონი დაარღვიეს. რამდენიმე წუთში კაბინეტში „ნაციონალური ბანკეტის“ კიდევ ერთი მონაწილე, საოლქო კომისიის თავმჯდომარე, ივანე ბურდულიც შემოვიდა, რომელსაც ჩვენი სტუმრობის შესახებ ტელეფონით შეატყობინეს.

– კონცერტი რა პრობლემაა, ვერ გავიგე და ახლა რატომ გახდა ეს აქტიუალური, გამოძიებული ბრძანდებით? – მკითხა პასუხად.

– ჟურნალისტი ვარ.

– ჟურნალისტი თუ ბრძანდებით, სიმართლე გითხრათ, მე ახლა ინტერვიუს დრო არ მაქვს, დიდი ბოდიში, ძალიან სასწრაფო დავალება მაქვს ცესკო-დან.

საოლქო კომისიის თავმჯდომარეს საარჩევნო და საჯარო სამსახურის შესახებ კანონებს ვაჩვენებთ, თუმცა ივანე ბურდული მოულოდნელად კაბინეტიდან გარბის.

მოგვიანებით შევეცადეთ, გავერკვიო, კონკრეტულად ვინ შეუკვეთა 400-კაციანი სუფრა და რა დაუჯდათ „ნაციონალებს“ ბანკეტი. დავერკვეთ რესტორან „თბილისის“ ერთ-ერთ მეპატრონესთან, რომელმაც გვითხრა, რომ ბანკეტის თანხა ჯერაც გადასახდელი ჰქონდათ. გამოდის, რომ „თბილისში“ მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა, დიდუბის მაჟორიტარმა კანდიდატმა და რაიონის საოლქო და

საუბნო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა ნისიად იქეიფეს.

ვიცე-პრემიერი გია ბარამიძე ამ ბანკეტზე უშუალოდ დიდუბის მაჟორიტარმა კანდიდატმა გიორგი ჩაჩანიძემ მიიწვია. ბარამიძეს მიაჩნია, რომ საოლქო კომისიის წევრებთან ერთად ბანკეტზე ყოფნა დანაშაული არ არის: სუფრაზე ყოფნა საარჩევნო კანონის დარღვევა ნამდვილად არაა ... ვქეიფობდით, ბანკეტზე ქეიფობენ ადამიანები.

– იქ საარჩევნო კომისიის წევრებიც იყვნენ, იურისტები კი მიუთითებენ, რომ ეს კანონის დარღვევაა.

– რა? რა არის დარღვევა, რომ საარჩევნო კომისიის წევრმა შეჭამოს პური, დალიოს... არა, არა, გააჩნია ახლა, იქ თუ ვინმე აგიტაციას ეწეოდა, თუ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები განიხილებოდა, მაშინ – კი. ამ საკითხს სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ და ზუსტად ვიცით, რა და როგორ გვაგაქვთოთ.

კომენტარისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზურა ხარატიშვილს მივმართეთ: „ჩემთვის ეს ფაქტი უცნობია, განვიხილავთ და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. თუ კანონდარღვევა დადასტურდება, რეაგირებაც შესაბამისი გვექნება“.

ამ ვიდეოკადრების ეთერში ჩვენების შემდეგ „ეროვნულმა ფორუმმა“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იჩივლა. „ეროვნული ფორუმი“ ცესკოს-გან დიდუბის №8 საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებისა და ამავე ოლქის მე-4 და 48-ე საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას ითხოვდა. თუმცა, „ეროვნული ფორუმის“ განცხადება ცესკო-მ არ დააკამყოფილა – წარდგენილი მასალები საკმარისი მტკიცებულება არ აღმოჩნდა. **■**

# ბიზნესის დიო

საქართველოში ეკონომიკური სეგრეგაციის ტენდენცია ყველაზე მეტად მცირე ბიზნესს აზიანებს. მცირე კომპანიების გაძლიერების გარეშე კი შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, რაც ჩვენს ისედაც სუსტ დემოკრატიას კიდევ უფრო დაასუსტებს.

## კახა კობრიძე

„ამერიკის საქმე არის ბიზნესი“ (Business of America is Business) – აშშ-ს რესპუბლიკელი პრეზიდენტის ქალვინ ქულიჯის ეს სიტყვები დაუფინყარ გზავნილად იქცა მთელი ქვეყნისა და განსაკუთრებით პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის. ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის განსაზღვრაზე რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის ხანგრძლივი და მწვავე დებატების მიუხედავად, ბიზნესის დაცვისა და მხარდაჭერის სულისკვეთება ორივე პოლიტიკური ოჯახისთვის თანაბრად დამახასიათებელი იყო და იქნება მომავალშიც.

საქართველოში ბიზნესს სათანადოდ ვერ კიდევ ვერ ვაფასებთ. ერთი მხრივ, თითქოს არ არსებობს უკმაყოფილების საბაბი: მსოფლიო ბანკის 2009 წლის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგებში საქართველომ მე-11 ადგილი დაიკავა. მეორე მხრივ კი, რთულია, იყო ინერტული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის“ 2009-10 წლების ინდექსის მიმართ, სადაც საქართველო 90-ე ადგილზეა 134 ქვეყანას შორის.<sup>1</sup> განსაკუთრებით ნიშანდობლივია ორი ინდიკატორი: საკუთრების უფლებების მიხედვით – 109-ე, ხოლო სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით – 117-ე პოზიციები.

ვითარება სასამართლოში კანონის უზენაესობის მთავარი ბარომეტრია. იგი ყველა ადამიანს აძლევს ლეგიტიმურ საშუალებას, ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ცხოვრება მოიწყოს. რაც უფრო ნაკლებია სიღარიბის დონე ქვეყანაში, მით უფრო მზად არის საზოგადოება დემოკრატიისთვის. მაგრამ, არსებული პოლიტიკური ვითარების ფონზე, შესაძლოა, „ზედმეტი“ დემოკრატია ეგზისტენციურ საფრთხედ იყოს მიჩნეული, რაც მე

მცდარ მოსაზრებად მიმაჩნია; პირიქით, საგადასახადო ინტიმიდაციის პრაქტიკა აზარალებს ბიზნესს, ამცირებს საინვესტიციო აქტივობას და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალს, რაც მთლიანობაში ასუსტებს ქვეყნის ეკონომიკას და შესაბამისად უსაფრთხოებს.

საგადასახადო ტვირთი თუ არა, საგადასახადო ადმინისტრირება ნამდვილად არის დღეს მენარმეთა უკმაყოფილების საბაბი. შენი უფლებები რომ დაიცვა, კარგად უნდა იცნობდე მოქმედ კანონმდებლობას. მაგრამ, როგორ შეიძლება გახვიდე ლაბირინთში, რომელსაც შესასვლელი ფართო აქვს, მაგრამ გასასვლელი საერთოდ არ გააჩნია? მართლმაც, ბუნდოვანება, არასტაბილურობა და ორაზროვნება კანონმდებლობის ყველაზე უარყოფითი მახასიათებელია. ბევრ მენარმეს სურს, იყოს კარგი გადახდელი და არ აძლევს საგადასახადო ადმინისტრაციას დაჯარიმების საფუძველს, მაგრამ ამ დროს საქმეში ერთვება საგადასახადო კოდექსის არაერთი ნორმა, თუნდაც – 144-ე მუხლი<sup>2</sup> სათაურით „სხვა ჯარიმები“, რომელიც დაახლოებით ასე უღერს: „განსაზღვრული ჯარიმების გარდა, ყველა სხვა დარღვევაზე არის ჯარიმა 100 ლარი“ (ავტ. ინტერპრეტაცია). მხოლოდ ჯარიმების სახით 2010 წლის ბიუჯეტში 77 მილიონი<sup>3</sup> ლარის აკრეფაა დაგეგმილი, რაც ალბათ უმთავრესად მცირე ბიზნესის გადასახდელი იქნება. მენარმეებს ბუნებრივად ახასიათებთ მიდრეკილება ჩრდილოვანი ეკონომიკისკენ, მაგრამ კანონების ზედმეტი გამკაცრება უდავოდ არაფრის მომცემია.

მედლის მეორე მხარე სახელმწიფო ფინანსების განკარგვაა. ქვეყანაში კრედიტების ხელმისაწვდომობაზე მთავრობამ აუცილებლად უნდა იზრუნოს,

განსაკუთრებით კრიზისების შემდგომ შიდა ინვესტიციების წახალისების მიზნით, მაგრამ ბიუჯეტიდან 2,5 მილიონი ლარის გაცემა, „იაფი კრედიტის“ სახით, თვითმფრინავის შესაძენად, ვფიქრობ, არ არის რაციონალური გადაწყვეტილება (ფუფრთხილდები კერძო ინტერესს, რადგან მას მოგების მიღების მოტივაცია აქვს, და შეგნებულად არ ვასახელებ ბენეფიციარ კომპანიას, თუმცა მთავრობის 2008 წლის №266 განკარგულება საჯარო დოკუმენტია და ყველას აქვს უფლება, გაეცნოს მას). საყურადღებო კი ის ფაქტია, რომ დღეს გააქტიურდა საუბარი გაცემული კრედიტების გადავადებასა თუ საერთოდ ჩამონერაზე. გამოდის, რომ ერთს ვაჯარიმებთ, ხოლო მეორეს ვასაჩუქრებთ, ნაცვლად ბიზნესის საყოველთაო მხარდაჭერისა. ასეთ შერჩევით დამოკიდებულებაში უფრო მეტ პრობლემას ვხედავ, ვიდრე არასწორი ფორმით კერძო კომპანიებზე კრედიტების გაცემაში.


დღევანდელ ეტაპს საქართველოში მე მაინც დავარქმევდი ბრძოლას ეკონომიკური სეგრეგაციის წინააღმდეგ, და მისი გაძლიერება პროგრესული მოძრაობის მოვალეობად მიმაჩნია. საგადასახადო დისციპლინა აუცილებელი პირობაა ჯეროვანი მმართველობის მისაღწევად, მაგრამ სახელმწიფო უნდა იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური. სათანადოდ უნდა შევაფასოთ თითოეული კომპანიის წვლილი საზოგადოების განვითარებაში, ავიჩიოთ ეკონომიკაში „ახალი კურსი“; ვთქვათ, რომ მცირე მენარმეც ბიზნესმენია და არა სოციალისტური „ნურბელა“, რომ „საქართველოს საქმე არის ბიზნესი“ და დავიცვათ იგი, რადგან ეკონომიკის გაძლიერებით შევძლებთ დემოკრატიის და, შესაბამისად, სუვერენიტეტის გაძლიერებას. <sup>4</sup>

1 <http://www.weforum.org/documents/GCR09/index.html> (18.05.2010)  
[http://mof.ge/default.aspx?sec\\_id=2014&lang=1](http://mof.ge/default.aspx?sec_id=2014&lang=1) (18.05.2010)  
<http://mof.ge/4069> თავი II - სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები (18.05.2010)





საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 2009-2010



დასახადო შემოსავლების მხრივ მუდმივი დეფიციტი აქვს და მისი შევსების სულ ახალ-ახალ წყაროებს ეძებს.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, ჩნდება მეორე საფართო, საგადასახადო სა- მსახურების თანამშრომლების ხელფა- სის ოდენობის მენარმეებზე დარიცხვულ გადასახადებზე „მიბმა“ კორუფციული გარიგებების რისკსაც მნიშვნელოვნად ზრდის. იმ ფონზე, როცა გადასახადების დაკისრების და ჯარიმა-საურავების და- რიცხვის პრაქტიკა ფართო გავრცელებას ჰპოვებს,

ცხადია, იმის საფრთხე, რომ მენარმესა და საგადასახადოს მუშაკს შორის გარი- გება მოხდეს, მნიშვნელოვნად გაიზრდება; მით უფრო, საგადასახადოს თანამშრომ- ლების იმ ხშირი ცვლილებების გათვა- ლისწინებით, რაც სისტემაში ხდება.

ეს ყველაფერი, საბოლოოდ, ცხადია, კვლავაც, ერთი მხრივ – ბიუჯეტის, მეო- რე მხრივ კი, მისი შემავსებელი ბიზნესის პრობლემებია. ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის მიერ 2009 წლის აგვის- ტოდან განხორციელებული პროექტის („საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ანგარიშ- ვალდებულების გაზრდა მონიტორინგის გზით“) დასკვნებში კი ისედაც ჩანს, რომ სირთულე ბიუჯეტს უამისოდაც უამრავი აქვს.

ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის ანგარიშმა მოიცვა როგორც 2009 წლის ბიუჯეტის მიმართულებები, ისე საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობის შესახებ არსებული ვი- თარების ანალიზიც. მონიტორინგის შე- დეგად მიღებული დასკვნა ბევრია, მათ შორის ძირითადი იყო ის, რომ 2009 წლის ბიუჯეტი არარეალისტური, ზედმეტად ოპტიმისტურად დაგეგმილი იყო, რაც

ნამდვილად გამოჩნდა. მეორე ძირითადი მიგნება საგარეო ვალს უკავშირდება – ენახეთ, რომ იგი მნიშვნელოვნად იზრ- დება. ბიუჯეტის არასწორად დაგეგმვა არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ წლის განმავლობაში აუცილებელი ხდება საგა- რეო ვალდებულებების ზრდა, ანუ ბიუჯე- ტის დეფიციტი არასწორად არის ხოლმე პროგნოზირებული.

გამოყოფთ კიდევ რამდენიმე დასკე- ნას, რომლებიც ასევე იმსახურებს ყუ- რადღებას. ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრის ანგარიშში მითითე- ბულია, რომ 2008 წლის ბრიუსელის დონორთა კონფერენციის მიერ საქარ- თველოსთვის ომის შედეგების კომპენსა- ციისათვის გამოყოფილი სახსრები რომ არა, ეკონომიკა 4%-ის ნაცვლად, სულ მცირე, 10%-ით შემცირდებოდა; 2009 წელს შესრულდა 2-ჯერ შემცირებული და არა თავდაპირველად დაგეგმილი ბიუჯეტი; „ქაშაშვილის შემოჭერის“ პოლი- ტიკის მთავარმა ინიციატორებმა – სა- ქართველოს პარლამენტმა, პრეზიდენტმა და მთავრობამ ამ პრაქტიკის რეალურად დასაქმვად, პრაქტიკულად, არც არაფერი გააკეთეს.

პრეზიდენტის, პრემიერის და პარლა- მენტის მიერ გაცხადებული „ქაშაშვილის შემოჭერის“ პოლიტიკის მიუხედავად, ძირითადი მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დასაქმებულთა რაოდენობის და შრომის ანაზღაურების ფონდის შემცი- რება არ განხორციელებულა. ზოგიერთ მხარჯავ დაწესებულებებში პირიქით, გაი- ზარდა კიდევ, რაც „ქაშაშვილის შემოჭერის“

პოლიტიკის პირობებში აშკარად დაუშ- ვებელი იყო. ამ პოლიტიკის მთავარმა ინიციატორებმა – საქართველოს პარლა- მენტმა, საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს მთავრობამ შრომის ანა- ზღაურების მოცულობა არ შეამცირეს; საქართველოს მთავრობამ პირიქით – გა- ზარდა კიდევ.

პრაქტიკულად, იგივე სურათი გამოა- ვლინა პროფესიული კავშირების გაერ- თიანების კვლევამაც. მაგალითად, თუ საქართველოს პარლამენტის მაგალით- ზე 2009 წლის მონაცემებს შევადარე- ბთ 2010 წელს, რომელიც დაგეგმილია ბიუჯეტით, აქ იყო არაფინანსური აქტი- ვების შემცირების ხარჯზე სასაქონლო და მომსახურების ნაწილის ზრდა. ისევე როგორც, მიუხედავად იმისა, რომ არ შეცვლილა სამტატო განრიგით დასაქ- მებულთა რაოდენობა, 2010 წლის ბიუ- ჯეტში მაინც ადგილი აქვს ხარჯების ზრდას. ანუ ე. წ. „ქაშაშვილის შემოჭერის“ პოლიტიკა, რომელიც დეკლარირებულია ხელისუფლების ყველა დონეზე, რეალო- ბაში ასახვას ვერ ჰპოვებს; მეტიც, ად- გილობრივი არჩევნების წინ 2010 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველობების- თვის გამოყოფილი თანხების უპრე- ცედენტო ზრდა აღინიშნა. თვითმმარ- თველობებისთვის გათვალისწინებული ტრანსფერების საერთო მოცულობამ, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 34%-ით იმატა. ამავე დროს საგარეო- ბლად გაიზარდა თბილისის მერიის მუ- შა-მოსამსახურეთა რიცხოვნობა, რაც, ბუნებრივია, ძალიან შორს არის „ქაშაშ- ვის შემოჭერის“ პრინციპებისგან.

პარალელურად, მნიშვნელოვნად მოიმა- ტა ადგილობრივ გამგებებსა და რწმუნე- ბულთა აპარატებში დასაქმებულთა რაო- დენობამაც. შესაბამისად, იზრდება სახელფასო ფონდებიც. ამავე დროს, მთა- ვრობამ წინასაარჩევნოდ სოფლის მხარ- დაჭერის პროგრამისთვის გამოყოფილი თანხაც გააორმაგა, იმის მიუხედავად, რომ, კანონის თანახმად, პროგრამით გა- თვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიება ადგილობრივი ბიუჯეტებიდან უნდა და- ფინანსდეს. □



სტატია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ბრიტა- ნულ-ქართული პროფესიული ქსელის მიერ განხორციელებული CSE- PFM პროექტის ფარგლებში. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი „ლიბერალი“. სტატია არ წარმოადგენს ევროკავშირის ან ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის პოზიციას.

# საია "თავისუფლების" ხანდილახის წინააღმდეგ

პარტია „თავისუფლების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ლადო სადღობელაშვილს საია ძალადობისკენ მოწოდების გამო უჩივის. მოხსნის თუ არა სასამართლო კანდიდატს საარჩევნო მარათონიდან?

ეკა ჭითანავა



„გეგმების სისხლი უნდა დაიღვაროს!“ ყველა გეი დაისჯება, პირობას ვიდრევი!“ „საქართველო არაფრანსალი ორიენტაციის მქონე პირების, სექსუალური უმცირესობების გარეშე!“ – ამგვარი ჩანაწერები სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ლადო სადღობელაშვილის პირად გვერდზე ბოლო დროს ხშირად ჩნდება.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, სადღობელაშვილის ჰომოფობიური განცხადებების საფუძველზე, სარჩელი მოამზადა და თბილისის საქალაქო სასამართლოს კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნას ითხოვს.

საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ძალადობის პროპაგანდას, ასევე – ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების მოწოდებას. ასოციაციის იურისტის, გიორგი გოცირიძის თქმით, სადღობელაშვილის საჯარო განცხადებები ძალადობისკენ პირდაპირი მოწოდებაა.

თუკი სასამართლო სარჩელს დააკმაყოფილებს, ეს საქართველოში პირველი შემთხვევა იქნება, როცა ჰომოფობიური განცხადებების გავრცელებისთვის პოლიტიკოსი პასუხს აგებს.

24 წლის ლადო სადღობელაშვილი პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ წევრია. ფიზიკის ფაკულტეტის დამთა-

**■ თუკი სასამართლო ლადო სადღობელაშვილს არჩევნებიდან მოხსნის, ეს საქართველოში პირველი შემთხვევა იქნება, როცა ჰომოფობიური განცხადებების გავრცელებისთვის პოლიტიკოსი პასუხს აგებს.**

ვრების შემდეგ იგი ჯერ „თანასწორობის ინსტიტუტში“, შემდეგ კი პარტია „თავისუფლებაში“ პრესმდივნად მუშაობდა. ამბობს, რომ დიდი ხანი არაა, რაც პოლიტიკაში წავიდა, თუმცა დარჩენას დიდი



ხნით აპირებს. „თავისუფლება“ ეროვნული ძალებიდან წამოსული პარტია და იზიარებს ილიას, მერაბისა და ზვიადის იდეებს. აქ თავს კომფორტულად ვგრძნობ“, – აცხადებს სადღობელაშვილი და დასძენს, რომ ლიბერალი არ არის, რადგან ეს „ჰომოსექსუალების, ლესბოსელების, გაურკვეველი სქესისა და ორიენტაციის მატარებლების იდეოლოგიაა“.

მისი აზრით, სექსუალური უმცირესობები უნდა არსებობდნენ, თუმცა საზოგადოებისგან იზოლირებულნი უნდა იყვნენ და დამალონ „თავიანთი გარყვნილი მორალი“. „როგორც ნარკომანი არის სამკურნალო, ანალოგიურად ვფიქრობ ჰომოსექსუალებზე, ყველანი არიან სამკურნალები!“ სადღობელაშვილი თავის მოსაზრებას ქრისტიანობის დაცვის მოტივით ხსნის და ბიბლიას იმონებს, მისი თქმით, სექსუალური უმცირესობების არსებობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ქრისტიანობას, არამედ სხვა ტრადიციულ კონფესიებსაც, მაგალითად, „ებრაელების სარწმუნოებას – ივრითს“, – მიუბნევა იგი და რელიგია ენაში ერევა.

ლადო სადღობელაშვილმა ჰომოსექსუალების წინააღმდეგ საჯარო ბრძოლა ერეკლე დეისაძის წიგნის პრეზენტაციის შემდეგ დაიწყო. მისი აზრით, ასეთი წიგნები არ უნდა გამოიცემოდეს, რადგან „ეს აკრძალული ხილია. შეიძლება რომელიმე ახალგაზრდას შემთხვევით შემოეჭამოს და ცხოვრება სამუდამოდ დაუმახინჯოს“.

სადღობელაშვილი მხარს უჭერს „სახალხო მართლმადიდებლურ მოძრაობას“ და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“, რადგან ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას იცავენ. „ნანა დევდარიანი, ელიზბარ ჯაველიძე – ამ მოძრაობაში ისეთი ადამიანები არიან განვევრიანებული, რომ მე მათი მჯერა“. იგი ნაწილობრივ ამართლებს ბასილ მკალავიშვილის მეთოდებსაც: „მართალია, არ მომწონდა თავში ჯვარს რომ არტყამდა, სამაგიეროდ, ურჯულო ადამიანები ჩამოშორდნენ საზოგადოებას. ახლა გლდანში იელოველის გაჭაჭანებაც კი არაა და მკალავიშვილის მრევლი იქ ყველაზე ძლიერია!“ გლდანში მაჟორიტარ დეპუტატობაზე პარტია „თავისუფლებიდან“ სწორედ მკალავიშვილის მარჯვენა ხელი, პეტრე ივანიძე იყრის კენჭს. „გემასხოვრებათ მაღალი, წვერიანი კაცი, სულ

გვერდით ედგა მამა ბასილს!“ – სიამაყით ამბობს სადღობელაშვილი.

„თავისუფლები“ წევრებს მოსწონთ პატრიარქის ინიციატივა ახალი კანონის მიღების შესახებ და ფიქრობენ, რომ კარგი იქნება, თუკი იგი კონკრეტულად სექსუალურ უმცირესობებსაც შეზღუდავს, მაგალითად, არ მისცემს მათ საშუალებას, ჩაატარონ „გვი პარადი“.

„ჩვენი მოძრაობის წევრს სანდრო ბრეგაძეს აქვს ინფორმაცია, რომ ზაფხულში თბილისში გვი პარადის მოწყობას აპირებენ, მათ შეუერთდებიან საზღვარგარეთიდან ჩამოსული ჰომოსექსუალებიც. თუ ასეთი რამ მოხდა, აქ ნამდვილად სისხლი დაიღვრება!“ – ამბობს სადღობელაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ამ ყველაფერს საქართველოში „თავისუფლების ინსტიტუტი“ გეგმავს და ახორციელებს. ის აგრეთვე ფიქრობს, რომ ერეკლე დეისაძემ წიგნი სწორედ „თავისუფლების ინსტიტუტს“ დაკვეთით დაწერა .

საჯარო პირის ამ პოზიციის შეფასებისგან ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები ან თავს იკავებენ, ან მიიჩნევენ, რომ ეს განცხადებები არ შეიძლება სადღობელაშვილის საარჩევნო სიიდან ამოღების საფუძველი გახდეს.

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრის, დავით ზურაბიშვილის თქმით, საქართველოში სიძულვილის ენა კანონით არ ისჯება, დანარჩენი კი მორალის სფეროა. ამიტომ, ამომრჩეველმა თავად უნდა გადაწყვიტოს, დაუჭერს თუ არა მხარს ასეთ კანდიდატს.

„როცა ასეთი სახის მონოდებები შეიცავს რეალურ და მყისიერ საფრთხეს, მაშინ ეს კრიმინალია. თუმცა, ამ შემთხვევაში, არა მგონია, სერიოზული განცხადება გაეკეთებინოს. გამოხატვის თავისუფლებას აქვს ორი მხარე. ეს გულისხმობს ისეთი რამის თქმასაც, რაც არ მოგწონს“, – დასძენს იგი.

თუმცა, არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც. იურისტი სანდრო ბარამიძე მიიჩნევს, რომ სადღობელაშვილის განცხადებები „არა მხოლოდ ჰომოფობიურია, არამედ უპირველეს ყოვლისა ჰომოციდურია – სისხლის დაღვრისკენ მონოდებებს შეიცავს. რა კავშირი აქვს ასეთ გამონათქვამებს გამოხატვის თავისუფლებასთან? – არავითარი. ის სახიფათო კაცია უკვე ახლა, როცა ჯერ ძალაუფლების ბერკეტები არ გააჩნია. როგორი იქნება იგი იმ შემთხვევაში, როდესაც

ქალაქის თვითმმართველობის წევრი გახდება? ეს კაცი საარჩევნო კამპანიაში არ უნდა იღებდეს მონაწილეობას“.

სადღობელაშვილის შემთხვევა გამოწვევის არაა. პოლიტიკოსების ჰომოფობიური განცხადებები მედიის საშუალებით მანამდეც ბევრჯერ გავრცელებულა, მათ შორის – ადამიანთა უფლებების დამცველების მხრიდანაც. დიმიტრი ლორთქიფანიძემ, რომლის კანდიდატურაც 2009 წელს სახალხო დამცველის პოსტზე იყო წარმოდგენილი, საზოგადოების წევრებთან ერთ-ერთი შეხვედრისას განაცხადა: „მამათმავლობა უნდა ისჯებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით, რადგან სჯულის კანონის მიხედვით, გარყვნილი ქმედება დასჯადია!“

2007 წელს გაზეთ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უფრო რადიკალურ ზომებზე საუბრობდა ირაკლი წერეთელი: „მამათმავლებს უნდა აეკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობა, თანამდებობებზე დანიშვნა, და საერთოდ, საზოგადოებაში გამოჩენა. ყველა ქურდი, ნარკომანი და ბანდიტი სჯობა მამათმავლებს“.

„ქალთა ინიციატივის მხარდამჭერი ჯგუფის“ დირექტორი ეკა ალდგომელაშვილი ამბობს, რომ ასეთი აგრესიული რიტორიკა სახიფათოა საზოგადოებისთვის. მისი თქმით, ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ ჰომოფობია, როგორც სოციალური პრობლემა, ქვეყანაში არსებობს.

სწორედ ჰომოფობიური განცხადებების გავრცელებისთვის 2010 წლის აპრილს შოგლანდიის კონსერვატორულმა პარტიამ უფლებამოსილება შეუჩერა ბრიტანეთის არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატს ფილიპ ლარდნერს, რომელმაც საკუთარ ვებგვერდზე მხოლოდ ის განაცხადა, რომ „ჰომოსექსუალობა არანორმალურია“. პარტიის თავმჯდომარის ენდრიუ ფულტონის თქმით, ეს სიტყვები ამომრჩევლებისთვის უკიდურესად შეურაცხყოფელი და მიუღებელი იყო, რის გამოც, ლარდნერი პარტიის რიგებში ყოფნას აღარ იმსახურებდა.

როგორც ჩანს, ჰომოფობია ქართველი პოლიტიკოსებისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. „ეს არც ბრიტანეთია და არც ჰოლანდია, – ამბობს ლადო სადღობელაშვილი, – ეს საქართველოა! ჩემნაირები ღმერთის ძალით ბევრნი არიან, მე დღეს შემაჩერებენ? ხეალ სხვა გამოვა. ისინი უმცირესობა არიან, ჩვენ კი – უმრავლესობა!“



ეროვნული უმცირესობები და არჩევნები

# მახნელი თბილისის მახს იჩივს

თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მარნეულში ბევრი ფიქრობს, რომ 30 მაისს პრეზიდენტს ირჩევს.

## თამარ ფარადაშვილი

მარნეულში ყველა სახლის, მაღაზიის თუ ჩაიხანის კედლებზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პლაკატებია წარწერით – „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“.

„მიშამ სიმშვიდე მოგვიტანა, თავისუფლად შემიძლია ვაჭრობა“, – ამბობს 61 წლის ალდინ რაშიდოვი და თავის მაღაზიაზე გაკრულ პრეზიდენტის პლაკატზე მიუთითებს.

30 მაისს არჩევნებზე იგი აუცილებლად მივა და, როგორც თავად ამბობს, იმისთვის, რომ თბილისის მერი აირჩიოს. „კანდიდატები ვინ არიან, არ ვიცი, მე „მიშას პარტიას“ აძლევს ხმას“, – ამბობს რაშიდოვი.

ის, რომ 30 მაისს არჩევნები ტარდება, მარნეულში ყველამ იცის. თუმცა, გამოკითხული 20 მოქალაქიდან სამი ფიქრობს, რომ თბილისის მერს ირჩევს, ოთხი საპარლამენტო არჩევნებზე მიდის, ორი რესპონდენტი კი პრეზიდენტის არჩევას აპირებს.

მხოლოდ ხუთმა ადამიანმა იცოდა ერთი მაჟორიტარი კანდიდატის ვინაობა მაინც, რომელიც 30 მაისს იყრის კენჭს.

მართალია, ქალაქში არ არის გამოკრული არც „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის – თაპირ აგივის ბილბორდები, მაგრამ

გამოკითხულების დიდი ნაწილი ამბობს, რომ „5 ნომერს“ აძლევს ხმას.

ქვემო ქართლში მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი ეთნიკური აზერბაიჯანელია. ტრადიციულად, ნებისმიერ არჩევნებში მინიმუმ ამდენივე პროცენტს აგროვებს ამ რეგიონში პრეზიდენტის პარტია თუ სახელისუფლებო კანდიდატი. აზერბაიჯანული მოსახლეობის მხრიდან ხელისუფლების ტოტალური მხარდაჭერის ტრადიცია შევარდნაძის დროიდან მოდის. იმდროინდელი ოპოზიცია ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად გუბერნატორ ლევან მამალაძის ავტორიტარულ მმართველობას ასახელებდა.

მამალაძის შემდეგ ამ რეგიონმა სამი გუბერნატორი გამოიცვალა, თუმცა ძველი ტრადიცია „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლების პირობებშიც წარმატებით გრძელდება.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მარნეულის რაიონში ამომრჩევლის 90-მა პროცენტმა ხმა მიხეილ სააკაშვილს მისცა, მაშინ როცა მის მთავარ კონკურენტს ოპოზიციიდან – ლევან გაჩეჩილაძეს მხოლოდ 6 პროცენტი ერგო. თითქმის იგივე შედეგით დასრულდა საპრეზიდენტო არჩევნები ეთნიკური სომხებით დასახლებულ

ახალქალაქის რაიონშიც. 80 პროცენტზე მეტი აიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც.

ოპოზიცია, რომელმაც ვადამდეულ საპრეზიდენტო არჩევნებზე თბილისში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა, ამ შედეგებით უკმაყოფილებას ვერ მალავდა.

„თუ სააკაშვილს სურს, იყოს მხოლოდ ახალქალაქისა და მარნეულის პრეზიდენტი, ეს მისი ნებაა, მაგრამ ასეთი გამარჯვებით ის ვერ იქნება ქართველი ხალხის პრეზიდენტი“, – განაცხადა მაშინ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა, დავით გამყრელიძემ.

„საკაშვილი იქნება მხოლოდ მარნეულის პრეზიდენტი. არალეგიტიმური წარმონაქმნი“, – აღნიშნავდა კახა კუკავა.

მიუხედავად ინფორმაციული ვაკუუმისა, რომელიც ქვემო ქართლში არსებობს, ოპოზიციის მიერ გაკეთებული ეს განცხადებები მოსახლეობამდე მაინც აღწევს და დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

2006 წელს, გაერო-ს ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების 83-მა პროცენტმა სახელმწიფო ენა არ იცის, შესაბამისად, არ უყურებს ქართულ სატელევიზიო არხე-



მარნეული, მაისი 2010

ფოტო: ნინო ნიკოლაძე

**■ გამოკითხული 20 მოქალაქიდან სამი ფიქრობს, რომ თბილისის მერს ირჩევს, ოთხი საპარლამენტო არჩევნებზე მიდის, ორი რესპონდენტი კი პრეზიდენტის არჩევას აპირებს.**

ბს და ვერ კითხულობს ქართულ პრესას.

აზერბაიჯანულენოვანი მაცურებლების ძირითადი საინფორმაციო წყაროები აზერბაიჯანული, რუსული და თურქული ტელეარხებია. მათ ნაციონალურ ქართულ არხებზეც მიუწვდებიან ხელი, თუმცა ენის არცოდნა მოსახლეობას ხელს უშლის ინფორმაციის გაგებაში.

შესაბამისად, ეთნიკურ უმცირესობებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა თითქმის არ ფლობს ინფორმაციას ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, იმისთვის, რომ გააზრებული არჩევანი გააკეთოს.

ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობამდე თავისი პოლიტიკური მესიჯების მიტანას ახერხებს, „ნაციონალური მოძრაობაა“. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მთლიანად მმართველი პარტიის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. „ნაციონალური მოძრაობა“ იქ ასოცირდება იმ ერთადერთ ძა-

ლასთან, რომელსაც მოსახლეობისთვის მინიმალური პრობლემების მოგვარება შეუძლია.

„ნაციონალურ მოძრაობას“ მარნეულში ორი ოფისი აქვს – ევრორემონტით, რბილი სავარძლებითა და კომპიუტერებით. კედლებზე საქართველოს პრეზიდენტის პლაკატებია და წარწერა – „გამარჯვებამდე დარჩა 11 დღე“.

„ნაციონალური მოძრაობა“ მოსახლეობასთან დღეში მინიმუმ სამ გასვლას აწყობს, აზერბაიჯანულ ენაზე დაბეჭდილ ბუკლეტებს ურიგებს და ერთ-ერთი მთავარი პრობლემის – წყლის გაყვანის საკითხის მოგვარებას ჰპირდება. ეს პირველი არჩევნები არ არის, როცა წყლის პრობლემა სახელისუფლებო გუნდის წინასაარჩევნო დაპირებათა ნუსხაში ხვდება.

„ეს დაპირება ჯერ კიდევ შევარდნადის დროს არსებობდა, ახლა სააკაშვილი აგრძელებს ყველა არჩევნებზე“, – ამბობს 34 წლის თამილა ალიევა.

მიუხედავად ამისა, ის მაინც „5 ნომერს“ აძლევს ხმას. „მანყობს მისი პოლიტიკა. ქალაქი ლამაზდება, კანონი მოქმედებს, კორუფცია აღარ არის. არ ვიცი, რა იქნება, თუ სხვები იქნებიან“, – ამბობს იგი.

სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, ზაურ ხალილოვის თქმით, იმისათვის, რომ ხელისუფლების რეალურ კონკურენტად იქცეს, ოპოზიცია ამ რეგიონებში ორჯერ უფრო მეტად აქტიური უნდა იყოს, ვიდრე სხვა რეგიონებში, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს სახელისუფლებო მანქანას, რომელიც ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განსაკუთრებით ეფექტურია.

რეალურად კი, ეს ის რეგიონია, სადაც ოპოზიცია ბევრად უფრო ნაკლებს მუშაობს, ვიდრე სხვაგან.

მაგალითად, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა ამბობს, რომ „ამ რეგიონებზე, დიდი ხანია, ხელი ჩაიქნის“.

„ახალქალაქში საარჩევნო კამპანიის ჩატარებას, მირჩევნია, თბილისში რეგულაცია მოვახდინო. ახალქალაქში რომც ვიაქტიუროთ, 5 პროცენტის ნაცვლად, შეიძლება მხოლოდ 6 ავიდეთ. სანამ სააკაშვილი ხელისუფლებაშია, ეს სურათი არ შეიცვლება“, – ამბო-

ბს კუკავა. იგი აზერბაიჯანულ ენაზე პროგრამების ბეჭდვასა და ქვემო ქართლში აქტიურობაზე რესურსების ხარჯვას უაზრობად მიიჩნევს. მართალია, „ეროვნულ საბჭოს“ მარნეულში თავისი კანდიდატი – მეხთი ასტვიროვი ჰყავს, თუმცა მისი გამარჯვების მისასავე გუნდშიც კი არავის სჯერა.

მარნეულში თავისი ოფისი აქვს „ალიანსი საქართველოსთვის“-აც. იგი ჩაიხანის გვერდით მდებარეობს. თუმცა, დომინოს თამაშით დაკავებულმა მარნეულელებმა არ იცოდნენ, რომ მათგან ერთ ნაბიჯში პარტიის ოფისია.

„ალიანსის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ქამილ ალიევი ამბობს, რომ ყოველდღე კარდაკარ დადის ამომრჩეველთან, შედის მალაზიებში, ჩაიხანებში და საკუთარ თავს და პარტიას აცნობს.

„შეხვედრებზე ბევრი ხალხი არ დადის – მაქსიმუმ 15 ადამიანი. ხალხს ეშინია. ვინც დასაქმებულია, სერიოზული პრობლემები ექნება. ამიტომ ჩემთან შეხვედრაზე მარტო უმუშევრები დადიან“, – ამბობს ალიევი. მისი მთავარი დაპირება სწორედ დასაქმება და ქართული ენის გაძლიერებული სწავლებაა.

კიდევ ერთი პარტია, რომელსაც მარნეულში მეტ-ნაკლებად იცნობენ, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობაა“. გამოკითხულთაგან ორმა მოქალაქემ განცხადა, რომ ქრისტიან-დემოკრატებს აძლევს ხმას.

„გაზი 5 თეთრიო, წყალი უფასოვო. ავირჩევ რატომაც არა“, – 25 წლის რაულ ასკეროვი ქრისტიან-დემოკრატების თბილისის მერობის კანდიდატის, გია ჭანტურიას წინასაარჩევნო დაპირებებს ციტირებს.

30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ისევე როგორც მთელს საქართველოში, ჩატარდება ქვემო ქართლშიც. თუმცა, ამ არჩევნებს არაფერი ექნება საერთო ქვეყნის პოლიტიკურ პროცესში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობასთან.

სავარაუდოდ, ეს არჩევნებიც არ დაარღვევს ტრადიციას და ხელისუფლება ქვემო ქართლის რეგიონიდან ამომრჩეველთა ხმების 80 პროცენტზე მეტს მიიღებს – ზუსტად იმდენს, რამდენი პროცენტიც არის რეგიონში აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა. ■



თვალსაზრისი

# ბანსი ხეიბიისა და ბემოსახვის თვისუფლებებს შორის



„მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების პატივისცემა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომელსაც სამართლებრივი დაცვა უნდა ჰქონდეს.

სოზარ სუმბარი

15 მაისს საქართველოს საპატრიარქომ მოუწოდა ხელისუფლებას, „სასწრაფოდ მიიღონ კანონი, რომელიც სათანადოდ დაიცავს მოსახლეობას უხამსობისგან, დაიცავს პიროვნების და საზოგადოების პატივსა და ღირსებას და მათ რელიგიურ გრძნობებს“.

საპატრიარქო აცხადებს, რომ პატივს სცემს და იზიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს, მაგრამ ამავდროს „გამოხატვის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვათა უფლებების დარღვევა... სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს შეუღლისა და დაპირისპირების პროვოცირების უფლებას, ეკლესიის შეურაცხყოფის, რელიგიური გრძნობების შელახვის და სახელმწიფო სიმბოლოების დამცირების უფლებას“.

საპატრიარქოს აზრით, თუ პრობლემა არ დარეგულირდება, ამას შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირება და გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს.

საზოგადოებაში ამ განცხადებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. პირობითად, ლიბერალები გამოხატვის თავისუფლების დასაცავად აღდგნენ, პირობითად, კონსერვატორებმა კი ინიციატივა მოინდონეს... არც ერთი ბანაკი ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ გამყოფი ხაზი მაინც გაივლო – ვინ ეთანხმება ინიციატივას და ვინ – არა! ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა განცხადებაში გაჟღერებული მუქარის ტონი შესაძლო სამოქალაქო დაპირისპირებასა და გამოუსწორებელ შედეგებზე.



კანონის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია ნამდვილად არის მოქალაქეთა სიმშვიდის დაცვა, რაზეც განცხადებაშია ლაპარაკი. უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილ რობინზონ კრუზოს კანონი არ სჭირდებოდა, მაგრამ ადამიანთა საზოგადოებაში კანონმა უნდა მოახერხოს ურთიერთობა პიროვნებებს, საზოგადოებრივ ჯგუფებსა და სახელმწიფოს შორის. ამის გაკეთება კი შეუძლებელია, თუ კანონები რაღაც დონეზე მაინც არ ასახავს საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესსა და ხედვას. ბუნებრივია, ეს ინტერესები ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მაგრამ სახელმწიფომ უნდა შეძლოს სამართლიანი ბალანსის მონახვა სხვადასხვა ინტერესს შორის.

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელმაც მკვეთრად გააფართოვა გამოხატვის თავისუფლების ფარ-

**■ უმრავლესი უფლებების შეზღუდვა შესაძლებელიცაა და ხშირად აუცილებელიც იმისთვის, რომ არ დაირღვეს სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები, ან საზოგადოების სხვა ლეგიტიმური ინტერესი.**

მენტმა მიიღო კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელმაც მკვეთრად გააფართოვა გამოხატვის თავისუფლების ფარ-

გლები. თუმცა, ლიბერალური კანონი გამოხატვის თავისუფლების შესახებ არ ნიშნავს, რომ ამ სფეროში ყველაფერი მოწესრიგებულია. რჩება უამრავი პრობლემა, რომლებსაც მოგვარება სჭირდება. ეს აუცილებელია მრავალი ადამიანის თუ საზოგადოების გარკვეული ჯგუფის უფლებების დასაცავად და საზოგადოებაში სიმშვიდის დასასადგურებლად.

ადამიანის უფლებების შესახებ თეორია, ისევე როგორც ზოგადად კანონმდებლობა, მუდმივად იცვლება და ვითარდება. არის აბსოლუტური უფლებები, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია, და არის უფლებები, რომლებიც შეიძლება შეიზღუდოს გარკვეულ პირობებში და გარკვეული დოზით. მაგალითად, წამების ან მონობის აკრძალვა აბსოლუტურია, რაც ნიშნავს რომ არასდროს, არავითარი მიზეზით არ შეიძლება ადამიანის წამება ან დამონება. სამაგიეროდ, უმრავლესი უფლებების შეზღუდვა შესაძლებელიცაა და ხშირად აუცილებელიც იმისთვის, რომ არ დაირღვეს სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები, ან საზოგადოების სხვა ლეგიტიმური ინტერესი. უფლებებს შორის ზღვარი შეიძლება პერიოდულად შეიცვალოს და რომელიმე უფლების ზღვარი გაფართოვდეს ან, პირიქით, დაეწიროვდეს სხვა უფლების სასარგებლოდ, იმისდა მიხედვით, თუ რა არის მოცემულ პერიოდში მოცემული საზოგადოებისთვის ადეკვატური. ეს ბუნებრივია, რადგან კანონი არის საზოგადოებრივი შეთანხმება, რომელმაც საზოგადოებაში მშვიდობა და წესრიგი უნდა მოიტანოს.

დემოკრატიულ ქვეყნებში, და ევროსასამართლოს მიერაც აღიარებულია, რომ „მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების პატივისცემა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომელსაც სამართლებრივი დაცვა უნდა ჰქონდეს. საქართველოში ამ სფეროს კანონმდებლობა არ არეგულირებს. ბევრი „ლიბერალი“ მიიჩნევს, რომ ეს ძალიან კარგია და ზედმეტი რეგულაციები არ არის საჭირო, თუმცა ისინი ვერ ითვალისწინებენ, რომ როცა კანონი არ ან ვერ არეგულირებს რაიმე სფეროს, მის ადგილას აუცილებლად ჩნდება ალტერნატიული სამართალი.

ამგვარი ვითარება იწვევს საზოგადოების სახელმწიფოსგან გაუცხოებას და კანონის გვერდის ავლით გამოსავლის ძებნას, აქედან ძალადობამდე კი ერთი ნაბიჯია.

რა თქმა უნდა, მუქარა და ძალადობა კანონის დარღვევა და მოძალადე უნდა დაისაჯოს, მაგრამ ამით პრობლემა ვერ გადაიჭრება. უკმაყოფილება, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს დაითრგუნა, აუცილებლად იფეთქებს სხვაგან და სხვა დროს და ამან შეიძლება ძალიან საშიში ფორმა მიიღოს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ საზოგადოების „კონსერვატიული“ ნაწილი ადვილად დათმობს თავის შეხედულებებს და შეეგუება მარცხს, ძალიან ცდება. საპატრიარქოს გაფრთხილება, რომ ამგვარ გაუთვალისწინებლობას შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირება და გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს, რეალობასთან ახლოსაა.

\* \* \*

ადამიანის უფლებათა სამართალში ამ ორი ღირებულების – ერთი მხრივ გამოხატვის თავისუფლების, ხოლო მეორე მხრივ „საზოგადოებრივი მორალისა“ და „მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების გამომხატვის“ („რელიგიური მორალის“) დაპირისპირების თემა კარგადაა დამუშავებული. ცივილიზებული სამყარო ცდილობს, მონახოს „სამართლიანი ბალანსი“ ამ ღირებულებებს შორის. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განსაზღვრა „უხამსობის“ ცნება და 1973 წელს საქმეში „მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ „ნაშრომი, პიესა, ფილმი ან წიგნი უხამსია და შეიძლება აიკრძალოს, თუ ის: ა) მთლიანობაში ავხორცობის ინსტიტუტებს (ვნებიანი ფიქრების აღძვრის ტენდენციას) ემსახურება; ბ) სექსუალური ქცევა მასში ნაჩვენებია აშკარად შეურაცხყოფელი სახით; გ) ნამუშევარი მოკლებულია ყოველგვარ ლიტერატურულ, პოლიტიკურ, მხატვრულ თუ მეცნიერულ ღირებულებას.

ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ რაც უხამსობაა რომელიმე კონსერვატიულ შტატში (საზოგადოებაში), შეიძლება არ ჩაითვალოს

უხამსობად ნიუ-იორკში. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამერიკის კონსტიტუცია არ იცავს უხამსობას, ხოლო ამერიკის სასამართლო სისტემა, თავისი ნაფიცი მსაჯულებით, ისტორიულად იძლეოდა შესაძლებლობას, რომ სასამართლო უფრო მეტად დაყრდნობოდა საზოგადოებაში არსებულ სტანდარტებს და ნაკლებად ეხელმძღვანელო კანონით დადგენილი ინსტიტუტებით.

აშშ-სგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ განმარტავს „უხამსობისა“ და „მორალის“ ცნებებს, რადგან მიიჩნევს, რომ არ არსებობს ერთიანი ევროპული შეხედულება, თუ რა არის მორალი ან უხამსობა და ეს საკითხი თავად კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაარეგულირონ თავიანთი ტრადიციის, კულტურისა თუ რელიგიის შესაბამისად. სასამართლოს აზრით, საზოგადოებრივი მორალისა და რელიგიური შეურაცხყოფის ფაქტის დასადგენად მთავარი ორიენტირი ისაა, თუ როგორი იყო საზოგადოების რეაქცია. მაგალითად, საქმეში „მიულერი შევიცარიის წინააღმდეგ“, შევიცარიის სახელმწიფომ კონფისკაცია გაუკეთა სურათებს, რომლებზეც „არაბუნებრივი სექსუალური პრაქტიკა“ (ორალური სექსი, ცხოველებთან ადამიანის კავშირი) იყო გამოხატული, ხოლო თავად ავტორი ამ სურათების გამოფენისთვის დააჯარიმა. ევროსასამართლო დაეთანხმა შევიცარიის სასამართლოების მოსაზრებას, რომ ეს სურათები „უხეშად შეურაცხყოფდნენ წარმოდგენას სექსუალურ ეთიკაზე, რაც ჩვეულებრივი მგრძნობელობის ადამიანისთვის არის დამახასიათებელი“ და, შესაბამისად, სურათების კონფისკაცია და მხატვრის დაჯარიმება მიიჩნია გამართლებულად და „აუცილებლად“ მორალის ინტერესებიდან გამომდინარე.

საქმეში „ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთა რელიგიური მორალის დაცვის აუცილებლობა. ავსტრიაში, ტიროლის ოლქში ოტო პრემინგერის ინსტიტუტი აპირებდა, მოეწყო ფილმის „სიყვარულის ტაძარი“ ჩვენება. ადგილობრივ კათოლიკურ ეკლეს-

სიაში ჩათვალეს, რომ ფილმი შეურაცხყოფდა მორწმუნე ქრისტიანთა რელიგიურ გრძობებს და მიმართეს ინსბრუკის პროკურორს, აღეძრა სისხლის სამართლის საქმე სს კოდექსის იმ მუხლების საფუძველზე, რომლებიც კრძალავდა რელიგიური კულტის პერსონაჟებისა და საგნებისადმი ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც საზოგადოების „სამართლიან გულისწყრომას“ იწვევდა. სასამართლომ ფილმი დააყადაღა და მისი კონფისკაცია მოახდინა.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ავსტრიის სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა კანონიერ მიზანს – რელიგიური უფლებებისა და მორალის დაცვას, ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შენარჩუნებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას – ემსახურებოდა. ევროსასამართლომ გაიზიარა ავსტრიის სასამართლოს შეფასება, რომ ფილმში მამა ღმერთის, იესო ქრისტეს და მარიამ ღვთისმშობლის პროვოკაციული ფორმით გამოხატვა „სა-

კათოლიკეა და სწორედ ამის გამო არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ ქვეყანაში რელიგიური მშვიდობისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად. სასამართლოს აზრით, მორწმუნეთა რელიგიური გრძობების შეურაცხყოფა და მათი უფლებების დარღვევა არ წარმოადგენდა რაიმე ფორმით ისეთ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობას, რაც ხელს შეუწყობდა შემდგომ პროგრესს საკაცობრიო საკითხებში.

აქვე სასამართლომ განმარტა, რომ ამ უფლებებს შორის ბალანსის დაცვა აუცილებელია. სასამართლოს აზრით, მორწმუნეები შეგნებულად უნდა შეურიგდნენ მათი შეხედულებების კრიტიკას და მათი რწმენისადმი მიუღებელი შეხედულებების გავრცელებას, მაგრამ, მოცემულ საქმეში რელიგიური კულტის პერსონაჟებისა და საგნების პროვოკაციული გამოსახვა ბოროტი განზრახვით არღვევდა შემწყნარებლობის ატმოსფეროს, რაც დამახასიათებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ფილმის საერ-

რალის ურთიერთობა ისეთი სფეროა, სადაც შეუძლებელია, ერთხელ დამკვიდრებული პრეცედენტი მუდმივად მოქმედებდეს. საზოგადოებაში მსგავს თემებზე ყოველთვის იქნება პოლარიზებული აზრები და, შესაბამისად, მუდმივად იქნება კამათი, სად გადის ზღვარი, ერთი მხრივ, გამოხატვისა და ხელოვნების თავისუფლებას შორის და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ მორალს, უხამსობას, რასისტულ გამონათქვამებსა და რელიგიურ შეურაცხყოფას შორის. სწორედ ამიტომ, ამ სფეროს საკანონმდებლო რეგულირება აუცილებელია, მაგრამ, ამავე დროს ეს ძალიან საფრთხილო საქმეა და ბალანსი საპირისპირო მიმართულებით არ უნდა დაირღვეს. თუ ეს მოხდება, შეიძლება ბოთლიდან ამოვუშვათ ჯინი, რომლის უკან ჩაბრუნება ძალიან გაჭირდება. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი დაუსრულებელი სასამართლო პროცესი შეიძლება მოჰყვეს რელიგიურ თემაზე დაბეჭდილ, საზოგადოების უმრავლესობის აზრით, სრულიად უწყინარ კარიკატურას ან ანექლოტს.

**■ გამოხატვის თავისუფლებისა და საზოგადოებრივი და რელიგიური მორალის ურთიერთობა ისეთი სფეროა, სადაც შეუძლებელია, ერთხელ დამკვიდრებული პრეცედენტი მუდმივად მოქმედებდეს.**


მართლიან გულისწყრომას“ იწვევდა. საინტერესოა, რომ ევროსასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იმის მიუხედავად, რომ, სასამართლოს აზრით, ჩვენების ორგანიზატორებმა მიიღეს ყველა საჭირო ზომა, რათა ფილმი ვერ ენახათ არასრულწლოვანებსა და იმ ადამიანებს, რომელთა რელიგიურ გრძობებზეც მას შეეძლო ემოქმედა: ჩვენება ღამის საათებში იყო, ფილმს ესწრებოდა მხოლოდ დაინტერესებული პუბლიკა, დასწრება ფასიანი იყო და წინასწარ გავრცელდა ფილმის შინაარსის ადეკვატური, მაგრამ არა შეურაცხყოფილი გაფრთხილება. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ ავსტრიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა – 88 პროცენტი –

თო ტონალობა და სულისკვეთება უთუოდ შეურაცხყოფდა მორწმუნეთა გრძობებს, რომლებიც ამ ფილმს შეაფასებდნენ, როგორც ქრისტეს ღვთაებრიობის უპატივცემლობას.

ამ გადაწყვეტილებას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სასამართლო ვალდებული იყო, დაეცვა განსხვავებული აზრი ისეთი აგრესიული რელიგიური უმცირესობისგან, როგორც ავსტრიისთვის არის დამახასიათებელი. მიუხედავად კრიტიკისა, ევროსასამართლომ მოგვიანებით ანალოგიურ საქმეებზე კვლავ ანალოგიური გადაწყვეტილებები მიიღო.

\* \* \*  
გამოხატვის თავისუფლებისა და საზოგადოებრივი და რელიგიური მო-

მეორე მხრივ, თუ არ მოხდება ამ საკითხის სამართლებრივი რეგულირება, პრობლემა შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს. ჯერ ერთი, საზოგადოების ერთ ნაწილს, არცთუ უსაფუძვლოდ, მუდმივად ექნება განცდა, რომ მისი უფლებები ირღვევა, და მეორეც – ეს ბოთლში ჩამწყვდეული ჯინი მაინც გათავისუფლდება და შემდეგ მისი სამართლებრივ არტახებში მოქცევა გაცილებით გაძნელდება.

P.S.  
დაბოლოს, ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ყველაზე ნაკლებად ეხება სახელმწიფო სიმბოლოების დაცვას, რაზეც ასევე ლაპარაკია საპატრიარქოს განცხადებაში, ოღონდ ამაზე სხვა დროს. 



# პენსიების ომი

წინასაარჩევნო ბრძოლა თბილისის შენობებსა და ლობეებზე აკრძალული წესებით მიმდინარეობს.

რუსუდან ფანოზიშვილი



ფოტო: ნინო ჟორდანიანი

გვიან ღამით, როცა ქალაქს სძინავს, პოლიტიკური პარტიების ზოგიერთი წევრი მუშაობას იწყებს. საარჩევნო შტაბებში ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები იკრიბებიან, აგროვებენ სათლებს, ჯაგრისებს, ნებოს, და ქალაქის ქუჩებში გადიან. ღამის მისია საარჩევნო კანდიდატების პლაკატების გაკვრაა, ზოგჯერ – მეტოქე კანდიდატთა პლაკატების ჩამოხევაც, ან მათზე თავიანთი კანდიდატების პორტრეტების ზემოდან გადაკვრა.

18 მაისს, ღამის 12 საათს ელოდებოდნენ ქეთევან წამებულის №63-შიც. „ალიანსი საქართველოსთვის“ შტაბში, ფრაქცია „მემარჯვენეების“ ახალგაზრდული ფრთის წევრები ნელ-ნელა შეიკრიბნენ. ქუჩები გაინანილეს, აღჭურვილობა მოიმარაგეს, სპეციალურად გამოყოფილ მიკროავტობუსში ჩასხდნენ და მთელი ღამით სამუშაოდ ერთუზიანობით გაემართნენ.

საარჩევნო პლაკატების გასაკრავად ღამ

მეს ბევრი პარტია ირჩევს. თუმცა, თვითონ პარტიების წევრები ამბობენ, რომ ამაში კონსპირაციული არაფერია. „ღამე უფრო ადვილია, მანქანები ნაკლები დადის, ხალხი ხელს არ გვიშლის, ნაკლებად გვცნობენ, ვინ ვართ, და ინციდენტებიც ნაკლები შეიძლება იყოს“, – ამბობს შტაბის უფროსი რეზი სოხაძე.

18 მაისის ღამეს ახალგაზრდა „მემარჯვენეების“ 9 აქტივისტმა ფიქრია ჩიხრაძის 3000 პლაკატის გასაკრავად წინასაარჩევნოდ ღამე მეთორმეტედ გაათენა. პლაკატების უმრავლესობა ხელახლა გააკრეს, რადგან მანამდე გაკრული ამდენივე პლაკატი ჩამოხეული დახვდათ. თუმცა, თვითონ ამბობენ, რომ სხვის პლაკატებს ღამღამობით არ ხევენ; მეტიც, სხვა პარტიებისთვის ადგილებსაც კი ინახავენ. ეს აქამდე პოლიტიკურ მეტოქეებს შორის დაუწერელი წესი ყოფილა. თუმცა, ეს წესი ამ არჩევნებზე მაინც დაირღვა.

„არც ერთ არჩევნებზე ასეთი რამ არ მომხდარა, რაც ახლა ხდება, არ გვახსოვს ასეთი განუკითხაობა. ამან უკვე ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა“, – ამბობს ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი დავით საგანელიძე, რომელსაც ერთ დღით ვაკეში, საკუთარ პორტრეტებზე „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის, ვახტანგ ნაცვლიშვილის სარეკლამო პლაკატები დახვდა გადაკრული. „თითოეულ პლაკატზე გადამიკრეს თავიანთი პლაკატი. ეს ნიშნავს, რომ საგანგებოდ მოიქცნენ ასე. ვთხოვე, რომ ეს აღარ გამეორებულყო, თუმცა მეორე დღეს მაინც იგივე მოხდა“, – ამბობს დავით საგანელიძე და დასძენს, რომ ასე მოექცნენ მის თანაგუნდელს, მამუკა კაციტაძესაც.

„ნაციონალური მოძრაობის“ ვაკის კანდიდატი ვახტანგ ნაცვლიშვილი ამბობს, რომ ასეთი დარღვევები მისი მისამართითაც მოხდა. „დავით საგანელიძის პლაკა-

ტების ქვეშ, არ არის გამოირცხული ჩემი პლაკატები ყოფილიყო გაკრული, – ამბობს ნაცვლიშვილი და დასძენს, – თუმცა, შეუძლებელია, საგანელიძის პლაკატები ჩემმა პლაკატებმა სრულად გადაფაროს, რადგან ჩემი პლაკატების რაოდენობა მისას სამჯერ ჩამორჩება“.

ვახტანგ ნაცვლიშვილის პლაკატებზე ტირაჟი, ოფიციალურად, მართლაც 3300 ცალია მითითებული. საგანელიძემ კი ოფიციალურად 8000-ზე მეტი პლაკატი დაბეჭდა. თუმცა, საგანელიძის 8000-მდე პოსტერის თითქმის სათითაოდ გადაფარვისთვის ნაცვლიშვილის სამჯერ ნაკლები პლაკატები მაინც საკმარისი აღმოჩნდა. დღეს ჭავჭავაძის გამზირზე დავით საგანელიძის ათასობით პლაკატზე ნაცვლიშვილის პორტრეტებია გადაკრული. „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრები ამიტომაც ფიქრობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო პლაკატებზე მითითებული ტირაჟი რეალურად დაბეჭდილი პლაკატების რაოდენობას არ შეესაბამება. „თუ ასე ცოტა დაბეჭდეს, როგორ ეყო ნაცვლიშვილის პოსტერები ჩვენს 10.000-მდე პლაკატზე გადაკვრას? – აცხადებს დავით საგანელიძე, – გამოდის, რომ ესეც ერთგვარი მცდელობაა, გადასახადები დამალონ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა“. „ნაციონალური მოძრაობაში“ ჯერ არ ასახელებენ, ბოლო დროს ზუსტად რამდენი დაიხარჯა და როგორ გადანაწილდა მათი წინასაარჩევნო ბიუჯეტი.

პლაკატების ომის კვალი კარგად ჩანს საბურთალოს რაიონის სხვადასხვა ქუჩაზეც. ბახტრიონისა და შარტავას ქუჩებზე ასევე „ალიანსის“ წევრის, თინა ხიდაშელის პლაკატებია ჩამოხეული. მათ ნაწილს კი ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის პორტრეტები ფარავს.

საბურთალოს მსგავსად, მთელ ქალაქში, ყველა სხვა პარტიის სარეკლამო პოსტერებს სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების სარეკლამო პლაკატები თუ ბანერები აჭარბებს. ამ მხრივ მათ ღირსეულ კონკურენციას „ქრისტიან-დემოკრატები“ უწევენ. საბურთალოზე ზაზა გაბუნიას პლაკატები „ნაციონალებისას“ სიმრავლით თითქმის არ ჩამოუვარდება. თუმცა, პლაკატების „ომში“ გაბუნიაცაა ჩართული. მაგალითად, ბახტრიონის ქუჩაზე მისი სარეკლამო პლაკატები „ნაციონალური მოძრაობის“ ასამდე პლაკატზეა გადაკრული.

ზაზა გაბუნია ამბობს, რომ ასე თავდაპირველად მისი მეტოქეები მოიქცნენ – „ნაციონალური მოძრაობის“ და სხვა ოპოზიციური პარტიების აქტივისტებმა მისი პლაკატები გადაფარეს. მან კი, „იმიტომ“, რომ ძველი ადგილი დაებრუნებინა“, იგივე გაიმეორა.

„ალიანსი საქართველოსთვის“ კანდიდატები კი ამბობენ, რომ პლაკატების გადაფარვაზე იმავე გზით პასუხს არ აპირებენ და პრობლემის მოსაგვარებლად ცესკოს-ს საჩივრით მიმართეს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჩივრები ჯერ არ დაუკმაყოფილებია. ცესკოს თავმჯდომარე, ზურაბ ხარატიშვილი ამბობს, რომ მასალა განსახილველად მერიაში გადაგზავნეს, რადგან, პირველ რიგში, მერიამ უნდა დაადგინოს, კანონით დაშვებულ ადგილებზეა გაკრული ეს პლაკატები, თუ – არა.

„თუ აღმოჩნდა, რომ კანონით დაშვებულ ადგილებზეა გაკრული ეს პლაკატები, მაშინ ზემოდან გადაკვრისთვის „ნაციონალური მოძრაობას“ სანქცია დაეკისრება. თუ აღმოჩნდა, რომ თავიდანვე უკანონოდ გააკრეს ეს პლაკატები, მაშინ ორივე მხარეს მერია დააჯარიმებს“, – განმარტავს ხარატიშვილი.

საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლი განსაზღვრავს იმ ადგილებს, სადაც პლაკატების გაკვრა აკრძალულია, მაგალითად – შენობების კედლებზე. თუმცა რუსთაველის გამზირზე, იუსტიციის სამინისტროს შენობაზე მაინც გამოჩნდა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის, მამუკა ახლევდიანის ათობით პოსტერი. „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, კოკი იონათამიშვილის განცხადებით, ამ პლაკატების იუსტიციის სამინისტროს შენობაზე გაკვრა შეცდომა იყო და მათ ჩამოსხნას აპირებენ.

წინათ პოსტერების გაკვრას პარტიებს არ უკრძალავდნენ სამშენებლო ობიექტების ლობებზე, რაც ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისთვის რეკლამის ერთადერთ მნიშვნელოვან საშუალებად რჩებოდა. თუმცა, წელს, წინასაარჩევნო პერიოდის ბოლო კვირებში ბევრი ასეთი „თავისუფალი“ მესერიც დაკავებული აღმოჩნდა. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე გრძელ სამშენებლო მესერს ახლა კაზინო“ ივერიის“ რეკლამა ფარავს.

ეს ეჭვის საბაზი არ გახდებოდა, რომ არა ზოგიერთი კერძო კომპანიის ახლად მოფიქრებული სარეკლამო ლოზუნგების შინა-

არსი. მაგალითად, ყაზბეგისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს, მთელი კუთხე ერთმა, ერთი შეხედვით კერძო სამშენებლო კომპანიის, „ტიფლის დეველოპმენტის“ რეკლამამ დაფარა. ეს „კერძო“ რეკლამა იტყობინება, რომ „ასამენებელი კიდევ ბევრია“.

ყაზბეგის ქუჩაზე გამვლელების უმრავლესობას ეჭვი არ ეპარება, რომ ეს გიგი უგულავას რეკლამაა. დაახლოებით თხუთმეტი გამოკითხულიდან მხოლოდ ორმა აღნიშნა, რომ მათ წინ გაკრული უზარმაზარი ბანერები შეიძლება კერძო კომპანიისაც იყოს, თუმცა ყველა ერთხმად მიუთითებს, რომ ეს ლოზუნგი „ნაციონალური მოძრაობის“ ან გიგი უგულავას საარჩევნო კამპანიის ნაწილს ჰგავს.

„ტიფლის დეველოპმენტი“ 2004 წლიდან არსებობს, თუმცა ქუჩებში ახალი სარეკლამო ბანერები წარწერით „ასამენებელი კიდევ ბევრია“ მხოლოდ წელს, წინასაარჩევნო პერიოდში გამოჩნდა. კომპანიის დამფუძნებელს გიორგი ზაქაიძეს კი ეს დისკომფორტს არ უქმნის. „თუ ხალხს ასოცირება აქვს ჩვენსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის პოზიტიური მოძრაობა და პარტია და თუ ხალხი პოზიტივთან ასოცირებას გააკეთებს, კარგია“. მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ მისთვის კეთილი, აღმშენებლურ ძალასთან ასოცირდება, ხოლო „სიკეთის და კეთილი საქმის ასოცირება ყოველთვის ხელს უწყობს ერთმანეთს“. ის უარყოფს, რომ ეს სლოგანი „ნაციონალური მოძრაობასთან“ შეთანხმებით“ ან წინასაარჩევნო კამპანიის გავლენით შექმნა. მისი თქმით, „ტიფლის დეველოპმენტი“, მართალია, მერიის პროექტებში მონაწილეობს ხოლმე, მაგრამ ის კერძო კომპანია და პოლიტიკური გავლენებისგანაც – დამოუკიდებელი.

გიგი უგულავას საარჩევნო შტაბში კერძო კომპანიის ლოზუნგზე მათ ზეგავლენას უარყოფენ. თუმცა, ოფიციალური განცხადებების მიუხედავად, მოსახლეობა ამ ბანერებს მაინც „ნაციონალური მოძრაობის“, ან კონკრეტულად გიგი უგულავას წინასაარჩევნო დაპირებად აღიქვამს. „ტიფლის დეველოპმენტის“ ნაცვლად, ეს ადგილი „ნაციონალური მოძრაობის“ პლაკატებს ოფიციალურად რომ დაეკავებინა, მაშინ მათ გვერდით თავიანთი კანდიდატების რეკლამირების საშუალება სხვა პარტიებსაც მიეცემოდათ. **□**

თვალსაზრისი

# უბუნავს უხბანდი დაზიანებები - ხას უნდა ველოდით ხანაუხად?



სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შექმნილი ჯგუფის 1500-მა წევრმა მერობის კანდიდატთა მისამართით 208 კითხვა დასვა. ჯგუფის ადმინისტრატორმა კითხვები დააჯგუფა, 45 კითხვა ჩამოაყალიბა და მერობის ცხრავე კანდიდატს დაუგზავნა. თუმცა, ორკვირიანი ვადის ამონაწერის შემდეგ ქალაქის ურბანული განვითარების შესახებ პასუხები მხოლოდ ერთმა კანდიდატმა, გიგი უგულავამ წარმოადგინა. გთავაზობთ უგულავას ქალაქგანვითარების პროგრამის ანალიზს.

**ლუკა ბაქრაძე, არქიტექტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის ქალაქისა და რეგიონალური განვითარების ინსტიტუტის თანამშრომელი**

ქალაქგანვითარების საკითხთა 8 თემიდან ჯგუფის წევრთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, სატრანსპორტო პოლიტიკა გიგი უგულავასთან ძირითადად „ახალი ქუჩებისა და ესტაკადების“ მშენებლობაზეა კონცენტრირებული. მისი თქმით, პარალელურად მუშავდება მთელი ქალაქის ინტეგრირებული სატრანსპორტო გეგმაც, რომელიც თბილისის აგლომერაციის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ნაწილად მოიაზრება. თუმცა სრულიად გაუგებარი და გაუმართლებელია ასეთი გეგმის შემუშავებამდე რაიმე ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რამდენადაც მხოლოდ ასეთი გეგმის საფუძველზეა შესაძლებელი, განისაზღვროს, სად, რამდენი, როგორი ახალი გზა სჭირდება ქალაქს.

ქალაქის მინათსარგებლობის გეგმაზე მომუშავე გერმანელი ტრანსპორტის ექსპერტების წინასწარი შეფასებით, თბილისის არსებულ ქუჩათა ქსელს დღეს და ახლო მომავალში საკმარისზე მეტი პოტენციალი აქვს. საჭიროა მხოლოდ მისი სწორი რეგულირება.

სატრანსპორტო პოლიტიკის ამ მიმართულებითა და გიგი უგულავას დანარჩენი პასუხებიდანაც ჩანს, რომ იგი აქცენტს ქალაქის ინდივიდუალური ავტოტრანსპორტისათვის მოხერხებულად მოწყობაზე აკეთებს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ფუნქციონალური კომფორტის შემცირების ხარჯზე. ამას ადასტურებს ფეხით მოსიარულეთათვის დაგეგმილ ღონისძიებათა სიმწირე და ამ სფეროს არარსებული ერთიანი, ინტეგრირებული ხედვაც; მაგალითად, არ არსებობს კონკრეტული მიდგომა არც



საცობი თბილისის ქუჩებში, მაისი 2010

ისეთი პრობლემის გადასაჭრელად, როგორცაა ავტომანქანების ფეხით სავალ ნაწილზე პარკირება.

მართალია, ინდივიდუალური ავტოტრანსპორტის განვითარება პირდაპირ ხელს არ უშლის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას, მაგრამ ამ უკანასკნელის ქალაქისათვის მნიშვნელობას კი ამცირებს. შესაბამისად, ვერც ამ სფეროში დაგეგმილი ღონისძიებები შეედრება თავისი მასშტაბურობით ინდივიდუალური ავტოტრანსპორტის ხელშემწყობ პროექტებს; ასევე, მხოლოდ შორ პერსპექტივად შეიძლება გავიგოთ ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა ელექტროტრანსპორტის დაბრუნებაც.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან რკინიგზის გარეუბნებში გადატანა. ეს კატასტროფულ გავლენას იქონიებს თბილისის მომავალ განვითარებაზე; განსაკუთრებით, თუ თბილისი შეინარ-

**■ გიგი უგულავას ერთიანი სამოქმედო გეგმა არ გააჩნია, რასაც ყოველი პასუხის ბოლო ფრაზაც ადასტურებს: „ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი“.**

ჩუნებს თავის მნიშვნელოვან როლს ქვეყნის განსახლების სისტემაში და რეგიონული გავლენის ზრდის ამბიცია ექნება.

რკინიგზა დღევანდელ მსოფლიოში, ენერგეტიკული შემოტრიალების პირობებში, მომავლის ტრანსპორტს წარმოადგენს. ქალაქები ცდილობენ, მაქსიმალურად მოერგონ არსებულ სარკინიგზო ინფრასტრუქტურას, ხოლო მთავარი სადგურების გარშემო ყალიბ-



დება მათი საქმიანი ცენტრები. რკინიგზის გადატანის მიზნად სახელდება ქალაქის ეკოლოგიის გაუმჯობესება და რკინიგზის სახით ორად გაჭრილი ქალაქის პრობლემა. პირველის შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, უკუშედეგს მივიღებთ, ხოლო მეორე პრობლემის გადაჭრა, სავარაუდოდ, ნაკლები ფინანსური დანახარჯებითაც იქნებოდა შესაძლებელი (ტექნიკური მოწყობილობები: ხიდები, გვირაბები, პანდუსები, ლიფტები და ა.შ.).

ზოგადად კი, ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტის, რკინიგზის, ფეხმავლების და პარკინგის პრობლემის ჯანსაღად გადაწყვეტა მხოლოდ ქალაქის ერთიანი სატრანსპორტო გეგმითაა შესაძლებელი, რომელიც ჯერ არ გვაქვს.

ქალაქგანვითარების ადმინისტრირებაში, რაც, ჩვენი მოსაზრებით, თბილისის ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს, გიგი უგულავა რაიმე საგულისხმო ცვლილებას არ გეგმავს. მისასაღებელია რამდენიმე ძირითადი გეგმისა და სტრატეგიის შექმნა და ამ მხრივ მუშაობის გაგრძელება. თუმცა, სამწუხაროდ, მერობის კანდიდატის მიერ ჩამოთვლილი დოკუმენტები დღემდე იდუმალებით მოცულია. მიუხედავად იმისა, რომ, უგულავას თქმით, ეს გეგმები საზოგადოების ჩართულობით შემუშავდა, სინამდვილეში, ამ დოკუმენტების მოპოვება დაინტერესებული მოქალაქეებისთვის შეუძლებელია.

მთავარი პრობლემა, რომ ქალაქის არქიტექტურის სამსახური სათანადოდ ვერ ან არ მუშაობს ქალაქის განვითარების დაგეგმვაზე, პრობლემად რჩება, ეს უკანასკნელი ძირითადად კვლავ მშენებლობის ნებართვების გამცემ ორგანოდ მოიაზრება.

ზოგადად ამკარად ჩანს ქალაქგანვითარების ერთიანი, გამჭვირვალე სამართლებრივი დაურეგულირებლობა, რისი შეცვლის იმედსაც კანდიდატი არ იძლევა.

ქალაქის იერსახის შენარჩუნების ნებას გიგი უგულავა სრულიად ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს: „თბილისს რომ განუუმორებელი სახე აქვს, საყოველთაოდაა აღიარებული. ისტორიული ქალაქები ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი

რესურსია. ამ რესურსის გამოყენება კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სათანადოდ მოვუვლით და შევინარჩუნებთ მის ავთენტურობას და თავდაპირველ მომხიბვლელობას“, – წერია უგულავას პროგრამაში. თუმცა რაიმე ქმედით და კონკრეტულ ღონისძიებას ამ განვითარების მისაღწევად კანდიდატი არ ასახელებს; უფრო მეტიც, მისი პროგრამა „ძველი ქალაქის ახალი სიცოცხლე“ თბილისის სოციალური და კულტურული თვითმყოფადობის საწინააღმდეგოდაა მიმართული.

ორი მნიშვნელოვანი პროექტი, რასაც გიგი უგულავა, ამ თემის ფარგლებში აღნიშნავს, და რაც მომდევნო, ეკოლოგიის თემას უკავშირდება, ქალაქის კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, უაღრესად პოზიტიურად უნდა შეფასდეს. სახელდობრ, საქალაქო პარკების მშენებლობა რიყესა და ვერეს ხეობაში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მომავალი პარკის ხარისხს მნიშვნელოვნად გააფუჭებს მშენებარე მაგისტრალი.

ზოგადად, ეკოლოგიის სფეროში კანდიდატი სწორ და პოზიტიურ გეგმებს ასახელებს. გამონაბოლქვის შემცირებას, ენერგომომჭირნეობას, თანამედროვე ნაგავსაყრელს და საკანალიზაციო წყლების განმუხტვის მოგვარებას ალტერნატივა არ აქვს. თუმცა საკითხავი რჩება, შემოთავაზებული ღონისძიებები საკმარისი აღმოჩნდება თუ არა ქალაქის მწვავე ეკოლოგიური კრიზისიდან გამოსაყვანად; მით უმეტეს, რომ აქტუალური განვითარება საწინააღმდეგოს მეტყველებს. მაგალითად, ვერანაირი გამართლება ვერ მოეძებნება გასულ წელს მთელი რიგი ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ზონის სტატუსის მოხსნას; ასევე დაუშვებელია საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, თითქოს, ქალაქის 42% ეკავოს გამწვანებულ ზონებს. აქ გიგი უგულავა 2007 წელს შემოერთებულ ტერიტორიებს (ძირითადად ტყეებს) მიათვლის ქალაქს. რეალურად კი ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში გამწვანებული ტერიტორიების წილი კატასტროფულად დაბალია და ვერანაირ საერთაშორისო ნორმასთან ახლოსაც კი ვერ მივა.

ერთადერთი სფერო, სადაც გიგი უგულავა კონკრეტულ თარიღებს ასახე-

ლებს, ტექნიკური ინფრასტრუქტურაა. ეს თარიღებია: ქალაქის სრულფასოვნად წყლით მომარაგებისთვის – 2012 წელი, საკანალიზაციო წყლის განმუხტვის მოგვარებისთვის – 2015 წელი და თანამედროვე ნაგავსაყრელის აშენებისთვის – 2010 წელი.

ზოგად შეკითხვებზე მისი პასუხებიდან ვასკვნით, რომ უგულავას ეკონომიკური პოლიტიკა, ქალაქგანვითარების მოსაზრებით, ნეოლიბერალურ ნიშნებს ატარებს და ამით განსხვავდება ცენტრალური ევროპის ქალაქების აქტუალური პოლიტიკისაგან. თუმცა, მის მიერ დახასიათებული იდეალური ქალაქი, შეიძლება ითქვას, საპირისპიროდ გამოიყურება და ჯანსაღ ორგანიზმად გვევლინება. ეს დახასიათება მან მიზნებად რომ ჩამოაყალიბოს და ქალაქგანვითარების პოლიტიკას რეალურად დაუდოს საფუძვლად, მისი პროგრამა მკვეთრ კონტრუებს შეიძენდა და ხშირ შემთხვევაში მას პასუხებში აღწერილ გეგმებსაც შეაცვლევინებდა.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გიგი უგულავა რაიმე საგულისხმო ცვლილების განხორციელებას ქალაქგანვითარების პოლიტიკაში არ გეგმავს. იგი ყურადღებას ამახვილებს არსებული მიმართულებებისა და პროგრამების დახვეწასა და განვრცობაზე. ასევე იკვეთება, რომ მას ერთიანი სამოქმედო გეგმა არ გააჩნია, რასაც ყოველი პასუხის ბოლო ფრაზაც ადასტურებს: „ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ზუსტი გეგმა და პროგრამა იმისა, არ არსებობს. შესაბამისად, ბუნდოვნად პასუხობს შეკითხვაზე, დაასახელოს ქალაქგეგმარების პოლიტიკის სამი ძირითადი პრიორიტეტი. აქ ის, კონკრეტული ღონისძიებების ნაცვლად, ზოგად მიზნებს ასახელებს.

პროფესიული გადასახედიდან მისი მიდგომების ერთი ნაწილი მეტ-ნაკლებად ამომწურავია და თანამედროვეობას შეესაბამება, ხოლო ზოგი რამ ამკარა ანაქრონიზმის ნიშნებს ატარებს (მაგალითად, სატრანსპორტო საკითხისადმი მიდგომა). პასუხების უმეტესობა კი გახლავთ მიღწევებისა და პროგრამების აღწერა-განდიდება, რისი მართებულობის შეფასება საზოგადოებას თავადაც კარგად შეუძლია. **□**



სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები, თსუ, 18 მაისი 2010

ფოტო: ვაჟა ლომიძე

სტუდენტები და პოლიტიკა

# პოლიტიკური სტუდენტური მოძრაობა

ახალგაზრდული ძალა, რომელიც, წესით, სისტემის მანკიერ მხარეებს უნდა უპირისპირდებოდეს, პარტიულ მომავალზე ოცნებობს.

## ნინო ჩიმაკაძე

18 მაისს თსუ-ში თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა. არჩევნების პროცესი თითქმის არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი პოლიტიკური საარჩევნო პროცედურისგან. საარჩევნო უბნები, დამკვირვებლები, ვნებათაღელვა – ეს ყველაფერი ისე რეალური იყო, კანდიდატების ასაკი რომ არა, ერთი შეხედვით ვერც კი გაარჩევდით, რომელ არჩევნებზე იყავით.

სტუდენტების თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში ზუსტად ისეთი იყო, როგორც დიდ პოლიტიკაში. ინტრიგები, ერთმანეთის ჩაძირვა, ხმებისთვის უკომპრომისო ბრძოლა – ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს გამოცდილება კი მშვენიერი პრაქტიკაა დიდ პოლიტიკაში წასასვლელად.

გიორგი ავალიანი, თორნიკე ხუციშვილი, ლაშა მაქაცარია, ლევან ჯაფარიძე, დაჩი ცაგურია – ეს იმ ადამიანების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური თვითმმართველობის (ძირითადად მმართველ გუნდში) სხვადასხვა თანამდებობაზე დაინიშნენ.

სტუდენტურ გაერთიანებებში აქტიური ჩართვა საქართველოში ბოლო ათწლეულის მანძილზე მომავალი კარიერის უზრუნველყოფის ერთგვარ გარანტიად იქცა. ლიდერობაში არაფერია ცუდი, თუმცა ჩვენთან

სტუდენტი ლიდერები დღემდე „ნომენკლატურში“ რჩებიან და ვერ აყალიბებენ ძალას, რომელიც სისტემის მანკიერი მხარეების წინააღმდეგ გამოდის.

ამ ტრადიციამ ფესვები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დასაწყისში გაიდგა. მაშინ, ე.წ. „კომკავშირული აქტივების“, ჩამოყალიბების შემდეგ, „დიადი“ და „ნათელი“ იდეებით შთაგონებული ახალგაზრდები აქტიურად ჩაებნენ პარტიის სამსახურში. ქვეყნის „ალმშენებლობის“ საქმეში ჩართული ახალგაზრდების დიდი ნაწილი სამომავლოდ წარმატებულ და სარფიან კარიერასაც იკეთებდა. 90-იანი წლების დასაწყისში მათ ახალგაზრდების სრულიად განსხვავებული გაერთიანებები დაუპირისპირდნენ. საქართველოში ეს „ეროვნული მოძრაობა“ იყო.

ჩვენი სურვილი იყო თანამედროვე, დემოკრატიულ სახელმწიფოში გვეცხოვრა, გვეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდნენ ახალგაზრდები დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში. რა თქმა უნდა, იყვნენ „ჰალსტუხიანი“ სტუდენტებიც, რომლებიც ახალგაზრდა ასაკიდანვე კარიერაზე და კაბინეტურ მომავალზე ზრუნავდნენ“, – იხსენებს სტუდენტური მოძრაობის აქტიური წევრი, მწერალი დათო ტურაშვილი.

30 მაისის არჩევნებამდე ერთ კვირაზე ნაკლები დარჩა. სტუდენტების კეთილგანწყობის მოპოვებას კი თანაბრად ცდილობს, როგორც მმართველი გუნდი, ისე ოპოზიცია – ზოგი პატრიოტულ-ნაციონალისტურ თუ რელიგიურ მოტივებზე თამაშით, ზოგიც – დასაქმების დაპირებით და „ბედნიერი“ და „პერსპექტიული“ მომავლის დასახვით. ახალგაზრდობაზე „გასვლის“ ყველაზე აპრობირებული მეთოდი კი სტუდენტური გაერთიანებების მობილიზება და მათი მხარდაჭერის მოპოვებაა.

აპრილში თბილისის მერიამ სტუდენტებისთვის სპეციალური აქცია „კინომანია“ დაიწყო, რომლის მიხედვითაც, სტუდენტებს კინოში წასვლა ფასდაკლებით, 5 ლარად შეუძლიათ. ფასდაკლების ბარათებზე წითლად შემოხაზული 5-იანია გამოსახული, რომელიც თავისი დიზაინით ძალიან

ჰგავს „ნაციონალური მოძრაობის“ სა-  
აგიტაციო ციფრს 5-იანს.

თსუ-ს მაგისტრატურის მეორეკურ-  
სელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის სტუდენტი დათო ჯიშკა-  
რიანი, რომელიც 2006-2008 წლებში  
თავადაც იყო თვითმმართველობის  
წევრი, ამბობს, რომ ეს გაერთიანება  
პოლიტიზირებულია და ხელისუფლე-  
ბის გავლენის ქვეშაა. ის იხსენებს  
შემთხვევას, როცა ჯერ კიდევ პირ-  
ველ კურსზე სწავლისას, ისტორიის  
ფაკულტეტის სტუდენტებმა წერაქვის  
მონასტრის აღდგენაში მონაწილეობა  
გადაწყვიტეს. ცემენტის და ქვიშის  
შესაძენად მათ თანხა სჭირდებოდათ,  
რისთვისაც კულტურის სამინისტროს  
რეგიონულ სამმართველოს მიმართეს,  
რომელსაც მაშინ ახლანდელი მინის-  
ტრი დიასპორის საკითხებში, პაპუნა  
დავითაია ხელმძღვანელობდა. „მას  
მოეწონა ჩვენი იდეა, თუმცა, ფი-  
ნანსური მხარდაჭერის სანაცვლოდ,  
„ნაცმოძრაობის“ მაისურებით და კე-  
პებით შემოსვა და ისე მუშაობა შემო-  
გვთავაზა, რაზეც ჩვენ უარი ვუთხა-  
რით. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, არ  
დაგვაფინანსეს, სამაგიეროდ, დავი-  
თაიამ „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდა  
აქტივისტები გაუშვა“, – ამბობს დათო  
ჯიშკარიანი.

თვითმმართველობის, ისევე რო-  
გორც სტუდენტების, სტუდენტების  
აქტივობა თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში ყოველთვის განსაკუ-  
თრებით თვალშისაცემი იყო. 2006  
წელს თვითმმართველობის შექმნის  
შემდეგ იქ სტუდენტთა ყველაზე დიდ  
გაერთიანებას „ერთიანი სტუდენტუ-  
რი მოძრაობა“ ეწოდა და დღემდე ასე  
ჰქვია. თვითმმართველობის წარმო-  
მადგენლები კი რაიმე კავშირს მსგა-  
ვის სახელწოდების მმართველ პარ-  
ტიასთან გადაჭრით უარყოფენ.

„ბოლო ორი წლის მანძილზე, რაც  
მე აქ ვარ, ეს იყო სრულიად აპოლი-  
ტიკური და დამოუკიდებელი გაერ-  
თიანება. მის ოფიციალურ წევრებზე  
არანაირი პოლიტიკური გავლენა არ  
ყოფილა“, – ამბობს შამათავა, რომე-  
ლიც ახლა იურიდიული ფაკულტეტის  
მაგისტრატურას ამთავრებს. გიორგი  
შამათავა, პარალელურად, მოძრაობა  
„7 აგვისტოს“ ერთ-ერთი ლიდერი-  
ცაა. ახალგაზრდების ეს გაერთიანება

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ  
შეიქმნა და სხვადასხვა აქციას მარ-  
თავდა. თუმცა შამათავა პოლიტიკურ  
გავლენას ამ შემთხვევაშიც გამორი-  
ცხავს:

„მოძრაობა „7 აგვისტო“, ეს იყო პა-  
ტიროტული ორგანიზაცია, რომელიც  
კონფლიქტებზე და სხვა პრობლემურ  
თემებზე აკეთებდა განცხადებებს.  
როდესაც დღის წესრიგში დგებოდა  
ქვეყნის ინტერესი, როცა ქვეყანას  
სჭირდებოდა, მაშინ გამოვდიოდით და  
ვაპროტესტებდით, მაგრამ ამ ყველა-  
ფერს არ ჰქონდა წმინდა პოლიტიკუ-  
რი სახე, თან აქციებისთვის თანხებს  
კერძო სექტორიდან ვიღებდით“, – ამ-  
ბობს შამათავა.

18 მაისის არჩევნების შედეგად 110  
დელეგატი-სტუდენტიდან 108 ადგილი  
ისევ „ერთიანი სტუდენტური მოძრა-  
ობის“ წარმომადგენლებმა დაიკავეს.  
ერთი კანდიდატი, ნიკა ლიპარტე-  
ლიანი გავიდა მოძრაობიდან „სტუ-  
დენტები სტუდენტებისთვის“, ერთი  
დამოუკიდებელი დელეგატი კი ნინო  
მიმინოშვილი იყო. თვითმმართველო-  
ბის პრეზიდენტის არჩევნები, სავა-  
რაუდოდ, თვის ბოლოს გაიმართება.  
გიორგი შამათავა უკვე აღარ იყრის  
კენჭს, რადგან ის მომავალ წელს  
სტუდენტი აღარ იქნება. კითხვაზე,  
აპირებს თუ არა თავად პოლიტიკაში  
ნასვლას, ზუსტი პასუხი არ აქვს, თუ-  
მცა არაფერს გამორიცხავს.

თვითმმართველობის პოლიტიზირე-  
ბას არც დელეგატი ნინო მიმინოშვი-  
ლი უარყოფს: „ეს ყველამ იცის, ამას  
ლექტორებიც აღიარებენ. მაგრამ ამ  
პირობებშიც შეიძლება ბევრი რამის  
გაკეთება. თან თუ არ გინდა, არ იქ-  
ნები მართული. მე სწორედ ამიტომ  
მინდა, გავხდე დელეგატი, რომ უფრო  
მეტი რამის გაკეთება შევძლო“.

ნინო იურისტია და სამომავლოდ  
პოლიტიკაში აპირებს ნასვლას, გან-  
საკუთრებით განათლების სფერო აინ-  
ტერესებს.

მწერალი დათო ტურაშვილი მიიჩნე-  
ვს, რომ თუ ადამიანს მართლა აქვს  
მსგავსი მონოდება, მაშინ სულაც არაა  
ცუდი, თუ პოლიტიკაში წავა:

„როდესაც რაღაც აქტივობის სანა-  
ცვლოდ ელი თანამდებობას, ეს არის  
ცუდი, თორემ თუ მართლა უნდა ადა-  
მიანს პოლიტიკაში ნასვლა, იმიტომ,

რომ იდეები და კონკრეტული მიზნები  
აქვს, ამას რა სჯობია. ასეთი ადამიან-  
ნი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა დღეს  
პოლიტიკაში. ამიტომ კარგია, თუ  
მოვლენ არა სხვა სფეროებში ხელ-  
მოცარული, ანგარებიანი ადამიანები,  
არამედ ისინი, ვისაც კონკრეტული  
პროფესიული გეგმები აქვთ“.

პოლიტიკასთან კავშირს უარყოფენ  
თბილისში არსებულ სხვა დიდ უნი-  
ვერსიტეტებშიც, თუმცა სტუდენტე-  
ბის პოლიტიზების ტენდენცია სხვაგა-  
ნაც თვალში საცემია.

14 მაისს ილიას უნივერსიტეტის  
სტუდენტებმა მერიის პროექტის –  
„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“  
პრეზენტაცია გამართეს. პრესრელიზ-  
ში კი ეწერა, რომ შეხვედრის მიზანი  
იყო ამ პროექტის პოპულარიზაცია.  
შეკრებილმა სტუდენტებმა გეგმა გა-  
დაჭარბებითაც კი შეასრულეს: „ეს  
პროექტი თავისი არსით უნიკალურია“;  
„თუ საზოგადოება ამაში ჩაებმება,  
მიხვდებიან, რომ ოცნებები მართლა  
შეიძლება ახდეს“, – ასეთ ფრაზებს  
ვისმენდით ნახევარ საათზე მეტ ხანს  
სტუდენტებისგან. როცა ამ პროექტს,  
სხვადასხვა დეტალების გამო, არაერთ-  
ი ოპონენტი ჰყავს, მისი ასე ცალ-  
მხრივად შეფასება არცთუ დამაჯერე-  
ბელი და ნეიტრალური ჩანდა.

ქართული რეალობისგან განსხვავ-  
დება დასავლეთის ქვეყნების სტუდენ-  
ტური მოძრაობები. აშშ-სა და ევრო-  
პის ქვეყნებში სტუდენტური  
თვითმმართველობები და გაერთიანე-  
ბები არსებული სისტემისადმი ძირი-  
თადად კრიტიკულად არიან განწყობი-  
ლნი და ყველაზე რეფორმატორული  
და ნოვატორული მიდგომებიც სტუ-  
დენტების ამ ნაწილს აქვს. ამ ტენდენ-  
ციას ალბათ ამ უნივერსიტეტების  
ავტონომიის მაღალი ხარისხიც განსა-  
ზღვრავს, რაც აპრიორი ზღუდავს სა-  
ხელმწიფოს ზემოქმედებას საუნი-  
ვერსიტეტო ცხოვრებაში.  
საქართველოში კი პრობლემას ის  
ამძაფრებს, რომ პოლიტიკურ გავლე-  
ნებს თვითონ სტუდენტები არ აცნო-  
ბიერებენ და აღიარებენ. ის მუხტი,  
რომელიც მათ ცვლილებებისთვის მე-  
ბრძოლ ახალგაზრდულ ძალად ჩამო-  
აყალიბებდა, პარტიულ კარიერაზე  
მეოცნებე სტუდენტებს დღემდე არ  
გააჩნიათ. ■



მიგრანტი ქალები

# ქართული ქალის ახალი ხოლი

საქართველოდან ემიგრაციაში წასული მილიონამდე მოქალაქედან უმრავლესობა ქალია. რას ეძებენ ქალები საზღვარგარეთ – ფულს თუ პატრიარქალური სამყაროსგან დამოუკიდებლობას?

ნათია გულიაშვილი



კადრი ლევან კოლუაშვილის ფილმიდან „ქალები საქართველოდან“



კადრი ნინო ფურცხვანიძის ფილმიდან „რა თქმა უნდა, ამერიკაში!“

საქართველოდან მოსახლეობის მიგრაციას პირველი ძლიერი ბიძგი 90-იანი წლების კონფლიქტებმა მისცა. დროთა განმავლობაში მიგრაციულ ნაკადს უკვე იმდენი ქალი შეერია, რომ ამ პროცესმა ქართულ პატრიარქალურ საზოგადოებაში თითქმის კულტურული ცვლილებები გამოიწვია – ქალები აღარ იყვნენ მხოლოდ დიასახლისები, კაცები კი – ოჯახის უფროსები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დანგრეული ეკონომიკის, გაჩერებული ქარხნების და მასობრივი უმუშევრობის ფონზე, სწორედ მიგრაციამ გამოკვეთა ქალის ახალი როლი ოჯახურ ცხოვრებაში. ერთ-ერთი მონაცემის მიხედვით, ქვეყნიდან წასული მიგრანტების 62 პროცენტი ქალია, მათ უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს, თუმცა უცხო ქვეყანაში შემთხვევით სამუშაოებს სჯერდებიან.

რას ცვლის მიგრაცია ადამიანში და გარემოში, სადაც მისი ოჯახი რჩება? როგორია უცხოეთში მიღებული გამოცდილება და რა ხდება მას შემდეგ, რაც ადამიანი საკუთარ ქვეყანაში ბრუნდება? – ვიდრე ჯერ კიდევ არ არსებობს ამ პრობლემის სიღრმისეული კვლევა, კითხვებზე პასუხის გაცემას ჯერ მხოლოდ რეჟისორები ცდილობენ.

ბრუკლინი. სასტუმროს ტიპის ია-

ფფასიანი ბინა. სამზარეულოს მაგიდასთან 7-8 შუახნის ქალი ზის. თვეში ერთადერთ, სამუშაოსგან თავისუფალ დღეს აქ იკრიბებიან და საღამომდე, ვიდრე რომელიმე ქართულ რესტორანში წავლენ, გაუჩერებლად საუბრობენ. ლევან კოლუაშვილი დოკუმენტური ფილმით „ქალები საქართველოდან“, პირველივე კადრებიდან, პირდაპირი და გადატანილი მნიშვნელობით იმ პროცესის შიდა სამზარეულოში გვახედებს, რაზეც აქ „დარჩენილებს“ ჯერ მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა გვაქვს.

სამზარეულოს დიალოგებში შემოსავალი მთავარი თემაა. საუბრობენ იმ ფულზე, რომელსაც საქართველოში ნათესავი ქალების სახელზე აგზავნიან, რადგან ქმრებს ქალის გამოგზავნილი ფულის აღება ეხამუშებათ. ასე ცდილობენ, არ შეარცხვინონ „ქართველი კაცის ღირსება“. ფილმის ერთ-ერთი გმირი კი ამერიკაში სამუშაოს საძებნელად ჩასულ ახალბედა გოგონას საკუთარ გამოცდილებას უზიარებს და ურჩევს, თავისიანებს არასოდეს უთხრას, რამდენია მისი რეალური შემოსავალი. „ფულს რომ აიღებ, ყოველთვიურად ერთი 100 დოლარი გადადე, თორემ მერე აღმოჩნდება, რომ ყველაფერი იქ გაგიგზავნია და შენი თავისთვის

**ქვეყნიდან წასული მიგრანტების 62 პროცენტი ქალია, მათ უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს, თუმცა უცხო ქვეყანაში შემთხვევით სამუშაოებს სჯერდებიან.**

არაფერი დაგიტოვებია“. დიალოგში დანარჩენებიც ერთვებიან და რჩევას ეთანხმებიან. ჩანს, მსგავსი გამოცდილება უკვე ყველამ გამოიარა და წლების შემდეგლა მიხვდნენ, რომ ოჯახის დასახმარებლად წამოსულები, ფულის საჭრელ მანქანებად იქცნენ.

საერთაშორისო შრომით მიგრაციაში ქალები რომ უფრო მეტად არიან ჩართულნი, ეს მსოფლიოს გლობალური ტენდენციაა. ჯერ კიდევ 1965-დან 1990 წლამდე მსოფლიოში ქალი მიგრანტების რიცხვი 63%-ით 57 მილიონამდე გაიზარდა.

ქალები ბევრ ქვეყანაში აღარ არიან მამების, ქმრების ან ძმების თანმხლებნი და გადაწყვეტილებას უცხო ქვეყანაში წასვლის შესახებ სულ უფრო მეტ შემთხვევაში დამოუკიდებლად იღებენ.

მიგრაციის შესახებ არსებული ყველა თეორია, რომელიც საკითხის ეკონომიკურ მხარეზე ამხვილებს ყურადღებას, ქალების სამუშაოდ წასვლის მთავარ მოტივად მათი და მათი ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს. თუმცა, მეცნიერთა ნაწილის აზრით, ფინანსური გაჭირვება შეიძლება მხოლოდ საბაზი იყოს ქალისთვის, რომელსაც საუკუნეების მანძილზე კულტურამ ცხოვრების კარჩაკეტილი წესი დაუდგინა.

იტალიური წარმოშობის ავსტრალიელი ფილოსოფოსი და ფემინისტი როზი ბრაიდოტი მიიჩნევს, რომ ქალის ცხოვრება საუკუნეების განმავლობაში ორგანიზებული იყო, როგორც ერთფეროვანი და არამობილური და დღეს ქალების სწრაფვის მიზეზი უცხო ქვეყანაში წასვლისა და მუშაობისკენ სწორედ ამ ჩაკეტილობის დანგრევის და ახალი გამოცდილების მიღების სურვილია.

ლევან კოლუაშვილის ფილმის პერსონაჟ ქალებსაც პროტესტის გრძნობა უჩნდებათ თავიანთი მეუღლეების მიმართ, აკრიტიკებენ მათ იმის გამო, რომ შეეჩვივნენ იოლად მოსულ ფულს, ისევე, როგორც თვითონ შეეჩვივნენ ოჯახის ყველა წევრის ნაცვლად მუშაობას. გაბრაზებულებს და დაღლილებს საქართველოში დაბრუნება უნდათ, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, აწყობილი საქმე არ ეთმობათ; იციან, საქართველოში იგივე არ დახვდებათ. ასე გადის ზოგჯერ 10 წელიც სულ უფრო მეტი ფულის შოვნის მოჰადოებულ წრეში მოხვედრილი მიგრანტი ქალებისთვის.

შედეგი კი ხშირად ტრაგიკულია. შინ დატოვებული მცირეწლოვანი შვილების ტელეფონით აღზრდა და ტელეფონითვე ნამღერი იავენანა ვერ იცავს დედა-შვილს გაუცხოებისგან. უფროსი შვილების დაოჯახებასა და დაბინავებაზე მზრუნველი დედები კი ზოგჯერ აღმოაჩენენ, რომ უკვე ქმრებსაც ახალი ოჯახები ჰყავთ.

საქართველოდან გასული მიგრანტების საერთო რაოდენობაზე ზუსტი კვლევის ჩატარება დღეს თითქმის შეუძლებელია. ნაწილობრივ ამის მიზეზი არალეგალური გასვლებია, რასაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის

ჩის ძველი მონაცემებით, 1989-დან 2004 წლამდე ქვეყანა 860 ათასიდან 1.500.000-მა მოქალაქემ დატოვა, მათი უმრავლესობა კი ქალია. არ არსებობს არც იმ მიზეზების სიღრმისეული კვლევა, თუ რატომ მიდიან ქალები საზღვარგარეთ.

ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი როზი ბრაიდოტის „ნომადური სუბიექტების“ მოსაზრებას ემხრობა იმის შესახებ, რომ ქალისთვის ეკონომიკური გაჭირვება მხოლოდ ზედაპირული მიზეზია და, გარდა ამისა, ქართული კულტურისათვის მისაღები არგუმენტია უცხოეთში წასასვლელად. „დღეს რომ თქვას ქართველმა ქალმა, – უცხოეთში სიყვარულის და თავისუფლების საძებნელად მივდივარო, – მიუღებელი იქნება საზოგადოებისთვის, რომელიც ცვლილებებისთვის ჯერ მზად არაა“, – ამბობს გაფრინდაშვილი.

ამისთვის მზად მხოლოდ გამონაკლისები არიან. ნინო ფურცხვანიძის ფილმის – „რა თქმა უნდა, ამერიკაში!“ – გმირი ქეთევანი რეალური ადამიანია, რომელიც ემიგრაციაში არა გაჭირვების გამო, არამედ სწორედ ახალი ცხოვრებისა და თავისუფლების საძებნელად წავიდა. ქეთევანის საოცნებო ქვეყანა თავიდანვე ამერიკა იყო. მას იქ მოხვედრა უღირდა იმდაც, რომ იქ ჰქონოდა არალეგალური მოქალაქის სტატუსი, ქვეყანაში კი მექსიკის საზღვრიდან ჯოჯოხეთის გავლის ფასად შეპარულიყო. ქეთევანმა გაიარა მინის ქვეშა ბნელი გვირაბი, სადაც წყალი მკერდამდე გწვდება და ბოლომდე ვერ იმართები, მერე კი დილის ოთხ საათზე დაგლეჯილი ტანსაცმლით წევხარ და ფიქრობ, რომ შეიძლება აქვე, ამ საზღვარზევე ასეთ მდგომარეობაში გაიყინო.

თეატრის მსახიობმა და რეჟისორმა ქეთევან ხარშილავამ ამ გზას გაუძლო და სამაგიეროდ, ახლა იმ 7 წელიწადს, რომელიც ამერიკაში გაატარა, არც ერთ გამოცდილებაში არ გაცვლის. შტატებში მან სამსახურიც იპოვა, მეგობრებიც და სიყვარულიც – ამერიკელი ქმარი ჰყავს. თუმცა არალეგალობის გამო ბოლოს მაინც საქართველოში მოუწია დაბრუნება; ამერიკაში კი, იმის გამო, რომ კანონი დაარღვია, კიდევ 7 წელს ვერ ჩავა.

ლევან კოლუაშვილის ფილმის გმირების არჩევანი ჩაკეტილი წრეა. ამ ქალებმა იციან, რომ ამერიკა ფულის შოვნის საშუალებაა და ამ ქვეყანას მხოლოდ ამისთვის ლოცავენ. თვეში ერთ, თავისუფალ საღამოს ქართულ რესტორანში ტრადიციული სუფრის გარემოცვასა და სადღეგრძელოების თქმაში ატარებენ. ამერიკაში მცხოვრები ქართველი მამაკაცები, რა თქმა უნდა, სვამენ ქართველი ქალის და დედის კულტის სადღეგრძელოს, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ბავშვები კი ქართულ ცეკვას ასრულებენ. ეს ალბათ ფილმის ყველაზე მძიმე სცენაა და, გაუცნობიერებელი სიყალბის გამო, კომიკურიც კი ხდება. ეს ქალები მეორე დღიდან რუტინულ ცხოვრებას უბრუნდებიან, ერთი თვის შემდეგ თავისუფალი დღის მოლოდინში ბანენ, ასუფთავებენ, ართობენ მოხუცებს. მერე მათსავე კამპანიაში საქართველოდან გამოგზავნილ კასეტებს რთავენ და უყურებენ, როგორ მღერის მათი შვილი, მონატრებულ მეუღლეებს კი ეკრანზე კოცნიან.

სოციოლოგ თამარ ზურაბიშვილის თქმით, უცხო ქვეყანაში თუნდაც ჩაკეტილ კომუნებში განცდილი დამოუკიდებლობის გაუცნობიერებელი შეგრძნება ამ ქალებისთვის ის ღირებულებაა, რომელიც დასაკარგად არ ეთმობათ, თავიანთ ქვეყანაში კი ამ განცდას მოკლებულნი არიან.

ლელა გაფრინდაშვილის თქმით, შეუძლებელია, მიგრანტ ქალებზე გავლენა არ მოახდინოს იმ ფაქტმა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ისინი ადგილობრივი ქალების მიზანსწრაფულობას ხედავენ. „თუ თავიდან იმ თავგანწირვით მიდიან, რომ მათ კისერზე უნდა იყოს მთელი ოჯახი, რაღაც დროის შემდეგ, როცა შემანუხებელი ხდება ოჯახის წევრთა გაუთავებელი და მზარდი მოთხოვნა, ახალი მობილურის, ახალი მანქანის, აგარაკის და ა.შ. შესაძენად, უკვე რაციონალურ განსჯას იწყებენ“, – ამბობს გაფრინდაშვილი. ეს კი შეიძლება შოკური თერაპია იყოს ოჯახის წევრებისთვისაც, იმის გასაანალიზებლად, რომ საზღვარგარეთ გაშვებული დედის თუ ცოლის ერთადერთი ფუნქცია მათი რჩენა არაა, და რომ ამის მიხვედრა „ქართველი კაცის ღირსებასთან“ პირდაპირ კავშირშია. 

თვალსაზრისი

# ბეჩმანუდი ხასაჰსი



ლაშა ზულაძე, მწერალი

იმდენი საკუთარ თავთან მოლაპარაკე ადამიანი, რამდენიც აქ, გერმანიაში ვნახე, სხვაგან არსად შემხვედრია. მოდის კაცი ქუჩაში და გაოგნებულ-შემკრთალი სახით ებუტბუტება თავის თავს რაღაცას; ქალი მატარებელში ზის და ნაწყენ-გალიზიანებული ჩურჩულებს, თუმცა მსმენელი არც მას ჰყავს...

ისეთებზე ვნახე, ვრცელ დიალოგს რომ უმართავენ თავიანთ ძაღლებს – ქალაქურ ბაღში გახლდით და ერთ ბერიკაცს ნაფანყდი, რომელსაც რაღაც პუდელის მსგავსი მოესვა გვერდით და ისეთი გზნებით ესაუბრებოდა, გეგონება, ცუგა კი არა, კოლეგა-პროფესორი ყოფილიყო მისი მსმენელი. ისე, ადვილი რომ არ გახლავთ პუდელთან საუბარი, ამაზე ჯერ კიდევ იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე წერდა თავის „ფაუსტში“. ხომ გახსოვთ, რითიც დამთავრდა ეს ყველაფერი?

საკუთრივ გერმანიაში კი დიდი სიჩუმე დგას. თუკი ვინმე ლაპარაკობს, ხმადაბლა და ისიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთარ თავთან. ვინ ვინ და, ამათ კი ნამდვილად იციან სიჩუმისა და სიმშვიდის ფასი – საკმარისად იხმაურეს 1914-დან 1945 წლამდე და რაც მოიტანა ამ „ხმამალალმა საუბარმა“, ყველას შესანიშნავად მოეხსენება.

გერმანელთა კეთილდღეობა მათივე სიმშვიდის ნაყოფია.

თუმცა თუ გაბრაზდნენ, ოჰო-ჰო, ჩემ მტერს! ჩვენ სად შეგვიძლია ამათნაირი გაბრაზება, გერმანელი კი, ქართველისგან განსხვავებით, მრისხანე მაშინ ხდება, როცა უნესრიგობას ხედავს ირგვლივ. საერთოდაც, ვფიქრობ, რომ ნაციზმი სწორედ ამათი ნესრიგი-

დან იშვა – აქ რელიგიაა „შეიძლება-არ შეიძლება“.

ზოგჯერ მკრეხელური აზრი გამიელვებს ხოლმე: ეჰ, ნეტა გერმანელებს გაემარჯვათ პირველ მსოფლიო ომში და ჰა, თუკი დამოუკიდებლობის დაკარგვა ჩვენი ბედი იყო, ბარემ კაიზერის გერმანიას დავეპყარი: სხვა თუ არაფერი, სუფთა ქუჩები მაინც

ბლებმა ნოლ კლასში შესვლის წინ, მეორედ – კინოფილმ „მონანიების“ ცქერისას (ხეზე აყუდებული მიცვალებული რომ ვიხილე!), მესამედ – ფრანკფურტის აეროპორტში, დისკეპით გატენილი ჩემი ჩანთა რომ დამრჩა კაფეში და წრე რომ შემოარტყეს პოლიციელებმა: ბომბი ჰგონებიათ; ხოლო მეოთხედ სულ ახლახან და ესეც



გვექნებოდა. მართალია, დოსტოვესკის ვერ წავიკითხავდით ორიგინალში, სამაგიეროდ, უპრობლემოდ ჩავაბუღებულვდით „ვილჰელმ-მაისტერს“...

გერმანელთა მრისხანებაზე მოგახსენებდით. ცხოვრებაში რამდენჯერმე შემშინებია სერიოზულად: პირველად მაშინ, როცა ჩემს პირველ სკოლის მასწავლებელს შემატოვეს ჩემმა მშო-

**■ ზოგჯერ მკრეხელური აზრი გამიელვებს ხოლმე: ეჰ, ნეტა გერმანელებს გაემარჯვათ პირველ მსოფლიო ომში.**



აქ, გერმანიაში, კვლავაც ტელევიზორის ყურებისას – მრისხანე გერმანელი მშობლები პედოფილიაში ეჭვმიტანილ სასულიერო პირს ამუნათებდნენ. აი, სიბრაზე ეს იყო თუ იყო.

ის კაცი კი გაიძახოდა, – ტყუილია ეგ ყველაფერიო, – მაგრამ, აბა, მრისხანე და თანაც მართალ გერმანელებს რა გააჩერებდათ: კინალამ თავდაყირა დაჰკიდეს იმ სტუდიაში.

ჩვენთან კი რა ხდება: ბავშვების, თუნდაც „მკრეხელი“ ბავშვების გამლახავ მღვდლებს საეკლესიო ჯილდოებს აძლევენ, და მეტიც, ეუბნებიან, – აჰა, ყოჩაღ, სწორედ ასე უნდა დავიცვათ ქრისტიანობაო.

ჯერ მეგონა, რომ ექსტრემისტი მღვდელი ეპისკოპოსად აუურთხეს და, მართალია გავბრაზდი, მაგრამ მაინც ვიეჭვე, ერთგვარ „პოლიტიკურ“ ოინთან ხომ არ გვაქვს-მეთქი საქმე: ეპისკოპოსად „დანინაურებული“ მღვდელი ხომ ისე შმაგად ველარ ირბენს თინეიჯერების დასარბევად, როგორც „უბრალო“ მღვდლობისას – „თანამდებობა“ დაამშვიდებს და სადმე, პერიფერიულ ეპარქიაში დაიმიკიდრებს ადგილს. ვიფიქრე, – ჩვეულებრივი, გვიანსაბჭოური ორმაგი სტანდარტია: ვითომ დაფასება, სინამდვილეში კი – განეიტრალება.

მაგრამ თურმე შევცმდარვარ: განეიტრალება კი არა, არამედ დაფასება და ნაქეზება ყოფილა. მღვდელი „მღვდლად“ დარჩა, ოღონდ ორდენოსან მღვდლად... გმირობა დაუფასებიათ ექსტრემიზმისთვის! ოღონდ საინტერესოა, რა გმირობაა ეს: თინეიჯერების ცემა, ჟურნალისტებისთვის ზონდერმრევლის მიქსევა და ქრისტიანობის, მართლმადიდებლობის დისკრედიტირება... კარგი გმირები გვყოლია ეკლესიაში, ვერაფერს იტყვი!

ხოდა ახლა ვფიქრობ: ნეტა გერმანელებისთვის ჩაგვაბარებინა ეს ორდენოსანი, სულ ცოტა, ხუთი თვით მაინც... სამ თვეში ხომ უეჭველად დაინყებდა საკუთარ თავთან ლაპარაკს და თუკი მაინც ვერ გაიგონებდა სინდისის ხმას, მაშინ ერთ ჭკვიან და თვინიერ პუდელსაც მიამაგრებდნენ... ხოლო პუდელებს რომ კარგად ესმით ასეთების ფსიქოლოგია, ამაზე ჯერ კიდევ როდის ვიშვიშებდა დოქტორი ფაუსტი. **■**

საპორტი

# ჩვენ აფხიზაში მივდივართ



ინგლისელებს ძალიან უნდათ, რომ 2018 წლის მსოფლიო თასს უმასპინძლონ. ბრიტანეთი ხვალაც მზადაა, რომ მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ მასპინძელი ფიფა-ს ასარჩევია.

გიო ახვლედიანი, ლონდონი



ლონდონში საფეხბურთო მსოფლიო თასისთვის განკუთვნილი ნივთებისა და დროშების გაყიდვა უკვე პიკს აღწევს.

უფრო სწორად, ეს მსოფლიო თასის კი არა, ეროვნული ატრიბუტიკაა და თვით ტელევიზორების ყუთებიც კი სენტ ჯორჯის ფერებშია გამოხვეული. ფანქრები, ჭიქები, რვეულები, სათვალეები, სტიკერები, საყვირები, ქუდები, შარფები, სამკერდე ნიშნები, ბრელოკები, პოპკორნი და, რა თქმა უნდა, დროშები.

დროშები, ხუთი ფუტის სიგრძისა და სამის სიგანისა, სამის სიგრძისა და ორნახევრის სიგანისა. დროშები მანქანზე დასანებებელი, სარკეზე ჩამოსაკიდი, ტარიანი და უტარო, გასაშლელი და ფანჯრიდან გადმოსაფენი, საფრიალო და დასადგმელი, სულ დროშები და დროშები – ამდენი დროშა ძნელად რომ სადმე ნახოს კაცმა. და მაისურები, სულ ნაირნაირი, ჩვილი ბავშვისა და მოხუცისა, სანაკრებო და საქომაგო, ხუთიდან სამოცდახუთ ფუნტამდე.

ათიათასობით ინგლისელ ფანს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან უკვე დაჯავშნული აქვს ადგილები, ნაყიდი აქვს ბილეთები და ტურისტული საგზურები, ასევე სხვადასხვა ფასისა.

როცა ნაკრები საზღვარგარეთ თამაშობს ხოლმე, ქომაგები სიმღერას დასცეხებენ: **We are going to...** და ქვეყანას მოაყოლებენ, ჰოდა ახლა უკვე მოისმის **We are going to South Africa...**

მართალია, სამხრეთი აფრიკა, ცოტა არ იყოს, განსხვავდება იმ ქვეყნებისგან, სადაც ძირითადად დადიან ინგლისელი ფანები, მაგრამ ლუდი იქაც ბევრია და ფანების არაოჯახურ ნაწილს, რაც ძმაცაკურ-კუტოკურ ჯგუფებად მოგზაურობას ნიშნავს, ჩვეულებრივ ბევრი არ უნდა, და ქუჩის კრიმინალიც მისთვის იმდენადაა საშიში, რამდენადაც უცნობ და თავისებურ გარემოში მოხვედრილი კაცისთვის.

მაგრამ ლუდი ამ საფრთხეებს სრულიად მიავიწყებს კაცს, მით უმეტეს, თუ ინგლისის ნაკრები ილბლიანად ივლის მსოფლიო თასის ქალაქებში. და თანაც ინგლისელები უცხოდა არ გრძნობენ თავს არც ერთ ქვეყანაში, ისინი მსოფლიოს ყველაზე ძველი ტურისტები არიან და არა მხოლოდ ტურისტები.

ინგლისელი გულშემატკივარი ყველაზე მხარჯველი და მრავალრიცხოვანი გულშემატკივარია მსოფლიოში და, მიუხედავად რთული მომენტებისა, რაც მის ქცევას უკავშირდება და რისი უმრავლესობაც წარსულში დარჩა, ის სასურველი სტუმარია ხოლმე ყველანაირ შეჯიბრზე, რახან კარგად იხდის.

მსოფლიო თასზე ათასობით ისეთი ფანიც მიემგზავრება, რომელსაც, თვითმფრინავის ბილეთის გარდა, არაფერი აქვს და ადგილზე აპირებს რაიმეს შოვნას, თუ არა და იქაურ ტელევიზორშიც დასჯერდება მატჩების ყურებას; მეტიც, ოღონდ კი სტადიონის ახლოს იტრიალოს და მატჩსაც არ უყურებს. გადამყიდველთა ხელში კი ბილეთს აბა რა გამოლევს. სხვათა შორის, გადამყიდველების ნახევარი მაინც ასეთ ღონისძიებებზე ისევ ინგლისელია.

ახალ სანაკრებო სიმღერას კლიპში ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ტერი ვენიბლსი ასრულებს, რომელსაც ჭა-

ღარა ბლანჟე დაუყენებია და სამოცს გადაცილებული კაცის პირობაზე კაი ნავარჯიშები ჩანს.

ნაკრებს რომ შევეშვათ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ახლა სხვა თავსატეხიც აქვს.

ინგლისელებს ძალიან უნდათ, რომ 2018 წლის მსოფლიო თასს უმასპინძლონ. საფეხბურთო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ინგლისი ხვალაც მზადაა, რომ მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატი, ყველაზე მომგებიანი სპორტული ღონისძიება სამყაროში, მაგრამ ჩემპიონატის მასპინძელი ფიფას ასარჩევია.

კანდიდატთა შორის ფავორიტებად სწორედ ინგლისი და რუსეთი არიან. რუსეთს ყველაფერი ასაშენებელი აქვს, ინგლისს – აშენებული. ინგლისს ამ გეგმის სახედ დევიდ ბექემი ჰყავს, რომელმაც თავად ჩაუტანა ფიფას პრეზიდენტ ზებ ბლატერს 800-გვერდიანი ნიგნი ინგლისელთა გეგმების შესახებ, მაგრამ ინგლისურმა გაზეთებმა აღნიშნეს, რომ ბლატერი განუზომელი სითბოთი გადაეხვია რუსეთის ვიცე-პრემიერს. მან მანამდეც კი აქო ინგლისელები, მაგრამ რუსეთის წინადადებას ღირსშესანიშნავი უწოდა.

რა თქმა უნდა, ფიფა მონოდებულია, რომ თანამედროვე საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუწყოს ხელი და რუსეთი სწორედ ამას ჰპირდება: ახალი სტადიონები ქვეყანაში, ახალი მინდვრები, ახალი კომუნიკაციები. რუსებმა მითხრესო, – თქვა ბლატერმა, – ეს მსოფლიო თასი ჩვენს ქვეყანას შეცვლისო.

ჰოდა, პირველი ჭორები და სკანდალებიც აგორდა. რუსებთან ბრძოლა იოლი არ არის, მაგრამ ლონდონურმა ტაბლოიდებმა ასეთი ჭორიც გამოამზეურეს, რომ ესპანელებმა, რომლებიც პორტუგალიასთან ერთად ასევე იბრძვიან მსოფლიო თასის მასპინძლობისთვის, რუსებს უთხრეს, – თქვენ სამხრეთ აფრიკაში მოგვხმარეთ მსაჯების ამბავში, და ჩვენ 2018 წლის ამბავში მოგვხმარებითო.

თუმცა, მასპინძელი ქვეყნის არჩევა მხოლოდ ბლატერის საქმე არ არის. ხმები უნდა დაითვალოს და ვინ იმუშავებს უკეთ ხმებთან, გამოჩნდება.

ჯერჯერობით კი ინგლისში მღერიან: **We are going to South Africa!** 🇬🇧



# იკითხეთ ლიბერალის პორტალზე [www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

**პლომი: მარიკა კოჩიაშვილი**  
**აირჩია თბილისის მერი!**

საინტერესო და უჩვეულო ფესტივალს დავესწარი გუშინ. 7 სლოგანი:  
„ჩვენ შევცვლით!“;  
„მოვდივარ საქმით, გპირდებით საქმეს!“;  
„გასაკეთებელი კიდევ ბევრია!“;  
„ბრძოლა დღესვე!“;  
„დასაქმება და დაბალი ტარიფები“;  
„საქმემან შენმან წარმოგაჩინოს!“;  
„თბილისი ჩვენი სახლია!“ – ერთმანეთს 7 ნომინაციაში ეჯიბრებოდა.

**მულტიმედია**  
ინტერვიუ მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატთან ლადო სადღობელაშვილთან

**ვიდეო: იაგო კაჭკაჭიშვილი**  
რატომ „სჭირდება“ მართლმადიდებლობას დაცვა

**ყოველკვირეულად**  
**მთენიანოსიხინოსი**  
**ხაოქანოხიჩი ჰეჯეჰი შედეზბი**

# თეთრი პერანგების უბედურება



თეთრი პერანგის ჩაცმა მიყვარდა ძალიან. მომწონდა, კაცს ხარისხიანი და კარგად დაუთოებული პერანგი რომ ეცვა ხოლმე, ან უხარისხო და დაუთოებული პერანგი რომ ეცვა ხოლმე, ან უხარისხო და დაუთოებული. ჩემთვის სულ ერთი იყო.

კახა თოლორდავა

თეთრი პერანგის ჩაცმა მიყვარს. მომწონს კაცს ხარისხიანი და კარგად დაუთოებული თეთრი პერანგი რომ აცვია ხოლმე, ან უხარისხო და დაუთოებული. ჩემთვის სულ ერთია. უბრალოდ, თეთრი პერანგი ფეხსაცმელივითაა. მას ბევრის თქმა შეუძლია ადამიანზე და ის ნებისმიერი ფორმის და ზომის კაცს უხდება. მთავარია, კარგად მოირგო და მერე გინდა, მნიშვნელოვან შეხვედრაზე წადი, გინდა, პიკნიკზე და გინდა, ქალაქში გაისეირნე ქალაქში გაისეირნე ქალაქში გაისეირნე ქალაქში გაისეირნე (აბზაცის ბოლო რამდენიმე ფრაზა წაიკითხეთ ისე, თითქოს ექო იყოთ, თუ შეიძლება).

თეთრი პერანგის ჩაცმა მიყვარდა ძალიან. მომწონდა, კაცს ხარისხიანი და კარგად დაუთოებული პერანგი რომ ეცვა ხოლმე, ან უხარისხო და დაუთოებული. ჩემთვის სულ ერთი იყო. სულ მეგონა, რომ თეთრი პერანგი ფეხსაცმელივითაა და ბევრი რამის თქმა შეეძლო ადამიანზე. ახლაც ასე მგონია. იმამიც დარწმუნებული ვარ, დღესაც კი, რომ ის ნებისმიერი ფორმის და ზომის კაცს უხდება, მთავარია, კარგად მოირგო და მერე გინდა, მნიშვნელოვან შეხვედრაზე წადი, გინდა – პიკნიკზე და გინდა, ქალაქში გაისეირნე.

აბაზანაში ვდგავარ და დილით ჩაცმულ თეთრი პერანგის საყელოს დაფურებ ნაწყენი სპანიელივით. ისევ გამეორდა! ისევ იგივე გამეორდა! სახლიდან სადღაც ათისთვის გავედი, ახლა კი უკვე სამი საათი სრულდება. დილით ამ პერანგს რომ ვიცვამდი, ჯერ ვიბანავე, მერე კი კისერი გავიხეხე მაგრად, განითლებამდე. სულ რაღაც ხუთიოდე საათი გავიდა, პერანგის საყელო კი ისეთი გამავეებული და ჭუჭყიანია, რომ სხვა გზა არ მაქვს, სასწრაფოდ უნდა გამოვიცვალო. ისევ ცხელი წყალი და საპონი, ისევ კისრის ხეხვა და ახალი, გაქათქათებული თეთრი პერანგი. სანამ პერანგზე ღილებს ვიკრავ, ლონდონი მახსენდება.

შვიდიოდე წლის წინ ლონდონში ყოფნისას დავრწმუნდი, რომ თეთრი პერანგი მარტო თეთრი პერანგი არაა. ის ნებისმიერ ქალაქში ჰაერის სისუფთავის შესამოწმებელი ყველაზე კარგი საშუალებაა. ვიცი, რომ ამისთვის სპეციალური აპარატები (ან დანადგარები?) არსებობს, მაგრამ რაში სჭირდება კაცს ისინი თუ ერთი ნორმალური თეთრი პერანგი მაინც აქვს სახლში? იმ დღეს ლონდონში ყოფნისას მინიმუმ 30 კილომეტრი მაინც გავიარე ფეხით. სად არ ვიყავი და სად არ შევეხირე! სალამოს შვიდისთვის გასავათებული Tate Modern-ის ეზოში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მოღზე ვეგდე, ამერიკელი არტისტის ფოლ მაქართის უზარმაზარ გასაბერ ინსტალაციას აფურებდი და სენდვიჩს მივირთმევედი. დალილობისგან ყბებიც კი მტკიოდა. სასტუმროში გვიან სალამოს დაგბრუნდი. დილით ჩაცმული თეთრი პერანგი გავიხადე და ის იყო საწოლზე უნდა მიმეგდო, რომ რაღაც უცნაური შევნიშნე, ერთდროულად



გასახარი და გულდასაწყვეტი. დილით ჩაცმული ჩემი თეთრი პერანგის საყელო ისევ ისეთი გაქათქათებული იყო, როგორც დილას. გამიხარდა იმიტომ, რომ მივხვდი, საქმე ჩემ ჭუჭყიან კისერში არაა; მენყინა იმიტომ, რომ თბილისზე ჩემი ეჭვი კიდევ ერთხელ დადასტურდა დადასტურდა დადასტურდა (აბზაცის ბოლო სამი სიტყვა წაიკითხეთ ისე, თითქოს ექო იყოთ. თუ შეიძლება).

ისევ თბილისი. ჩემი სააბაზანო და ჩემივე ანარეკლი სარკეში, ჭუჭყიანი თეთრი პერანგით ხელში. არა, ეს ქალაქი ნამდვილად არაა თეთრპერანგის ფეხით მოსიარულეთათვის. ამ ქალაქში ჯობს, მუქი ფერის ტანსაცმელი გეცვას, უმჯობესია – შავი. ამ შემთხვევაში, ვერ დაინახავ იმას, რასაც თეთრპერანგისებზე ხედავენ, არ ინერვიულებ იმაზე, რაც გულის სიღრმეში იცი, რომ სანერვიულოა; არ მოგინდება ხოლმე, რომ შეკრიბო ხუთასამდე კაცი, სთხოვო ჩაიცვან თეთრი პერანგები და გამოვიდნენ ქალაქში გასასეირნებლად, მერე კი ერთად შეკრიბო რამდენიმესაათიანი გასეირნების შემდეგ საყელო და სახელოგაჭუჭყიანებული პერანგები და ქალაქში ხეებზე ჩამოკიდო ცელოფანის პარკებთან ერთად, ყველამ კარგად რომ დაინახოს, როგორ გვემუქრება თბილისი თავისი უხარისხო ბენზინით და გაუმართავი მანქანებით, თავისი გულგრილობით, ჩვენი გულგრილობით. მოვრჩი. ჩემი 500 სიტყვა ამომეწურა.

რა თქმა უნდა, შემეძლო ქალაქში ჰაერის სისუფთავეზე სერიოზული ნერილი დამენერა, ჟურნალისტური გამოკვლევა ჩამეტარებინა, შევხვედროდი გარემოსდამცველებს, მწვანეებს თუ მომწვანოებს, და მერე სერიოზულად, პროფესიონალურად შემემინებინეთ, მაგრამ მაშინ ამ ტექსტს ვერ დავასრულებდი იმ ფრაზით, ერთ თბილისურ სუფრაზე რომ მოვისმინე: „ჩვენი შვილების ჯანმრთელობისა იყოს, შემოვევლე მაგათ კუჭუნებში!“






რადიო „ნაცნობი“ გევატიშებათ  
კლუბი „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული საზარაულო
- სოცხალი მუსიკა



# ახალი წიგნი

თანამედროვე  
ქართული პროზა



”ლიტერატურული ექსპრესი”  
ექსპერიმენტული მატარებელია,  
რომელიც ევროპის სხვადასხვა  
ქალაქს სტუმრობს, მგზავრები კი  
ევროპელი, მათ შორის, ქართველი  
მწერლებიც არიან. მოგზაურობის  
ორგანიზატორების აზრით,  
ლიტერატურული ექსპრესის  
თითოეულ მგზავრს ქალაქიდან  
ქალაქში უთავბოლო ხეტიალი  
შთაგონებას მოუტანს. ასეცაა:  
ზოგისთვის ეს მატარებელი ახალი  
წიგნის დასაწერი იმპულსი ან უკვე  
დაწერილის პოპულარიზაციის  
საშუალება ხდება, ზოგისთვის კი -  
საკუთარი ცხოვრების გადაფასება  
ან უბრალოდ, მშვენიერი ქალის  
დევნა ...



**გაკურ სულაკაურის  
ბამონცემლოვა**

მის: აღმაშენებლის 150  
ტელ: 910 954, 911 165

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

ფასი 12.00